ვ. ფურცელნიძე

ჯვარს ვსცემ ოცდაერთ

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
თბილისი, 1991

63 3(2Г)
ბ 961

ჩვენმა თანადროულობამ დღის წესრიგში დააყენა მრავალი მტკივნეული საკითხი, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვის გამოკვლევა. წინამდებარე წიგნში ახალმოძიებული საარქივო მასალების საფუძველზე გაშუქებულია ილიას მკლელობა. ავტორი ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც სათანადო დოკუმენტებზე, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ამ სამიოდე წლის წინათ გაბედა ეთქვა სიმართლე, დაესაბუთებინა, რომ დიდი მამულიშვილის მოკვლის საზარელი აქტი განხორციელდა არა მეფის ოხრანკის მითითებით, როგორც აქამდე ირწმუნებოდნენ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ იგი ორგანიზებული იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა დაჯგუფების მიერ. წიგნში აღნუსხული მასალების გამოქვეყნების ცდისთვის 1987 წელს ავტორს დაედო მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი, აკრძალული მოხსენება კი ხალხში გავრცელდა ხელნაწერის სახით.

4603020000 — 005
ბ ——————— 91
66448 — 91

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის ...

ავტორისაგან

ილია ჭავჭავაძის შესახებ წინამდებარე მასალები იბეჭდება ისე, როგორც გადავუგზავნე 1987 წელს (პირველი და მეორე ნაწილი) და 1988 წელს (მესამე ნაწილი) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და მის ისტორიის ინსტიტუტს, კინოსტუდია „ქართულ ფილმს", მწერალთა კავშირს, თბილისის უნივერსიტეტსა და მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს.

ამ მასალების მოხსენების სახით წაკითხვა სათანადო განცხადებითა და მოსაწვევი ბარათით დანიშნული იყო არქივების სააქტო დარბაზში 1987 წლის 19 ივნისს 18 საათზე (მომხსენებელი გახლდით მე). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოხსენებაზე მოსულ უამრავ წარმომადგენელს (იყვნენ რაიონებიდანაც ჩამოსულნი) სხდომათა დარბაზის კარი გადაეკეტათ და ღონისძიება ჩაიშალა. მიზეზი? ოფიციალური ორგანოების განცხადებით, ისინი „არ მისცემენ უფლებას არავის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებად გამოიყვანონ ჩვენი ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, კრისტალური კომუნისტები ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე".

1987 წლის 18 აგვისტოს „საარქივო დაწესებულებათა მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და უდისციპლინობისათვის" გამანთავისუფლეს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორობისაგან.

იმავე დღეს გავედი პარტიის რიგებიდან და ცენტრალურ კომიტეტს სათანადო განცხადებით დავუბრუნე

პარტბილეთი. მაგრამ განცხადებისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

საქართველოში მხოლოდ ორმა ადამიანმა — ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ — აიმაღლა ხმა ამ ანტიადამიანური მოქმედების წინააღმდეგ და პროტესტის ნიშნად დეპეშები და წერილები გაუგზავნეს როგორც მიხეილ გორბაჩოვს, ისე მოსკოვის საზოგადოება „გლასნოსტს" (მ. გობაჩოვისადმი გაგზავნილი წერილის რუსული ტექსტი დაიბეჭდა ჟურნალ „გლასნოსტის" მე-5 ნომერში და პარიზში „რუსკაია მისლის" №3689-ში. იგივე ტექსტი ფართო კომენტარებით გადაიცა საზღვარგარეთის რადიოსადგურებით). პარიზში გამომავალმა ქართულმა ჟურნალმა „მებრძოლმა საქართველომ" (1987 წლის №4) გამოაქვეყნა წერილის ქართული თარგმანი.

წერილში აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთი ოფიციალური პიროვნება კვლავ მიმართავს უხეშ ადმინისტრაციულ ზომებს იმათ მიმართ, ვინც ცდილობს გამოაშკარავოს სინამდვილე. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა ვ. გურგენიძე, რომლიც გაიცხეს პარტიის ღირსეული წევრის ფ. მახარაძის შეურაცხყოფისათვის, ხოლო პარტიულ ორგანოებს დაავალეს, შეისწავლონ მისი საქმე. დასასრულ წერილის ავტორები მოითხოვდნენ ვ. გურგენიძის მოხსენების ლეგალიზაციას და ავტორის ხელშეუხებლობას.

საზოგადოების პროტესტმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ განაპირობა სამუშაოზე ჩემი აღდგენა.

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ შეიქმნა ე. წ. ილიას მკვლელობის დამდგენელი სამთავრობო კომისია, რომელსაც მიეცა მითითება, შეესწავლა ყველა დოკუმენტი და წარმოედგინა სათანადო დასკვნა. თუ გაირკვეოდა სინამდვილე, მაშინ მთავრობა „არავის აპატიებდა ილიას მკვლელობას, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი".

დასასრულს, აღვნიშნავ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ ამ მასალების გარდა, მაქვს სხვა ახალი დოკუმენტებიც მაგრამ, როგორც დასაწყისში ვთქვი, წინამდებარე ნაშრომს წარმოგიდგენთ თავდაპირველი რედაქციით.

ნაწილი პირველი

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

(საარქივო დოკუმენტების მიმოხილვა)

„გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდედი ესე მეფობისა არს და არა ღვთისა მბრძოლობისა. ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უდებყოფთ სიმცირისათვის". ქართველი ერის დიდება და შარავანდედი, ღვთივ გვირგვინოსანი თამარი, სამეფო ტახტზე ასვლისას წარმოთქმული ამ სიტყვებით მიმართავდა საკრებულოს. ახალი ქართულით ასე გამოითქმის: გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი საამწყოს ყოველი ნაბიჯი. სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ. ბოროტმოქმედნი პირნი არ უნდა დარჩნენ დაუსჯელნი. იწყეთ მართლმსაჯულება თავდაპირველად თუნდაც ჩემზედ, თუკი დამნაშავე ვარ რამეში. გვირგვინი, რომელიც მე მადგას თავზე, არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ნურც გვარს, ნურც მთავართ დიდკაცობას: ყველას სიმართლით მოეპყარით, გლეხსაც და თავადსაც!

ამ სულისკეთებით ცხოვრობდა იმდროინდელი საქართველო და, თუ ოდესმე რაიმე შეუქმნია ქართველ ერს სადიდებლად და სანუგეშოდ „ვეფხისტყაოსნიდან" დაწყებული ვარძიამდე (კლდეში გამოკვეთილ „ვეფხისტყაოსნამდე"), თუ ოდესმე ბედნიერი ყამი ედგა საქართველოს, ეს იყო „იმ დედა ჩვენი დაუვიწყარის" (ილია) მიერ შექმნილი ქვეყანა თავისი „ოქროს ხანით". ეს იყო დრო, როცა არ იცოდნენ, რა იყო ბოროტმოქმედება, ქურდობა, ქვეყნის შიგნით ხალხის კვლა (მანვე, დიდებულმა თამარმა, აკრძალა „ძელზე კაცის ჩამოხრჩობა"); ეს იყო დრო, როცა ისეთი მოღალატე-დამნაშავეც კი, როგორიც აღმოჩნდა ბიზანტიაში გაძევებული თამარის უღირსი მეუღლე გიორგი (მან საქართველოში დაბრუნებულმა, ზოგიერთ ქართველ დიდებულთა დახმარებით, ორჯერ სცადა სამეფოს ხელში ჩაგდება), შეთქმულ თავადებთან ერთად კი არ დასაჯეს სიკვდილით, არამედ შეიწყალეს, კვლავ უვნებლად გაუშვეს, ხოლო აჯანყებულ

თავადებს თანამდებობა ჩამოართვეს. ამიერიდან, როგორც მატიანე გვაუწყებს, „დამკვიდრდა მშვიდობაი, სიხარული და ერთობაი, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს", საიდანაც იწყება, როგორც მეცნიერებაშია აღიარებული, მსოფლიო (აღმოსავლეთის) რენესანსი.

ისეთ ქვეყანაში კი, „სადაც საზოგადოება მოკლებულია ცხოვრებისათვის ბრძოლის კულტურულ საშუალებას, აუცილებლად თავი უნდა იჩინოს და ფესვი გაიდგას სისხლის ღვრამ, შურისძიებამ, ანარქიამ, ძალმომრეობამ, ქურდულად და ავაზაკურად მოქმედებამ, მეზობლურმა კინკლაობამ, წერილმანობამ, ქვემძრომობამ და სხვა ანტისოციალურმა მიდრეკილებამ" (გაზ. „ჩვენი გზა", 1907 წლის 4 სექტემბერი). სამწუხაროდ, სწორედ ასეთი იყო თამარის დროიდან 700 წლის შემდგომი საქართველო, როცა „ავაზაკურად", „ქურდულად", „ქვემძრომულად" განგმირეს მამა ქართველთა ილია ჭავჭავაძე, როცა ჯვარს ვაცვით „უგვირგვინო მეფე" საქართველოისა. ეს იყო დრო, როცა სამშობლო რუსთველისა და თამარისა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის „განაპირა მხარეს", — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, -რომელსაც თითქმის აღარაფერი გააჩნდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, გარდა მშობლიური ენისა და იმასაც მოსპობით ემუქრებოდნენ.

— ბოროტების მქნელნი არ უნდა დარჩნენ დაუსჯელნიო, — მიუთითებდა თავის სეფესიტყვაში მეფეთ მეფე თამარი და ეს მსოფლიო მასშტაბის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ყველაზე უპირველესი მოთხოვნაა ამჟამადაც ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხებისათვის. მაგრამ ჩვენთან? აგერ უკვე ოთხმოცი წელია წიწამურის ტრაგედიიდან და არ იქნა, ვერ გამოვიძიეთ, ვერ ვთქვით სიმართლე ილიას მკვლელობის შესახებ; ვერ „დავამტკიცეთ" მხოლოდ იმის გამო, რომ „გვირგვინოსნებზე", „გამოჩენილ ხელმძღვანელებზე", „ოფიციალურად აღიარებულ პირებზე" სიტყვის თქმა, რაიმე შენიშვნის გაკეთება დანაშაულად — ანტიპარტიულ, ანტისაზოგადოებრივ, ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად ითვლებოდა. ამიტომაც დუმდა ხალხი. ამიტომაც შეიქმნა „ეპოქა უხმო მორჩილებისა." ასეთმა ყოფამ მრავალგზის, არგაგონილი და არნახული უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით ოციან, ოცდაათიან და შემდგომ წლებში (ე. წ. პიროვნების კულტის პერიოდში), როცა უმოწყალოდ განადგურდა საზოგადოებრივ-პარტიული, სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენცია, ქალაქისა და სოფლის თაეკაცები...

მოვინანიებთ კი ყოველივე ამას?! შეეძლებთ კი ავმაღლდეთ დე-

მოკრატიის ამ დონემდე?! გვეყოფა კი გამბედაობა გამოვიდეთ ტრადიციული სოციალური შოკიდან?! დიდი სიძნელეების გადალახვა დაგეჭირდება! ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივბაძოთ რუს მეგობრებს. მათ უფრო სწორად და გაბედულად აღიქვეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელობა. აი, რას წერს ცნობილი რუსი ჟურნალისტი ბორის ვასილიევი თანამედროვე საზოგადოების გამოსაფხიზებლად:

— როდემდის უნდა ვდუმდეთ ჩვენს ქვეყანაში მოძხდარი სიბოროტისა და უსამართლობის დადგენა-შეფასებაზე? როდის გავაკეთებთ სამწუხარო და მწარე დასკვნებს ამ მიმართებით? როდის მოხდება საყოველთაო „მონანიება“. ყველა მათ მიმართ, რომელთა შესახებაც გვიძნელდებოდა ხმის ამოღება? ნუთუ წარსულის უსამართლობამ და დესპოტიზმმა მთლიანად მოგვისპო უნარი ვთქვათ სიმართლე? ნუთუ მყრალმა წარსულმა მთლიანად მოგვიწამლა და დაგვიკარგა სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის უნარი? და მოგვიწოდებს: „კმარა სიცრუე, კმარა ქედის მოხრა, კმარა ლაჩრობა, ბოლოს და ბოლოს გავიხსენოთ, რომ ჩვენ ყველანი მოქალაქენი ვართ, ამაყი ქვეყნის ამაყი მოქალაქენი!“ „იფიქრეთ, ადამიანებო! იფიქრეთ ბოლოს და ბოლოს, რამდენ ხანს შეიძლება იარსებოთ ისე, რომ ასრულებდეთ, მაგრამ არ ფიქრობდეთ, გჯეროდეთ, მაგრამ არ გწამდეთ?“ მოვუხმოთ გონიერებას ისევე, როგორც ამ ბოლო დროს ვეპყრობით კულტურისა და ისტორიულ ძეგლებს, — „როცა ეკლესიები ნავთის დუქნებად, საწყობებად და, წარმოიდგინეთ, საპირფარეშოებადაც კი გადავაქციეთ, როცა მონასტრებში ციხეები და კოლონიები გავხსენით, ბოლოს მოვეგეთ გონს და რაც დაგვრჩა, იმის გადარჩენისათვის დავიწყეთ ზრუნვა“. დიახ, ასე გაბედულად მოგვიწოდებს ბორის ვასილიევი თავის წერილში „გაფრთხილება“, რომელიც დაიბეჭდა „სოვეტსკი ეკრანის“ მე-6 ნომერში (იგი გადმობეჭდა გაზეთმა „თბილისმა“ მიმდინარე წლის 26 მარტს). ამ რეცენზია-წერილში განხილულია თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. მისი აზრით, ეს ფილმი გვამცნობს სინამდვილეს „თუ როგორ კლავდნენ ყველას და ყოველს — ადამიანს, სინდისს, მეგობრობას, პატიოსნებას, ნიჭს, სიკეთეს“, ეს არის „ფილმი ობივატელურ სიძულვილზე, სიძულვილზე წარსულის მიმართ“; „ფილმი ბოროტების მემკვიდრეობაზე; საზოგადოების სიმსივნურ დაავადებაზე და სულიერი განწყობილების მეტასტაზებზე (გადანაცვლებებზე), თაობებში რომ იდგამენ ფესვებს. გახრწნილებაზე — ბოროტებით; მმართველობაზე — ბოროტებით; ნაცვალგებაზე—ბოროტებით; ნუგეშის ცემაზე—ბოროტებით. დადგა დრო, გვაფრთხილებს წერილის ავტორი, მოვიშოროთ „გულგრილობის გარსი“, „კამეჩის

ტყავი" და დავიბრუნოთ „გონისმიერი და სულისმიერი გულწრფელობა".

დიახ, დადგა დრო მთელი პირდაპირობით და სისრულით ვთქვათ სიმართლე ყველაზე და ყველაფერზე, განსაკუთრებით ბოროტების მემკვიდრეობაზე", თუ გვსურს დემოკრატიას, პიროვნების უფლებას მივცეთ გასაქანი.

ჩვენი ქვეყნის ახალმა სტრატეგიულმა გზამ, ბუნებრივია, ჩვენს რესპუბლიკაშიც დღის წესრიგში დააყენა ის საკითხებიც, რომლებზეც მანამდე გაბედულად, საჯაროდ ხმის ამოღება და, მით უმეტეს, დაწერა წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, გვეჩვენებოდა კი არა, წარმოუდგენელი იყო. „აკრძალულ საკითხთან" განსაკუთრებით ბევრი დაგვიგროვდა მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის დარგშიც. ამ მრავალთაგან, ერთი მეტად მწვავე და მტკივნეული საკითხია ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვის გამორკვევა.

ჩვენთვისაც, ალბათ, დადგა დრო, (გულუბრყვილობა იქნებოდა, თითქოს საბოლოოდ) ვთქვათ სიმართლე, თუ როგორ ვხოცავდით მეფის ჯაშუშ „საძულველ თავადებსა" და მათ შვილებს, როგორ ვსპობდით „ყოფილ" საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მეფის სამსახურში ყოფილ თანამდებობის პირთა მემკვიდრეებს; როგორ ვანგრევდით და ეწვავდით ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, როგორ ვანადგურებდით ხელნაწერ წიგნებს და არქივებს, როგორ ვყრიდით საფლავიდან მეფე-მთავართა, ქვეყნისათვის წამებულთა და თავდადებულთა ძვლებს, საბოლოო ანგარიშით, როგორ ვსპობდით საქართველოს წარსულს... ამ ავბედობის ჟამს არ დავინდეთ არც ილია ჭავჭავაძის მშობლების საფლავები — ყვარლის ეკლესიაში დაკრძალული მათი ნეშტი. „გავუსწორდით" ილია ჭავჭავაძის ქვრივს ოლღა გურამიშვილსაც -შიმშილით ამოვხადეთ სული. (ჩვენთან სამწუხაროდ, დღესაც ამ საკითხებზე წერა კვლავ „სახიფათო ზონაა" რიგითი ავტორებისათვის).

ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? სანამ დოკუმენტურად, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გამოვარკვევდეთ ამ საკითხს, შეგვიძლია ამთავითვე გავცეთ პასუხი: ილია მოკლეს არც სომხებმა (იყო ცდა გადაგვებრალებინა „ქვათა ღაღადის" გამო მათთვის) და არც „სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა რუსებმა -მეფის ჟანდარმერიის წარმომადგენლებმა". ილია მოკალით ჩვენ და ამ მკვლელობაში ბრალი მიუძღვის მთელ ქართველ ხალხს, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ყველა წევრს! დიახ, ილია მოკალით ჩვენ, მისმა სათაყვანებელმა ქართვლის შვილებმა! და მისი მოკვლით, როგორც ვასილ ბარნოვი წერდა, „მადლობა გადავუხადეთ

საქართველოს დიდებულ გუშაგს მისის ისტორიული ღვაწლისათვის. ტყვიით განუგმირეთ შუბლი ქართველთ სიკეთეზედ ფიქრით მოცული, დაუყენეთ გული მათ სიყვარულად აძგერებული, ჩაუშალეთ ნებისყოფა მათ სანუგეშოდ ამოქმედებული და...

და გაბასრული გადაეტყორცნეთ შუა შარაზედ, რომ ყველას ენახა, რა პატივით ეპყრობა ქართველი თავის მოჭირნახულეს, საუკეთესო თავის შვილს, მისგან მოხიბლულს, მისის ეშხით ამეტყველებულს, მის მაშველად თავგადადებულს.

ამ ისტორიულმა ბოროტმოქმედებამ განაცვიფრა შეგნებული ყოველი ერი, ზიზღით გადმოახედა ჩვენს სამშობლოსაკენ" (ვასილ ბარნოვი, „სიტყვა ილიას შესახებ", წიგნიდან „96 ესსე", თბ., 1986 წ., გვ. 247).

ილია მოკალით მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა იგი საქართველოს, როცა ჩვენ ერთიერთმანეთზე წასისიანებულებმა და წასეულებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოვუცხადეთ საკუთარ თავს, საკუთარ ხალხს, საკუთარ სამშობლოს, ისედაც წამებულ ქართველ ერს.

ამ „საბრძოლო" სარბიელზე მთელი ძალით ერთმანეთს ებრძოდა ორი ბანაკი: სოციალ-დემოკრატები ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით და ეროვნულ-დემოკრატები დიდი ილიას მეთაურობით... და, ამ საბედისწერო ჟამს, ჩვენდა სამარცხვინოდ, სავალალოდ და სამწუხაროდ, ლაჩრად ქცეული ქართველი საზოგადოების წყალობით, ილია თითქმის მარტო აღმოჩნდა. მერედა რა კარგად დირიჟორობდა საქართველოს ყოფნა-არყოფნისათვის ამ ბრძოლას მეფის მთავრობა?! როგორ გულუხვად უმასპინძლდებოდა იგი დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლებს ტყვიით, ჩამოხრჩობით, საპატიმროებითა და გადასახლებებით. მან, თვითმპყრობელობამ, კარგად იცოდა, რაც ხდებოდა და რითაც დამთავრდებოდა, რა შედეგს მოუტანდა ეს შინაბრძოლა საქართველოს. ამ შემთხვევაში რუსეთის ჟანდარმერია პირნათლად ასრულებდა თავის „სამსახურეობრივ მოვალეობას", — ერთნაირად ანადგურებდა, სისხლისაგან ცლიდა რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა სხვადასხვა მიმართულებებად დაქსაქსულ მისთვის საძულველ ძალებს. ამჯერადაც მეფის მთავრობა კარგად იყენებდა ყველა დროის დამპყრობლების ნაცად მეთოდს — „გათიშე და იბატონე".

ასე რომ, მართალი იყო იაკობ გოგებაშვილი, როცა წერდა: — „მეფის აგენტებმა ისარგებლეს გლეხების უვიცობით, მოატყუეს ისინი, კლასთა ბრძოლა გაამწვავეს იმ განზრახვით, რომ ორივე

მებრძოლი კლასი დაეუძლურებიათ და მონობის უღელქვეშ დაენარჩუნებიათ" (ი. გოგებაშვილი, თხზ, ტ. IV, გვ. 50).

საერთოდ კი, იშვიათად გადახდენია ყოვლისმომსწრე ქართველ ხალხს ისეთი მძიმე და მტანჯველი პერიოდი, როგორიც ჩვენი საუკუნის პირველი სახევარი იყო. ვერაკითარი მტერი ვერ გვიზამდა იმდენს, რაც ჩვენ ერთმანეთს დავაწიეთ. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა საუკუნის დასაწყისში. და ამის პირველი დიდი მსხვერპლი ილია ჭავჭავაძე შეიქნა.

იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ, შეეძულებინათ, სასიკვდილოდ გაეწირათ ილია ჭავჭავაძე, რას არ კადრულობდნენ, რას არ „ამტკიცებდნენ", რას არ იგონებდნენ და უგონებდნენ, რას არ წერდნენ და აწერინებდნენ მოწინააღმდეგეები. ისინი განსაკუთრებით წამლავდნენ ხალხს, ე. წ. ტყის ძმებს, წითელ რაზმელებს, წითელ პარტიზანებს, „ყაჩაღებს". ამავე დროს, შიშის ზარს სცემდნენ ყველას, ვინც გამოესარჩლებოდა ილიას. ისე ააზვირთეს უმეცართა ტალღა, რომ მისი შეჩერება შეუძლებელიც შეიქნა.

თუ რა დონეს მიაღწია ილიასადმი მტრობამ, მოვუხმოთ რამდენიმე დოკუმენტს. ამონაწერი ზაქარია ჭიჭინაძის წერილიდან. იგი წერს: „ილიას სიკვდილამდე ორი თვით ადრე 1907 წელს, თბილისში, ერთ-ერთ სასადილოში სუფრაზე მიმიპატიჟეს. სუფრას უსხდნენ სოციალ-დემოკრატები ისაკა ალხანაშვილის თამადობით. მასპინძლებმა, კარგად იცოდნენ რა ჩემი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიისადმი, ილია ჭავჭავაძისადმი (მასზე წიგნიც მქონდა დაწერილი), არ დააყოვნეს „პატივისცემა". შემდეგ ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს ისაკა ალხანაშვილის უწმაწური ქუჩური სიტყვები, რომელთა გადმოწერისაგან თავს ვიკავებთ. დასასრულ ზ. ჭიჭინაძე წერს: „როცა ამას ბრძანებდა, მაშინ მის ამხანაგთა სიხარულსაც საზღვარი არ აქვნდა... აქ ისეთი ლანძღვა და გინება მოხდა, ჭავჭავაძის პიროვნების ისეთი შელახვა და შეპილწვა, რომ მასზედ უსაძაგლესი მე არა მინახავს რა... ესეთი საძაგელი გმობა და კიცხვა მე ველარ მოვითმინე, მეც ავღელდი და უცბად უთხარი შემდეგი: თქვენ ყველანი ძაღლის თესლიდამა ხართ გამოსული. თქვენ სოციალ-დემოკრატები კი არა, ნამდვილი უსრდელი კინტოები ხართ მეთქი" (ლხცსა, ფონდი 215, აღწ.1 საქ. 12, გვ. 4—5)..

შემდეგი ფაქტი. გაზ. „ივერიის" 1905—1906 წლების რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი გვამცნობს: ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. მის საწინააღმდეგოდ „მოგზაურში" (მისი ფაქტიური რედაქტორი ფ. მახარაძე იყო, ფორმალური — ი. როსტომაშვილი — ე. გ.) დაბეჭდილ კორესპონდენციაზე ილიამ დაწერა საპასუხო წე-

რილი „ივერიაში“ დასაბეჭდად. რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც გვაფრთხილებდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინვე გაფიცვას მოვაწყობთო (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938 წ. გვ. 29; გაზ. „მუშა“, 1937 წ., 14 ოქტომბერი). აი, სანამდისაა მისული ილიას წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური კამპანია, — მის მიერ დაარსებულ გაზეთშიც კი არ უბეჭდავდნენ საპასუხო წერილს!

„ილია თავადი“, „ილია ბურჟუა“, „ილია გლეხების მყვლეფელი“, „ილია მუშების მტერი“, „ილია მთავრობის ყურმოჭრილი მონა“, „ილია სამღვდელოების მოშხრე“, „ილია მდიდართა ინტერესების დამცველი“, „ილია სოციალ-დემოკრატების მტერი“ და კიდევ ვინ იცის, რას არ უწოდებდნენ მას.

სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის ფ. მახარაძის პროპაგანდის შედეგად, ირგვლივ ტერორისტულ აქტებს, მემამულეთა და გლეხთა შორის მტრობას, ყაჩაღობას, მემამულეების ბაღ-ვენახებისა და ტყეების გაჩეხვას, მათი სახლ-კარის გადაწვას, სასიკვდილო მუქარის წერილებს „საძულველი თავადებისადმი“, ემატებოდა ფ. მახარაძისავე შეურაცხმყოფელი წერილობითი გამოხტომები ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ: „ოინბაზი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ჯაშუში“, „კაცთმოძულე“, „მონარქისტი“, „კონტრევოლუციონერი“, „რეაქციონერი“... „ჩვენ არა გვგონია, — წერდა ფილიპე მახარაძე თავისსავე ჟურნალ „მოგზაურში“, — საქართველოს მიწაზე მოიძებნებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“. და კიდევ რამდენი ზიზღია გამოხატული ფ. მახარაძის წერილში „ბატონების ინტერესების დამცველის“, „ჯაშუშისა და გლეხების მყვლეფელის“, „ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ მთელავის“ ილიას მიმართ. ამაზე მეტი წასისიანება, ამაზე მეტი შეურაცხყოფა, ამაზე მეტი სასიკვდილოდ გაწირვა წარმოუდგენელიც კია. ფაქტიურად, ფილიპე მახარაძის ეს წერილი გადაიქცა ილია ჭავჭავაძის სასიკვდილო „საბრალდებო დასკვნად“ და მოწოდებად უმეცარი და გაუნათლებელი ხალხისადმი, სისრულეში მოეყვანათ განაჩენი — სიკვდილით გასწორებოდნენ მათთვის ყველაზე საზიზღარ თავადს ილია ჭავჭავაძეს.

ილიასადმი საძულველი პროპაგანდის წყალობით ისე გადარიეს ხალხი, რომ ყველგან ანადგურებდნენ და სპობდნენ ილიას ნაწერებს.

როგორც სილოვან ხუნდაძე წერდა 1907 წელს ქუთაისში დაბეჭდილ ბროშურაში „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, „უპატიოსნო

და სინდისზე ხელაღებულნი იქამდისაც მივიდნენ, რომ მის თხზულებებს საჯაროდ სწვავდნენ, მის სურათებს გლეჯდნენ, სთხრეშდნენ ყოველგან, სადაც კი თავიანთი ბინძური ხელი მიუწვდებოდათ...“ (გვ. 11).

ილია ჭავჭავაძე „დათვადაც“ კი იყო მონათლული. თურმე, ილიას მოკვლის დღეს, ზემოავჭალის მცხოვრებ ესტატე ციციშვილის სახლში საღამოხანს მისულან: ინაშვილი, ფშავლიშვილი და ვინმე თომა წიწამურელი. მათ ციციშვილთან საუბარში განუცხადებიათ: „დღეს ერთი დიდი დათვი მოვკალით“. მერე მიმხვდარა ციციშვილი, როცა შეუტყვია ილიას მკვლელობა, რომ ეს ბანდიტები „დათვად“ ილიას გულისხმობდნენ. (გაზ. „სახალხო განათლება“, 1980 წ., 5 ნოემბერი, — „უცნობი მოგონება ილია ჭავჭავაძეზე“).

დღევანდლამდე თითქმის ყველა ჩვენი მკვლევარი, — ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი და სხვ., როცა თავის წიგნებსა და ნარკვევებში ილიაზე, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მსჯელობს, — კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ყველა ამ საკითხზე მომუშავეთა „მიღებულ“ თუ „მიუღებელ“ აზრებს, შეხედულებებს, თეორიულ დასკვნებს, თავისებურად ცდილობს „ფაქტებზე დაყრდნობით“ უარყოს, ან გაამართლოს სხვათა შეხედულება, მათი კონცეფციები ილიას შესახებ, მაგრამ...

მაგრამ ყოველთვის, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე რჩება, ფილიპე მახარაძე და მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი. უფრო მეტიც, დღევანდლამდე მონოგრაფიულად შესწავლილიც არ გვაქვს ეს საკვანძო საკითხი, ამ საკითხზე შრომები კი საკმარისზე მეტია...

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეს თემა ფაქტიურად „აკრძალულ“ ზონაშია მოქცეული. შეიძლება შეგვედაონ და ჩამოგვითვალონ კიდეც მკვლევარები, რომლებსაც ამ საკითხზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული, მაგრამ მხოლოდ „აზრია გამოთქმული“. აი, თუნდაც მიმდინარე წელს გამოცემული პროფ. მ. გაფრინდაშვილის წიგნში, სადაც განხილულია თითქმის ყველა ავტორი, ვისაც კი რაიმე აქვს დაწერილი, როგორაა გარჩეული და დახასიათებული ფილიპე მახარაძის დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი:

„ფ. მახარაძეს იმთავითვე კერძო საკუთრების და თავადაზნაურობის იდეოლოგად და გლეხთა მჩაგვრელ მემამულედ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძე, მოგვიანებით კი იგი სრულიაღ უსაფუძვლოდ რეაქციონერადაც გამოაცხადა“ („მოგვიანებით“ კი არა, თავიდანვე რეაქციონერად და კონტრევოლუციონერად თვლიდა იგი ილიას, — ვ.გ.) და, რომ „მისი აზრით, ილია ბატონყმობის მოსპობის ნამდ-

ვილი მომხრეც კი არ იყო" (მ. გაფრინდაშვილი, „ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში". ისტორიულ-მეთოდოლოგიური ნარკვევი, თბ., 1987 წ., გვ. 27). ესაა და ეს, მაგრამ სადაა აქ კრიტიკა? (თუმცა ასე გამოკვეთილად ადრე ამის თქმაც არ შეიძლებოდა). ხომ ვიცით ყველამ, ვისაც რაიმე აქვს დაწერილი ამ საკითხზე, რომ ფ. მახარაძეს სიკვდილამდე ილია მიაჩნდა საზოგადოებრივი პროგრესის მოწინააღმდეგედ, რეაქციონერად, კონტრევოლუციონერად, საქართველოს „მუშებისა და გლეხების მტრად", — „სისხლის მსმელად", „ჯალათად"?! მარტო ფ. მახარაძის ზემომითითებული შემზარავი და ანტიადამიანური წერილის გახსენებაც საკმარისია!

აი, რა ფონზე უნდა ყოფილიყო განხილული ყველა მკვლევარის შრომებში ფილიპე მახარაძე და მისი დამოკიდებულება ილიას „დემოკრატიულ", „რევოლუციურ", „სოციალისტურ", თუ მათ საწინააღმდეგო შეხედულებებთან. დღესაც კვლავ დავდუმდეთ ძველებურად ამ საკითხზე, კვლავ ვიაზროვნოთ წინასწარ მოცემულ „ჩარჩოებით", უხერხულობა კი არა, სირცხვილია! აბა, როგორ შეიძლება არ თქვა ყოველივე ის, რაც მოიმოქმედეს, როგორც თვითონ სოციალ-დემოკრატები უწოდებდნენ, „მეფის ოხრანკისაგან მოსყიდულმა" ჯაშუშებმა, ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიული პარტიის „გადაგვარებულმა წევრებმა" და მათმა ერთ-ერთმა უშუალო ხელმძღვანელმა ფილიპე მახარაძემ? როგორ შეიძლება იგნორირება გაუკეთო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომელიც ფილიპე მახარაძემ გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს? როგორ შეიძლება ყველაფერი, თვით წიწამურის ტრაგედიაც, გადააბრალო მეფის ჟანდარმერიისაგან „მოსყიდულ" რომელიმე სოციალ-დემოკრატს? როგორ შეიძლება „თვალი დახუჭო", ანგარიში არ გაუწიო თუნდაც განადგურებას გადარჩენილ იმ საარქივო დაკუმენტებს, რომლებიც დღევანდლამდე მდუმარებენ ჭეშმარიტების დადგენის საქმეში? ანდა, როგორ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო ფილიპე მახარაძის მმართველობის პერიოდში იმ ბოროტმოქმედებებს, მკვლელობებსა და რეპრესიებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში?

კაცობრიობის ისტორიაში, თუნდაც ქრისტედან მოყოლებული, ცოტა როდია მაგალითი, როცა ქვეყნის მეთაური, სამშობლოს თავისუფლებისათვის, თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული შვილი მტრად გამოეცხადებინათ, სამარცხვინო ბოძზე აეყვანათ, ჯვარს ეცვათ, თავი მოეკვეთათ, ცეცხლში დაეწვათ, მაგრამ ის, რაც გაუკეთეს ილია ჭავჭავაძეს, მსგავსი რამ არ მომხდა-

რა. რა მართალი იყო გენიოსი პოეტი და მოაზროვნე ვაჟა, როცა წერდა: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში, არ მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკი შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლუციავ, ჩვენს ხელში...“ (ვაჟა-ფშაველა, გაზ. „ისარი“. 6 სექტემბერი, 1907 წ., „ვერ მოჰკლეს“).

და, მართლაც, „საბრალო რევოლუციავ“ შეუგნებელ და უბადრუკ შვილთა ხელში! თვით სოციალ-დემოკრატები (რომ თავი დაეცვათ და ამავე დროს გაემართლებიათ ილიას მკვლელობა) აი, რას წერდნენ თავიანთ გაზეთში „ჩვენი გზა“ 1907 წლის 9 ოქტომბერს:

„როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება (იგულისხმება ილიას მკვლელობა, — ვ.გ.) ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ: სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისათვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“ (შეიძლება დღესაც აღმოჩნდნენ ამ „რკინისებური ლოგიკის“ მიმდევრები, — ვ.გ.).

ეს ციტატა მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, რომ სოციალ-დემოკრატები თავიანთ თავზე იღებენ ილიას მკვლელობას, მეორეც, იმიტომ, რომ მათთვის ილია თურმე წარმოადგენს „ნაფოტს“ და მესამე, ვინც არ უნდა აწერდეს ხელს ამ წერილს, ადვილი მისახვედრია, რომ იგი „ბერბიჭაშვილთაგანი“ არ უნდა იყოს.

ამ განცხადებით ისიც ნათელი ხდება, თუ როგორ ესმით ამ ვაი-თეორეტიკოსებს რევოლუცია, მისი მნიშვნელობა და შედეგები, რომ არაფერი ვთქვათ ამ რევოლუციაში ქართველ განმანათლებელთა როლსა და ადგილზე ქვეყნის განთავისუფლების საქმეში.

ასე როდი აღიქვა ილიას მკვლელობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) აქტიურმა წევრმა, მოსკოვიდან თბილისში არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობისათვის ჩამოსულმა, რუსულ ჟურნალ „ვსტან, სპიაშჩის“ რედაქტორ-გამომცემელმა იოანე ბრიხნიჩევმა. ქართველი სოციალ-დემოკრატების საპირისპიროდ, მან უდიდესი აღშფოთება გამოხატა ქართველი ხალხის მამისა და მასწავლებლის ილია ჭავჭავაძის ბარბაროსული მკვლელობის გამო. ქართველი ერის ამ არნახულ გლო-

ვას უძღვნა საპროტესტო წერილი სათაურით: „ნე ვედაიუტ, ჩტო ტვორიატ“, რომელიც დაიბეჭდა 1907 წლის 9 სექტემბერს გაზეთ „ზაკავკაზიეში“. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ილიას მკვლელებს, ამ ველურ „ბნელეთის მოციქულებს“. (იოანე ბრიხნიჩევმა ეს წერილი ციხიდან გამოუგზავნა გაზეთის რედაქტორს). მან ისიც კარგად იცის, თუ ვინაა მთავარი მკვლელი, თუ ვინ ჩაიდინა ეს სამარცხვინო ბარბაროსული აქტი. რომ ილია მათ არ მოუკლავთ, ვინც ეს ტრაგიკული აქტი შეასრულა, „რამეთუ არ იცოდნენ, თუ რასა იქმოდენ“...

ამ ბოროტი მოქმედებით, განაგრძობს იგი, „დიდი ქართველი მწერლის ილიას მკვლელობით სამუდამოდ ჩააქრეს საქართველოს სიმართლის უდიდესი სანთელი; მოკლეს პოეტი, რომლის მთავარი ოცნება იყო თავისი ხალხის განთავისუფლება, სამშობლოს გაზაფხული, მისი აყვავება“... მას, რუს სოციალ-დემოკრატს ი. ბრიხნიჩევს, ილია ჭავჭავაძე ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მედროშედ მიაჩნია, რუსეთის სახელოვან შვილადაც. „ისეთი უდიდესი ადამიანი, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, ეკუთვნის ყველა ხალხს... ილია მთელი თავისი სიდიადით მასწავლებელია ჩვენიც, რუსი ხალხისაც“.

ასე როდი გამოეხმაურნენ ილიას სიკვდილს ქართველი სოციალ-დემოკრატები. აი, რას წერს თედო სახოკია: 1907 წელს, სანამ გამასამართლებდნენ და გამაციმბირებდნენ, სოხუმის საპატიმროში ვიჯექი. ჩემთან ერთად იყვნენ გუდაუთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეები. როცა გაზ. „ისარმა“ გულშემზარი ამბავი მოგვიტანა, იქ მყოფ პოლიტიკურ პატიმრებს წინადადება მივეცი სამძიმრის დეპეშა გაგვეგზავნა ილიას მკვლელობის გამო. სოციალ-დემოკრატებმა უარი გვითხრეს: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო... აბა რას წარმოვიდგენდი, რომ ილია ჭავჭავაძის სიკვდილი ყველა ქართველისათვის ერთნაირად სამწუხარო არ იქნებოდა... (თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ, 1969 წ., გვ. 36).

ოთხმოცი წელი გავიდა ქვეყნად სიმართლისა და სინათლის, სიხარულისა და სიყვარულის სწორუპოვარი მქადაგებლის ილიას მკვლელობიდან. მას შემდეგ რა არ ითქვა, რა არ დაიწერა... მაგრამ არ თქმულა „ოფიციალურად“ და არ დაწერილა ისიც კი, რაც ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატებმა თქვეს და დაწერეს 1907 წლის 9 ოქტომბერს თავიანთ გაზეთის „ჩვენი გზის“ ფურცლებზე. ისტორიკოსებისათვის ამის თქმაც აკრძალული იყო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არ დაწერილა არც ის, თუ კონკრეტულად ვინ უნდა

ყოფილიყო ამ ტრაგედიის ხელმძღვანელი, თუმცა ესეც ცნობილი იყო იმთავითვე.

ეს „ჯადოსნური წრე" განსაკუთრებით გვაღელვებს დღეს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავზე. კვლავ ვსვამთ კითხვას: დადგა კი დრო, ეხლა მაინც ხალხს ვუთხრათ სიმართლე „საქართველოს მკვლელების" შესახებ, ვუთხრათ ხმამაღლა, ფარდა ავხადოთ „საიდუმლოებით" მოცულ სამყაროს, და ვიხსნათ ჭეშმარიტება ამ „ჯადოსნური წრიდან"?!

დიახ, დადგა ეს დრო, მადლობა ღმერთს! უნდა ვაღიაროთ ჩვენი და ჩვენი წინაპრების შეცდომები. უნდა ვთქვათ სიმართლე, თუ როგორ ვაცვით ჯვარს ილია, საქართველოს მამა და წინასწარმეტყველი. ეს აუცილებელია, ეს უნდა იცოდეს თანამედროვეობამ! დღეს ამ საკითხის ირგვლივ კვლავ თვალის დახუჭვა, ძველებურად კვლავ მიყრუება აღარ გვეპატიება, ჩვენი მხრიდანაც დიდზედიდი დანაშაული იქნება. დადგა დრო კინოფილმ „მონანიების" მსგავსად ხალხს ვუთხრათ სიმართლე, „საფლავიდან ამოვთხაროთ" არავიძეები. ეს უნდა გაკეთდეს დაუფარავად, უკომპრომისოდ, ყოველგვარი „ავტორიტეტის" გაფრთხილების, მისი შებღალვის შიშის გარეშე. ჩვენმა ხალხმა თითქმის ღმერთებად ქცეულ ავტორიტეტებს რუსეთშიც და ჩვენთანაც მიუზღეს საკადრისი „ჩვენს თვალწინ" — „საფლავიდან ამოთხარეს" „მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწენი".

უნდა დაისაჯონ სიკვდილის შემდეგ კაცის მკელელები, ერის შეურაცხმყოფელნი, ჩვენი ხალხის, ჩვენი ისტორიის აბუჩად ამგდებნი. ეს საჭიროა საქართველოს დღევანდელობისათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის, მისი მარადისობისათვის. და უნდა ვთქვათ ყოველივე ფაქტებზე დაყრდნობით, არა მარტო წერილობითი დოკუმენტებით, არამედ ზეპირგადმოცემებითაც, განსაკუთრებით წამებულ „მავნებელთა" შთამომავლებისაგან, რომლებიც თვითმხილველნი იყვნენ ამ შემაძრწუნებელი და საშინელი ბოროტმოქმედებისა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული.

არ უნდა დავივიწყოთ და მრავალგზის გავიმეოროთ, თუ როგორ ხოცავდნენ „ჯაშუშ" თავადებს, მათ მოსამსახურეებსა და ახლობლებს ბერბიჭაშვილები და მათი მემკვიდრეები. სწორედ მათი „მმართველობისა" და „ხელმძღვანელობის" პერიოდში დაინგრა და განადგურდა ისტორიული ძეგლები — ეკლესია-მონასტრები, ციხე-გალავანნი; დაიწვა და გაცამტვერდა ეკლესიებში დაცული ეროვნული კულტურის საგანძური — ნივთიერი და წერილობითი ძეგლები; დაიწვა და განიავდა ყოფილ თავად-აზნაურთა შთამომავლების

ოჯახებში დაცული არქივები, სიგელ-გუჯარნი. იგივე დაემართა ოციან და ოცდაათიან წლებში ხალხის მტრებად გამოცხადებულ ოჯახებში დაცულ წერილობით, თუ სხვა სახის კულტურულ მემკვიდრეობას... უნდა გავიხსენოთ და ვთქვათ ყველაფერი!

თუ ჩვენი მეცნიერნი შიშის გამო დღევანდლამდე სიტყვას ვერ ძრავდნენ არავიძეებზე და მათ „ღვაწლზე", ამჟამად ეს საშიშროება მოხსნილია. ვიდრე დაგვიანდებოდეს, დღესვე უნდა ითქვას ყველაფერი არა მარტო ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, არამედ ბოროტმოქმედებით აღსავსე იმ გზაზე, რომელიც გაიარეს არავიძეებმა და მათმა ნაშიერებმა. არავიძეების მსგავსად მათ ისიც ეყოფათ „უკვდავსაყოფად", რომ მომავალი მეისტორიენი ყოველთვის წყევლითა და კრულვით მოიხსენიებენ...

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის კიდევ უფრო ნათელსაყოფად, კვლავ მოვუხმოთ ახალ, საზოგადოებისათვის „უცნობ დოკუმენტებს.

ცენტრალური არქივის ერთ-ერთ საარქივო ფონდში დაცულია ყოფილი ცეკას მდივნის კოტე გორდელაძის 1936 წლის „ნარკვევი" ილიას მკვლელობის შესახებ. (კ. გორდელაძე ცნობილი პარტიული მუშაკი იყო ფ. მახარაძის დროს, ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ საკითხებს). ავტორს მიზნად დაუსახავს, დაამტკიცოს, რომ ილია მოიკლა არა „რევოლუციური ინტერესებისათვის", როგორც სოციალ-დემოკრატები აღიარებდნენ, არამედ გლეხებთან გამწვავებული ურთიერთობისათვის „მეფის აგენტების მხრიდან". ეს პოზიცია გასაგებიცაა -იგი ხომ ვერ დაუპირისპირდებოდა ფ. მახარაძის კონცეფციას?!

მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში (ლხცსა, ფონდი №215, ანაწ. 1, საქ. 17) მაინც კარგად ჩანს ისტორიული ჭეშმარიტება. კ. გორდელაძის აზრით, „ყოვლად უსაფუძვლო და უმსგავსო ბრალდებაა, თითქოს ილია სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს" (გვ. 1). რომ საკითხის ასე დაყენება საფუძველშივე მცდარიაო, რადგან ფ. მახარაძე სხვაა და სოციალ-დემოკრატები სხვა. ასეთი დამოკიდებულება ამჟამადაც აწყობს კიდეც ზოგიერთ „მკვლევარს", რადგან სოციალ-დემოკრატებს გადააბრალოს ილიას მკვლელობა, ნიშნავს, მათი ლოგიკით, ველარაფერი თქვა ფ. მახარაძეზეც.

კ. გორდელაძე აგრძელებს: „მცდარია, თითქოს ილია ჭავჭავაძე მოიკლა სოციალ-დემოკრატების კარნახით" (გვ. 2); „რომ მეფის თვითმპყრობელობამ განზრახ გაავრცელა ვერსია, თითქოს ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს" (გვ. 3); „რომ ფორმალურად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები, ფაქტიურად კი ოხრანკის აგენტები — დიმიტრი ჯაში, ვასილ ნაცვლი-

შეილი, ვანო ინაშვილი და სხვ. მცხეთის რაიონის გლეხები, სადაც მკვლელობა მოხდა, ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ილიას ტერორი დაუნიშნა, რათა ასეთი პროვოკაციული გზით ილიას ვერაგული მკვლელობა ამ პარტიისათვის მოეხვიათ თავსო" (იქვე).

ამავე დოკუმენტ-ნაშრომში მოტანილია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილი ერთ-ერთი წამყვანი წევრის, მკვლელობის დღეს თბილისიდან გამოგზავნილი მ. კლიმიაშვილის წერილობითი ცნობა, რომლითაც ვგებულობთ, რომ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა მომხდარა შუადღისას და მთელი სოფლის (წიწამურის) მცხოვრებნი უყურებდნენ, თუ როგორ ამზადებდნენ ამ მკვლელობას; დასახელებულია მკვლელებიც, მათ შორის გიგლა ბერბიჭაშვილი. მ. კლიმიაშვილი წერს: „დაბეჯითებით ამბობენ, რომ ილია ტერორისტული აქტის მსხვერპლია, რომ ეს აქტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილებით იქნა შესრულებული, რომ სოფელმა ამიტომ ვერ შეუშალა ხელი მკვლელობას, თორემ ილიას მკვლელობის მსურველნი არავინ ყოფილა. თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცხეთის ორგანიზაციაში იზიარებდნენ ამ აზრს და პირველ მომენტში ამ მკვლელობას სთვლიდნენ, როგორც პოლიტიკურ ტერორის აქტს" (გვ. 4). კ. გორდელაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ აქტიური წევრის ნათქვამსაც მეფის „ოხრანკის" პროვოკაციად ნათლავს და „ამტკიცებს", რომ ეს არ იყო „პოლიტიკური ტერორის აქტი". ამ თვალსაზრისით მიუთითებს ჟანდარმერიის დოკუმენტებზე, სადაც თბილისის გუბერნატორი პეტროგრადში იუსტიციის მინისტრს ატყობინებს, რომ ილიას მკვლელობა მოხდა აგრალურ ნიადაგზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წაქეზებითა და თაოსნობითო.

მოვიტანოთ ეს დოკუმენტი მთლიანად:

„პეტერბურგი, სახელმწიფო კანცელარიას.

30 აგვისტოს, დაახლოებით ნაშუადღევის პირველ საათზე, საგურამოდან 4 ვერსის დაშორებით, დუშეთის მაზრაში, სამხედრო ფორმაში გადაცმულმა ბოროტგანმზრახველებმა ტყვიით მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოსამსახურე. დაჭრილია კნეინა, რომელიც კონდახებით სცემეს თავში. ყველანი გაძარცულნი არიან. მიღებულია სასწრაფო ზომები. არის მოსაზრება, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. გაძარცვა სიმულიაციის მიზნით არის მომხდარი" (საქმე №194, სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, №218, 1907 წ. გვ. 3; კ. გორდელა-

ძის შრომა, გვ. 5,6,7). თურმე, როგორც შემდეგ პ. ფშაველი'შვილის. მოცემულ ჩვენებიდან ჩანს, როცა გადმომხტარან ავაზაკები თოფებით ხელში, ილიას უთხოვია: „ნუ მომკლავთ, აბა, მოხუცი კაცის მოკვლით რა სახელი გაგეთქმებათო, მაგრამ ამაოდ... „ილიას ჩანთაში აღმოაჩნდა ქაღალდის ფული 600 მანეთი და ვერცხლისა — 120 მანეთი. ამ ჩანთაში ეწყო სხვა ქაღალდებიც, რომელიც დაეწვით, რომ ხელ'ში არავის ჩავარდნოდა". (დასახ. ფონდი, საქ. 26, გვ. 22—23).

კ. გორდელაძე დაასკვნის: ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილი იყო მეფის თვითმპყრობელობის მიერ და შემდეგ მთელ თავის ნარკვევს იქითკენ წარმართავს, რომ ფაქტებით დაამტკიცოს, თუ რატომ მოკლა ილია „მეფის თვითმპყრობელობამ". ამავე ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკე ჩერდება დიმიტრი ჯაშზე, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის „მთავარ ორგანიზატორზე". ნაშრომში ჯაშისადმი მას სამი თავი აქვს მიძღვნილი. დ. ჯა'მს იგი უწოდებს „ფორმალურად სოციალ-დემოკრატს, ხოლო ფაქტიურად ჯაშუშს". აღსანიშნავია ისიც, რომ „ოხრანკის აგენტი" ჯაში, სულ ორთვენახევარი იყო ილიას მოურავად და ისიც მიღებული იყო ილიას დის შუამავლობით (მაშინ ჯაში 23 წლის იყო).

ჯაშის მსგავსად კ. გორდელაძემ ასევე „ჯაშუშად" მონათლა ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ ნდობით აღჭურვილი სოციალ-დემოკრატიის აქტიური წევრი მ. კლიმიაშვილი. რომ დ. ჯაშიც ასევე აქტიური წევრი იყო ამ პარტიისა. მოვუსმინოთ ჟანდარმერიის ერთ-ერთ დოკუმენტს: „ი. ჭავჭავაძის ახალი მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში სოციალ-დემოკრატიული პარტიას ეკუთვნის და სხვადასხვა პოლიტიკური დანაშაულისათვის სხვადასხვა დროს სამჯერ იჯდა საპატიმროში" (ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მეთვალყურეობის წარმოება თავ. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე, №3065, გვ. 129; კ. გორდელაძის შრომა, გვ. 15).

თავისსავე ადრე გამოთქმულ დასკვნების საწინააღმდეგოდ, გორდელაძე იმასაც წერს, რომ დ. ჯაში ოხრანკის სამსახურში შესულა ილიას სიკვდილის შემდეგ, 1908 წელს. შემდეგ ეს ადგილი ავტორის მიერ წაშლილია, ალბათ, როგორც მისთვის მიუღებელი ფაქტი (გვ. 25). ასე რომ, წინააღმდეგობებით აღსავსე კ. გორდელაძის „ნარკვევი" საეჭვოსაც ხდის იმ დებულება-ბრალდებას, თითქოს ჯაში ყოფილიყო ილიას მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი. ამ მიზნით, თავისი დასკვნის დასამტკიცებლად, რომ ჯაში იყო მთავარზე მთავარი ორგანიზატორი, იგი წერს: „ილიას მკვლელო-

ბის, გამორკვევის საქმეში თავისთავად დიდ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დიმიტრი ჯაში, სტამბის ყოფილი მუშა, სოციალ-დემოკრატი, ილია ჭავჭავაძეს მოურავად უდგება. უნებლიეთ ისმება კითხვა, რატომ უნდა მოსვლოდა აზრად ასეთ კაცს მემამულესთან მოურავად დადგომა, თუ იგი სხვა რაიმე წინასწარი განზრახვით არ ხელმძღვანელობდა?"... „ნუთუ ვერ დაინახა ამ ორი საქმის შეუფერებლობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მან გაფრთხილება მიიღო ნ. რამიშვილისაგან, უარი ეთქვა მოურაობაზე, თორემ პარტიიდან გარიცხავდნენ"? (იქვე, გვ. 45, 58).

ასე და ამგვარად, „ნარკვევის" ავტორი საბოლოოდ გამოუვალ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა: ჭეშმარიტებამ სძლია ტენდენციურობას, და ამით დახმარებაც გაგვიწია სიმართლის დადგენაში. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ მის „მტკიცებებს": ერთგან იგი გვისაბუთებს, რომ ილია მოიკლა „თვითმპყრობელობის მიერ მოწყობილი პროვოკაციით", მეორეგან მკვლელობის მიზეზად აცხადებს აგრალურ საკითხს, გლეხებთან ილიას ურთიერთობას, და, მესამეგან ამ დებულების საწინააღმდეგოდ დაასკვნის: „რომ არ შეიძლება არც ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც მოწმობდეს, რომ ილიამ გლეხობასთან დამოკიდებულებაში ჩვეულებრივი მემამულის სიმკაცრე, მხეცობა და ბოროტება გამოიჩინა" (გვ. 80, 81). კ. გორდელაძემ კარგად იცოდა, რომ ასეთი დასკვნა ძირშივე ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ფ. მახარაძისეულ შეფასება-დახასიათებას ილიას შესახებ, მაგრამ ფაქტები უფრო ჯიუტი აღმოჩნდა...

გლეხებთან ილიას დამოკიდებულების საკითხზე, თუ როგორ დაიცვა სიკვდილმისჯილი გლეხი, მოვიტანთ კიდევ ერთ დოკუმენტს კ. გორდელაძის ნაშრომიდან: „სოფელ გალავნის მცხოვრები გლეხი ტატიშვილი 1906 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი გლეხების ერთ-ერთი კრების შესახებ მოგვითხრობს: კრება მოხდა ა/წ ივნისში სოფელ ბიწმენდის ბოლოს წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში. კრებას დაესწრნენ გლეხები სხვადასხვა სოფლებიდან. ამ კრებაზე გადაწყდა მოკვლა ჯაშუშ ანტონ ნაედარაშვილისა, ტყის მცველ ალექსანდრე ცისკარიშვილისა, სოფელ ნავდარიანთკარის მცხოვრებ სოლკა, იგივე ქოსა ჯავახიშვილისა. ეს უკანასკნელი ყოფილა მებატონე სტაროსელსკის და ციციშვილის ტყეებისა და მინდვრების ყარაული და მემამულეების დიდი დამხმარე, ბოხელე და მთავრობის ჯაშუში, ამავე წელს ტფილისში ტერორისტებმა მოჰკლეს ცისკარიშვილი, მცხეთის გზაზე კი მოკლული იქნა სოლკა ჯავახიშვილი. მკვლელი იყო გზირიშვილი,

რომელსაც სამხედრო-საველე სასამართლომ ამისათვის გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა. ილია ჭავჭავაძის შუამდგომლობით ჩამოხრჩობა შეუცვალეს 9 წლით კატორღით" (გვ. 84, 85).

ე. ი. ილიას დახმარებით გლეხი აღარ ჩამოუხრჩვიათ, მაგრამ ეს დოკუმენტი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ კონკრეტულად გადმოგვცემს, თუ როგორ აკვლევინებდნენ „საძულველ ჯაშუშ თავადებს", თუ როგორ აწყობდნენ ამ მიზნით ადგილებზე გლეხთა კრებებს.

...თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს გლეხებთან. (ფ. მახარაძის კონცეფციის საწინააღმდეგოდ), კიდევ რამდენიმე ამონაწერი კ. გორდელაძის ნარკვევიდან: სოფელ წინამძღვრიანთკარის მცხოვრები თედო გულბანთიშვილი გვიამბობს: „ილიას სალამს ვერავინ ეასწრებდით, ისეთი ღვთისნიერი ადამიანი იყო... მერე რაღაცა ჭორები მოუგონეს, ვითომ გლეხებს წყალს არ ანებებდაო. სულ ტყუილია ეს ხმები. ყოველ გაჭირვებაში გვეხმარებოდა და, თუ ვინმე სიღარიბის გამო გადასახადს ვერ გადაუხდიდა ან შავი დღისათვის დასჭირდებოდა ფული და პური ან ღვინო, ილია მუდამ მზად იყო, ეპატიებინა გადასახადი და ზოგიერთისთვის დახმარებაც აღმოეჩინა, თუ სთხოვდნენ" (გვ. 88); რომ „ილია ჭავჭავაძე არავითარ რეპრესიებს არ მიმართავდა გლეხების წინააღმდეგ. პირიქით, იგი იბრძოდა თვითმპყრობელობის რეპრესიების წინააღმდეგ გლეხების მიმართ. მიუხედავად ამისა, — წერს კ. გორდელაძე, — ფორმალურად სოციალ-დემოკრატები, ფაქტიურად კი „ოხრანკის" აგენტები ვ. ინაშვილი და ვ. ნაცვლიშვილი, ჯაშის კარნახით, ხალხში აგიტაციას ეწეოდნენ ილიას წინააღმდეგ და ცდილობდნენ დაერწმუნებიათ გლეხები, რომ მოკვლა აუცილებელია. მათი მიზანი იყო გლეხთა მასობრივ კრებებზე, რომლებიც ასეთ საკითხებსაც იხილავდნენ, გამოეტანათ დადგენილება ილიას მოკვლის შესახებ"; გლეხობის ამ არალეგალურ მასობრივ კრებებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნამდვილი წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენო. (გვ. 91, 92).

წინასწარი დასკვნა: მიუხედავად კ. გორდელაძის მიზანდასახულობისა, მთელი სიმძიმე და დანაშაული ილიას მკვლელობის ორგანიზაციის საქმეში გადააბრალოს მეფის „ოხრანკას", „აგენტს" ჯაშს, ტენდენციურად გამოიყურება. ფაქტები კი მიუთითებენ, რომ ილია მოიკლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ფილიპე მახარაძის დავალებით. ამ აქტის შემსრულებელნი იყვნენ: ბერბიჭაშვილი, ფშაველიშვილი, ნაცვლიშვილი, ილია ჭავჭავაძის მეეტლე და სხვები, მათ შორის „იმერელი ბიჭი".

ეს ფაქტი სხვა დოკუმენტებს გარდა, თავისებურად დადასტურდა კიდეც ბერბიჭაშვილის ე. წ. გასამართლების დროსაც. სასამართლოზე დუშეთის მაზრის ყოფილმა უფროსმა ყარამან გრიგოლის ძე ფაღავამ შემდეგი ჩვენება მისცა: გუბერნატორის ბრძანებით დავალებული მქონდა ადგილზე გამომეძიებია ილიას მკვლელობა. ცოტახნის შემდეგ, „ჩემთან მუქარით მოვიდნენ უცნობი პირები და მითხრეს, რომ თქვენ, ფაღავა, ვერ აწარმოებთ საქმეს კარგად. მე შევეკითხე, თუ რისთვის-მეთქი. მიპასუხეს, რომ აქ ისინი არ ურევიან ამ მკვლელობაში, რომელიც თქვენ გიწერიათო, ვინც ხელმძღვანელი არის ამ საქმის, თქვენ არ გყავთ მოხსენებულიო. ვინ არის მეთქი. მათ მიპასუხეს: ფილიპე მახარაძე და სხვა“ (ლხცსა, ფ.215, აღწ.1 საქ. 36, გვ. 1). იმ დროს სასამართლოზე მეტის თქმა არც შეიძლებოდა, თუ გავითვალისწინებთ „კულტის“ პერიოდს და იმასაც, რომ იმ დროს ფილიპე მახარაძე იყო რესპუბლიკის მთავრობის მეთაური.

რაც შეეხება ილიას მკვლელობაში „იმერელი ბიჭის“ მონაწილეობას, ესეც ფაქტია. ეს ფსევდონიმი ეკუთვნის გრიგოლ (შემდეგში სერგო) ორჯონიკიძეს. რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში, როცა 16—17 წლის ახალგაზრდას მიანდვეს ხაშურ-ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის სადგურებში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით საიდუმლო საგიტაციო მუშაობა, ამ ანონიმური სახელით იყო იგი ცნობილი.

ყოველივე ეს სინამდვილეა, მაგრამ თუნდაც რომ მივუტევოთ ს. ორჯონიკიძეს თვით წიწამურის ტრაგედიაში უშუალო მონაწილეობა, რამეთუ, ბერბიჭაშვილების მსგავსად იქნებ მანაც არ იცოდა, „რასა იქმოდა“, რაღას ვიტყვით იმ ადამიანთა მკვლელობის ციკლზე, რომელიც მან თავის „მასწავლებელთან“ ფილიპე მახარაძესთან ერთად განახორციელა საქართველოში? მაშინ ხომ იცოდნენ, რომ საბჭოთა კანონიერებით და საერთოდ აკრძალული იყო გაუსამართლებლად ხალხის დახვრეტა, დახვრეტა ინდივიდუალურად, დახვრეტა ვაგონებით (საჩხერე, სენაკი და სხვ.), დაპატიმრებანი და გადასახლებანი რევოლუციის შემდეგ გადარჩენილ თავად-აზნაურთა, ყოფილ მოსამსახურეთა, სხვადასხვა ძველი პარტიის წევრთა, ყოფილი სამხედრო დიდი ჩინის მოსამსახურეთა, ყოფილი სასულიერო წოდების მსახურთა, ყოფილ ემიგრანტთა და საზღვარგარეთ სწავლაგანათლებამიღებულთა და მათ შთამომავალთა მიმართ (რაიმე თანამდებობაზე მათი მიღება ხომ წარმოუდგენელი იყო). ამ პერიოდში ხომ ვერ გადავაბრალებთ ამ სისხლის ღვრასა და ბოროტმოქმედებას შემდგომში ხალხის მტრად გამოცხადებულ ლ. ბერიას?.. ისიც ხომ იცოდნენ, რომ თვით ბარბა-

როს დამპყრობლებს (არაბებს, თურქ-სელჩუკებს, მონღოლებს...) არ ჩაუდენიათ ასეთი რამ, ოჯახებიდან ჩუმად გამოყვანილნი გაუსამართლებლად ცოცხალ-მკვდარნი არ ჩაუყრიათ ორმო-სამარხებში. (სხვათა შორის, როცა ვაჟა-ფშაველას შვილს ლევანს ფშავ-ხევსურთაგან შემდგარ ჩოლოყაშვილის რაზმში მონაწილეობისათვის ტყვედ ჩავარდნილს დახვრეტას უპირებდნენ, ს. ორჯონიკიძესთან დელეგაცია შესულა თხოვნით და უთქვამთ: „ნუ დახვრიტავთ, ვაჟა-ფშაველას შვილიაო". მას უპასუხნია: შვილი კი არა, თვით ვაჟა-ფშაველაც რომ იყოს, იმასაც დავხვრეტდითო)...

ერთი სიტყვით, როგორც ილიას ვერაგული მკვლელობის დროს არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მათ შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, საქართველოსაც დახვრეტნენ (და, აკი ნაწილობრივ შესძლეს კიდეც).

სხვა ხალხებზე ქართული მიწა-წყლის ხელაღებით ვადაცემადარიგება?! თურმე ამ საკითხზეც როცა შესულან ს. ორჯონიკიძესთან სათხოვნელად, საქართველოსათვის არ ჩამოეცილებინათ ძველისძველი ქართული ტერიტორიები: საინგილო, ლორე და სხვა, მან ქართველი თავკაცები ასეთი პასუხით გამოაბრუნა: „თუ ამ საკითხზე მეორედ შემოსულხართ, თქვენი „ძველი საქართველოს" საზღვრებს თბილისში „შეითან ბაზართან" (ორთაჭალა) გადმოვიტანო". სხვათა შორის, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას „აკრძალულ ზონაში" აქვს ეს საკითხიც მოქცეული და დღევანდლამდე სრულიად შეუსწავლელია...

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ როცა მემატიანეები, ისტორიკოსები, ეამთაღმწერელნი ქვეყნის აღმავლობას თუ დაღმავლობას, საერთოდ ხალხების ისტორიას სწავლობენ, ტრადიციისამებრ, ყოველთვის მიუთითებენ, რომ ესა და ეს მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ომი, ესა თუ ის მოვლენა მოხდა ამა და ამ დროს, ამა და ამ მეფის, იმპერატორისა თუ ხელმძღვანელის (პატრონის) ხელში. მათ კარგად იცოდნენ, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში არაფერი ხდება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი, სერიოზული ქვეყნის მმართველის გარეშე. ჩვენთან, რატომღაც, ჩვენი ისტორიკოსების მხრივ ეს გარემოება მივიწყებულია, და თუ მაინც ვიტყვით რაიმეს, ან „სხვას" ვაბრალებთ, ან ზოგადად საზოგადოებას.

როცა ვაფასებთ ოციან, ოცდაათიან და შემდგომი პერიოდის მოვლენებს, როცა ვმსჯელობთ ჩადენილ დანაშაულებაზე, ბოროტმოქმედებაზე, ზოგჯერ ბარბაროსობაზე, არაფერს ვამბობთ, რომ ამ დროს ქვეყნის, რესპუბლიკის სათავეში იდგნენ ესა და ეს პირნი. ჩვენს სინამდვილეში, როცა ხდებოდა დიდი დანაშაულებანი, ნუთუ

მათ არაფერი ეკითხებოდათ ფორმალურად მაინც, ნუთუ შეიძლება ყველაფერი გადავაბრალოთ „ვიღაც სხვას“ და პასუხი არ ვაგებინოთ, მათ, ვისი ხელმძღვანელობის პერიოდშიც მოხდა ყოველივე ეს?

— „გვეშინოდაო“, „სხვანაირი იყო მაშინდელი დრო“, „ერთმანეთს არ ვენდობოდითო“, „მაინც არაფერი გამოვიდოდაო“ და სხვ., — გვიპასუხებდნენ ისტორიკოსები. კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ეხლა, თუნდაც ილიას მკვლელობის საკითხში? რამდენი ხანია გასული ამ ტრაგედიიდან, რამდენი ხანია „ხელის შემშლელნი“ აღარ არიან ამ ქვეყნად, მაგრამ დღესაც ვერ გვითქვამს სრული ჭეშმარიტება მისი მკვლელობის შესახებ? ამ ფაქტზე ხომ შეიძლებოდა გვეთქვა სიმართლე? იგივე ითქმის დღევანდლამდე შემორჩენილ სხვა „დაფარულ“ მოვლენებზე.

ილიას მიმართ ჩვენი თაობაც დიდ დანაშაულში ვართ. ჩვენც გვაკიწყდება, რომ ის, რაც ვერ გააკეთეს, და არც შეეძლოთ წინაპრებს მეტის გაკეთება (მათი უმეტესობა ხომ „ოცდაჩვიდმეტიანელნი“ იყვნენ), ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ავმაღლდებით კი თუნდაც ამ დონემდე?

ავმაღლდებით. ქვეყანაში მკაფიო შემობრუნების დასაწყისი, თუ ეს ბოლომდე გაგრძელდა, იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ჩვენ შევძლებთ გავაკეთოთ ის, რაც მართლა წარმოუდგენელი იყო სხვა დროისათვის. ყოველივე ამის იმედს იძლევა ამ მიმართებით უკვე გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯები შემოქმედების ყველა დარგში. დიახ, ავმაღლდებით იმ დონეზე, როცა ვერავინ გვათქმევინებს თეთრს ვუწოდოთ შავი, ან პირიქით. ჩვენ გვჯერა, რომ მთელმა ხალხმა ირწმუნა დღევანდელობისა. ვიმედოვნებთ, რომ დამთავრდა „შეგნებული დუმილის“ პერიოდი, ე. ი. ორპირობისა და სიცრუის პერიოდი.

ჩვენმა მეცნიერებმა ამიერიდან მაინც არ უნდა დაივიწყონ, რომ „ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ამბებზე შეგნებულად დუმს, არანაკლებ სიცრუეს ჩადის, ვიდრე ის, ვინც არარსებულს თხზავს“ (ამიანუს მანცელინიუსი, VI საუკუნე; ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბ., 1984 წ., გვ. 272). იგივე ითქმის ყოველგვარი დანაშაულის, ბოროტმოქმედების, თუ სხვა ნეგატიური მოვლენების შეფასება-გამორკვევის დროს. საჭიროა კრიტიკულად შევხედოთ „არარსებულ მთხზველებს“, „ყალბის მქნელებს“, მედროვე-მაამებლების ნაწარმოებებს. კვლავ და კვლავ ხმამაღლა ვთქვათ, ვიყვიროთ, რომ ასეთ ვაინაშრომებს არასოდეს სიკეთე არ მოუტანია. „ვაი არს, რომელნი იტყვიან ბოროტს კეთილად, და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად, და ნათელსა ბნელად და რო-

მელნი დასდებენ მწარესა ტკბილად და ტკბილსა მწარედ" (ისაია, 5, 20).

ყურადსაღები გამონათქვამებია! ესეც უნდა ვიცოდეთ ყველამ, უპირველეს რიგში, მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისმა ინსტიტუტებმა, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დაადგინონ ჭეშმარიტება ყველა მოვლენის შესახებ, დაამუშაონ თავის „აკრძალულ" ზონაში მოქცეული საკითხები, ხალხს უთხრან ჭეშმარიტება. ესაა საისტორიო მეცნიერების უპირველესი მიზანდასახულობა მისი არსი, მისი დღევანდელობასთან, ცხოვრებასთან კავშირი.

ამ მიზნით, ის, რაც ჩვენ ვერ მივიღეთ წინა თაობისაგან მემკვიდრეობად — ჭკუისსასწავლებელი „ისტორიული გაკვეთილები" (ამიტომაც გვიჭირს არავიძეების მემკვიდრეების გამო დღესაც ნორმალური მუშაობა), მხედველობაში გვაქვს „აკრძალული" გაკვეთილები, ის, რაც ჩვენმა მასწავლებლებმა „დაგვიძალეს", ან „ბოროტნი კეთილად წარმოგვიდგინეს", — ყოველივე ეს „ღია" გაკვეთილებად უნდა გადავცეთ თანამედროეობას, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი ბოროტმოქმედებანი, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში. ამაშია ისტორიის არსი და მისი კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, რადგან „ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, აწმყოს ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომებისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ; მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს; იქ ვხედავთ შეცდომას და შეცდომასთან ერთად გამარჯვებას" (იხ. ვაჟა-ფშაველას ახალი წერილები, ჟურნალი „ცისარტყელა", 1979 წ., №5, გვ. 161—162). ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტიურად ჟღერს დღევანდელობისათვის...

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ნამდვილი ისტორიის დადგენისათვის აქვე უნდა დავიმოწმოთ ერთი უცნობი დოკუმენტიც, რომელიც ასახავს სოციალ-დემოკრატების მიერ გორისა და დუშეთის მაზრებში შექმნილ „წითელი რაზმების" და მათი ხელმძღვანელების ტერორისტულ აქტებს, ბოროტმოქმედებას, ყაჩაღობას...

ეს საარქივო დოკუმენტი ფ. მახარაძის სიკვდილის შემდეგ, 1942 წელს არის გაგზავნილი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარისადმი მოხსენებითი ბარათის სახით. იგი ეკუთვნის გ. ტატიშვილს. მასში მთელი დამაჯერებლობით (ფაქტებზე დაყრდნობით) გადმოცემულია ქართლში სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციური წითელი რაზმების („ტყის ძმების") მოქმედება, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა თავადებისადმი „ანგარიშის გასწორებაში"...

მაშ ასე, სიტყვა მივცეთ ამ დოკუმენტის შემქმნელს, 1905—1913 წლებში გორსა და დუშეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ მუშაკს, რევოლუციონერ გიორგი ივანეს ძე ტატიშვილს: „1908 წლის პირველ ივნისს ქ. თბილისის ს.დ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გორიდან დუშეთის მაზრის პასუხისმგებელ მუშაკად გამაგზავნა, დამავალა შემდეგი: 1. შეიარაღებული გაყაჩაღებული წითელი რაზმების იარაღის აყრა და მაზრიდან გაძევება. 2. დაშლილი ორგანიზაციების აღდგენა. 3. ილია ჭავჭავაძის მკვლელების ვანო ინაშვილის და გიგლა ბერბიჭაშვილის დაჭერა და გადაცემა სოც. დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტს მათ გამოსატეხად, თუ ვინ დაავალა ილია ჭავჭავაძის მოკვლა ან რომელ ორგანიზაციაში გადაწყდა“ (ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 600, საქ. 6590, გვ. 156—169).

როგორც იგი წერს, 1905—1908 წლებში ტერორისტული გლეხთა წითელი რაზმები გორსა და დუშეთის მაზრებში ებრძოდნენ შავრაზმელებს — თავადაზნაურთა 500-კაციან ჯგუფს. „შავ რაზმს“ ხელმძღვანელობდნენ ზურაბ აბდუშელიშვილი და თავადი კოტე ერისთავი (ეს უკანასკნელი მოუკლავთ გორის ს.დ. პარტიის ორგანიზაციის ტერორისტებს სოფ. ბერბუკის ბოლოს). „წითელმა რაზმელებმა“ ისინი დაამარცხეს და „ბევრი მათგანი, გამოჩენილი მემამულეები გაწყვიტეს“. წერილის ავტორი კონკრეტულად მიუთითებს, რომ გაყაჩაღებულმა წითელმა რაზმელებმა უკანონოდ მოკლეს ბოქაულები ი. ქუმსიაშვილი (ბაზალეთის ტყეში), ბ. ავალიშვილი (გორში), გორის მაზრის უფროსი გუგუშვილი (თბილისში), ასევე: ე. ნავდარაშვილი, ქ. ჯავახიშვილი, ნ. გზირიშვილი, ა. ცისკარიშვილი, ბულაჩაურის მცხოვრები თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი და მრავალი სხვა. როგორც იგი წერს, მაშინ პარტიის ტერორები ინიშნებოდა ადგილობრივი რევოლუციური გლეხების მხრიდან. „როცა სოფლის მოხელე ან მემამულე ჯაშუშებზე ტერორი ინიშნებოდა, პირველად ჯერ საკითხი სოფლის ორგანიზაციაში დაისმოდა, შემდეგ კი რაიონში გაირჩეოდა, ხოლო როცა დაამტკიცებდა ცენტრალური კომიტეტი ამას, შემდეგ ხდებოდა „ტერორის დანიშვნა და მოხდენა შესაფერის ადგილას“ (გვ. 169). სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან დუშეთის მაზრა დაყოფილი ყოფილა 8 რაიონად, თითოეულ რაიონს ჰქონდა თავისი ორგანიზაცია და ჰყოლია წითელი რაზმები:

1. საგურამოს რაიონში, ხელმძღვანელი ლადო ფეიქრიშვილი, — 12 კაცი.

2. მცხეთის რაიონში — ილიკო იმერლიშვილი, — 15 კაცი.

3. მუხრანის რაიონში — ნიკო სოხაშვილი, — 20 კაცი.

4. დუშეთის რაიონში — ვასო ხუბაშვილი, — 16 კაცი.

5. ლეხურა-ზახორის რაიონში — ვასო კუდულაშვილი, — 18 კაცი.

6. ახალგორის რაიონში — სვიმონა ოსიშვილი — 16 კაცი.

ასევე ითქმის ფასანაურისა და ყაზბეგის რაიონებზე.

„პირველად მე, — წერს გ. ტატიშვილი, — ჯერ ახალგორის რაიონში ჩავედი სვიმონა ოსიშვილთან, მონასტრის ტყეში. მასთან მოლაპარაკებამ სამ დღეს გასტანა, იარაღის აყრაზე უარს იყვნენ. ბოლოს იძულებით იარაღი ჩაგვაბარეს, საგზაო ფული და პასპორტები მივეცით და პერსიაში გავისტუმრეთ. სვიმონა კი ჩემთან დავანარჩუნე. შემდეგ რაზმის უფროსს ნიკა სოხაშვილს (ჩავაბარე). იმან მოკლა სოფელ ლამისყანაში სვიმონა ოსიშვილი. სიკვდილი თბილისის ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა გადაწყვეტილი. მას თვითნებურად მოკლული ჰყავდა ოცამდის კაცი და გაძარცული მთელ ხეობაში დიდძალი ხალხი. ხოლო მისი შიშით აყრილი და გადასახლებული იყო ათამდის გლეხები მთელი ოჯახით". (უნდა წარმოვიდგინოთ ის შემზარავი სურათი, რაც ხდებოდა ამ დროს საქართველოში. ერთმა ბანდიტმა ამდენი ბოროტება მოიმოქმედა, მაშინ რა იქნებოდა ერთად აღებული?!).

ასევე განაიარაღა გ. ტატიშვილმა პარტიის თითქმის ბანდიტებად ქცეული სხვა ორგანიზაციები. „სპარსეთის გარდა, ვასო ხუბაშვილი კავკავში გაიგზავნა, ლადო ფეიქრიშვილი-განჯაში. ნიკა სუხაშვილმა 20 კაციდან მხოლოდ 5 კაცი დოტოვა მუხრანის რაიონში, დანარჩენ 15-ს შეუვსეს პასპორტები, მისცეს ფული, საგზალი და გაისტუმრეს პერსიაში (ირანში)".

„ამის შემდეგ ცოტა დაწყნარდა ხალხი და შესაძლებელი გახდა მათთან მისვლა და ორგანიზაციების აღდგენა მთელს დუშეთში", თბილისის ცაკის მიერ ჩემთან გამოგზავნილი ორი კაცის(?) დახმარებით „მთელ მაზრაში აღვადგინეთ რაიონული ორგანიზაციები და შეექმენით მაზრის ცენტრის კომიტეტი, წითელი რაზმის მაგივრად. რაიონში მოვაწყეთ ტერორისტთა ჯგუფები და იარაღის საწყობები".

„რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მოკვლას, მთელ რაიონში და მაზრაში მოვახდინეთ კვლევა-ძიება, თუ რომელ ორგანიზაციაში იყო დასმული ილია ჭავჭავაძის და მისი მოურავის მოსე მემარნიშვილის მოკვლის საკითხი. არსად არაფერი არ აღმოჩნდა" (ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლის გადაწ-

ყვეტილება მიღებული იქნა ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვის ორგანიზაციაში, — ვ.გ.).

„გამორკვევისას, — წერს ტატიშვილი, — ყველა აღიარებდა, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის ტრაგედია მოიმოქმედეს გაბანდიტებულმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა ვანო ინაშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა, პავლე უშაველიშვილმა. მათ დაიხმარეს სოფ. წიწამურის მცხოვრებნი შაქრო და გიგლა გირმისაშვილები, ძმები (შიშით უარი ვერ უთხრეს). სიგნალის მისაცემად თეთრი ხელსახოცებით ტყის პირას მოტყუებით წაიყვანეს გიორგი ხიზანიშვილი, მეტსახელად „ლომა". ილიას მკვლელობამდე მათვე — პ. უშაველიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და მათთან ერთად ოთხმა შეიარაღებულმა პირმა — მოკლეს ილიას მოურავი.

გ. ტატიშვილის წერილში საყურადღებო ცნობებია მოტანილი გ. ბერბიჭაშვილის შესახებ: გ. ბერბიჭაშვილი ხშირად ხალხში ამბობდა: „ილია ჭავჭავაძე და მისი მოურავი ამ მარჯვენით ჩაეაძაღლე... წითელმა რაზმელმა, მებრძოლმა რევოლუციონერმა და პარტიულმაო..." „...როცა ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ დაამხო მემამულე ფეოდალების დახავსებული პირსისხლიანი მეფის მთავრობა... მაშინ ჯაშუშმა ბერბიჭაშვილმაც პირი იბრუნა. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების დღეს საგურამოში გამოჩნდა გიგლა ბერბიჭაშვილი, როგორც რევკომის თავმჯდომარის დათიკო გართომაშვილის თანაშემწე. აქ ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენ უდანაშაულო ადამიანებს ციხისკენ ტყვეობაში უკრა თავი (ამ დროს ასეთი დაპატიმრებანი და კაცთა კვლა მიმდინარეობდა საქართველოს ყოველ კუთხეში, — ვ.გ.). მარტო ერთ პარტიად გააგზავნა დუშეთის ციხეში სოფ. ახატნიდან 5 კაცი, სოფ. ბიწმენდიდან 6 კაცი, სოფ. წინამძღვრიანთ კარიდან 3 კაცი, სოფ. ზაქრიდან 4 კაცი, სოფ. გალავნიდან 2 კაცი, სულ იყო 20 კაცი, მათ შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერი. შემდეგ კიდევ ვინ დასთვლის. ამ დღიდან ხდება კომუნისტური პარტიის წევრი, სრული პარტიზანი, პერსონალური პენსიონერი 250 მანეთიანი პენსიით, დუშეთის მაზრის სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორი, მუხრანის რაიონის რევკომის თავმჯდომარე, ქ. თბილისის სახელმწიფო ღვინის საწყობის დირექტორი და სხვა"... „მას კი ილიას მოკვლისათვის, როგორც ხალხისაგან, ისე კომუნისტურ პარტიისაგან სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი". (დასახ. დოკუმენტი, გვ. 156—159).

აქ ისმება ლოგიკური კითხვა: რატომ დასდეს ამდენი პატივი ფ. მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ილიას მკვლელს ბერბიჭაშვილს? მას ხომ სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, როგორც „ოხრანკის" ჯაშუშს და ილიას მკვლელს" პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან?

პასუხი ნათელია (ამიტომაც წაიყვანა ს. ორჯონიკიძემ ბერ-ბიჭაშვილი და სხვები „პერსიაში“).

სანამ საბოლოო დასკვნას გავაკეთებდეთ ილია ჭავჭავაძის მთავარი მკვლელების შესახებ (და ასეთი დასკვნა ფაქტიურად მოცემულია უკვე ჩვენს მიერ ზემომოტანილ დოკუმენტებში), მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ისიც, თუ როგორ იყო აბუჩად აგდებული ფილიპე მახარაძისა და სხვათა წყალობით ილია ჭავჭავაძის შემოქმედება.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც შეურაცხყო ილიას შემოქმედება, იყო ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ფ. მახარაძის უახლოესი თანამებრძოლი პეტრე გელეიშვილი. იგი თავის ლექციებში, განსაკუთრებით კი 1914 წელს დაბეჭდილ წიგნში ქადაგებდა ილიასადმი მტრულ დამოკიდებულებას. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, — წერს იგი, — „ადრეც ვებრძოდით ილია ჭავჭავაძეს და დღესაც ვებრძვით და ვეწინააღმდეგებით მის საზოგადოებრივ იდეალებს“... პ. გელეიშვილი „ოთარაანთ ქვრივს“ უწოდებს „მხატვრულად ერთობ სუსტს“. მის გმირს გიორგის მიიჩნევს დონკიხოტად. „ძგზავრის წერილები“? მისი აზრით, ეს ნაწარმოები „ერთობ პირველყოფილია“. „პრიმიტიულია ილიას იდეალური მოხევის სახელმწიფოებრივი იდეალიც. იგი ნამდვილი ყაჩაღური იდეალების მატარებელია... ამიტომაც არის, რომ ამ ველური მოხევის სიტყვები ცრემლებად ადნობს პოეტს: — მიგიხვდი, ჩემო მოხე

გიდან. ზიზღს ვუცხადებთ ქართველ პროგრომჩიკ-ნაციონალისტებს და გულწრფელ სალამს ვუძღვნით მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენელს პ. გელეიშვილს" (დეპეშა. გაზ. „აზრი", 1914 წ., №46; ლხცსა, ფონდი 215, საქ. 43, გვ. 5).

— „პ. გელეიშვილი თავის დასაბუთებულ ლექციაში ამტკიცებს, რომ 1. ილია ჭავჭავაძე არ იყო და არც შეეძლო ყოფილიყო დემოკრატი... 2. ილია, როგორც თავის მხატვრულ ნაწარმოებში, ისე პუბლიცისტურ წერილებში, ძველი საქართველოს მოტრფიალეა; ის უფრო წარსულს უმღერის, ვინემ მომავალს. მისი ზოგადი მსოფლმხედველობა, რამდენადაც ეს აშკარავდება მის ნაწერებში, არსებითად ფეოდალურია; ილია ვერ სცილდება ე. წ. ბატონურ ფსიქოლოგიის საზღვარს, მას ღრმად სწამს მემამულეესა და გლეხს შორის იდეალური დამოკიდებულების ურთიერთობის ბუნებრივობა. ილიას ამ სოციალურ კონცეფციას პ. გელეიშვილი უწოდებს ხმლისა და გუთნის ფილოსოფიას..." („აზრი", 1914 წ., №60).

შემდეგშიც, მიუხედავად პ. გელეიშვილის „მენშევიკობისა", იგი ყოველთვის ითვლებოდა ფ. მახარაძის ახლობლად „მეცნიერული კრიტიკის" დარგში. ამიტომაც არ აკლებდა მას ყურადღებას (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ჰყავდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, — სტატისტიკურ სამმართველოში, რევოლუციურ მუზეუმში, მეცნიერებათა აკადემიის ა/კავკასიის ფილიალში, განათლების სახალხო კომისარიატში...).

ასევე დიდ პატივში ჰყავდა ფ. მახარაძეს ილია ჭავჭავაძის მეორე დაუძინებელი მტერი მ. ტოროშელიძე. იგი სხვადასხვა დროს იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის რექტორი, ჟურნალების რედაქტორი, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „იმელის" დირექტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი.

დიახ, უნივერსიტეტის რექტორობიდან გადააყენეს (ფაქტიურად გააგდეს) ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, 50 წლის დიდი ივანე და მის ადგილზე ცოტა ხნის შემდეგ დანიშნეს მ. ტოროშელიძე. უნივერსიტეტს მოაშორეს ადამიანი (ესეც ცალკე დანაშაულია ფ. მახარაძის მხრიდან), რომელმაც თავის დროზე „იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ... აქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კან-

დელი, რომელიც ამიერიდგან შუქურ ვარსკვლავივით გვინათებს გზა-კვალს სვლად გმირული და მზიანი ნაბიჯით წინ, ადამიანური მარადისობისაკენ" (მ. ჯანაშვილი, 1918 წ., 23 იანვარი). აი, ამ ტაძრიდან გააძევეს „ნაციონალისტი", „რეაქციონერი" ივ. ჯავახიშვილი. ვის დავაბრალოთ ეს სამარცხვინო, ანტიეროვნული მოქმედება?!

მ. ტოროშელიძისადმი ასეთი პატივისცემა ბადლობის გამოხატულებაა ილიასადმი მისი მტრული ურთიერთობისათვის 1905 წლიდან მოყოლებული 1937 წლამდე. მ. ტოროშელიძემ საკუთარი ღვარძლი კვლავ გადმოანთხია 1934 წელს, სრულიად საკავშირო მწერლობის I ყრილობაზე, როცა თავის გამოსვლაში ილია კვლავ იდეალისტად, მემამულეთა იდეოლოგად და კონტრევოლუციონერად გამოაცხადა. აქვე კვლავ „დაამტკიცა" ილიას ნაწერების „უნიათობა", „უდღეურობა". ერთი სიტყვით, მ. ტოროშელიძემ ამჯერადაც გაიმეორა იგივე, რაც ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში თქვა და რასაც წერდა შემდეგ 1914 წელს სამტრედიაში გამოცემულ ბროშურაში: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი".

ფ. მახარაძის და მ. ტოროშელიძის მსგავსი თეორეტიკოსების წყალობით არა თუ თავადაზნაურთა წრიდან წარმომდგარი ყველა მწერალი ილიას მეთაურობით, არამედ ყველა მათი იდეური მიმდევრები-ს. ხუნდაძე, ვ. კოტეტიშვილი, რ. ამაღლობელი, კ. კაპანელი, ბ. ბუაჩიძე, ვ. ხურობე, გ. თავზარაშვილი და სხვ., საბჭოთა პერიოდშიც კი რეაქციონერებად და რესტავრატორებად იქნენ გამოცხადებულნი (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1932 წ., 20 თებერვალი, „სოციალ-ფედერალისტურ შეხედულებათა რესტავრაციის წინააღმდეგ").

ილია ჭავჭავაძის დამცირება-გინების საქმეში დიდად გამოიჩინა თავი „რევოლუციური იდეების მქადაგებელმა" ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა. ერთ-ერთი ასეთი იყო „კლასობრივი იდეური სიმაღლით, დიალექტიკური მეთოდით შეიარაღებული და მოვლენების ღრმა ანალიზის მქონე პოეტი ფ. ნაროუშვილი" (ასეა დახასიათებული 1932 წლის 3 თებერვლის გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" ნომერში დაბეჭდილ წერილში „ლიტერატურული შენიშვნები").

აი, რას წერს „პოეტი" ფ. ნაროუშვილი ლექსში „თავადი ილია ჭავჭავაძე": „... სახელგანთქმული თავადი ილია, მამულითა და ყმებით მდიდარი, მთაწმინდის ლოდქვეშ მარად მძინარი, გლეხების სისხლით შეღებილია"; რომ მისი მზე „ჩაესვენა სამარადჟამოდ"; ილია — „უეოდალების კლასიკი", „გლეხების სისხლით გულგაპო-

ხილი"; ილია, რომელიც „ყოველთვის მათრახს ატრიალებდა", რომ „მთაწმინდის ლოდ ქვეშ იხრწნება ლომი, პოლემიკოსი და ენამჭევრი, — მთავარსარდალი შავრაზმელ ომის, „მესამე დასის" მოსისხლე მტერი". ბოლოს, გათამამებული „პოეტი" სიამაყით კითხულობს, თუ ვინ ჩასცა მემამულეს გულს ბასრი მახვილი, ვინ ჩაულეწა ფეოდალს ზურგი და, ამთავრებს მოწოდებით — „დღესაც სიმწუხრის ეხვევა ნისლი ოაკადის „ქერივებს" დალალ გაშლილებს, უთუოდ მართებს ილიას სისხლი ტყეში გახიზნულ ბღაჭიაშვილებს". კიდევ მართებთ თურმე სისხლი „გელეიშვილებს" და „ნაროუშვილებს"...

როგორც ვხედავთ, ფ. მახარაძის წყალობით ასეთ „პოეტებს" და იდეური დარგის სხვა მუშაკებს 30-იან წლებში გზა გახსნილი ჰქონდათ. ამის საილუსტრაციოდ, კიდევ ერთი მაგალითი, — პოეტი კალე ფედოსიშვილის (კალისტრატე ვეკუას) ლექსიდან „ეგნატეს ძეგლთან":

...„თავს შემოგაელებ XIX საუკუნის ქართულ მწერლობას,
დიდ ილიახაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან ბაასი.
და მე შენ გვერდით დავაყენებ მხოლოდ დანიელს,
ღიპიან ბატონს რომ ჩაარჭო მახვილი ბასრი".

ეს ის პოეტია, რომელიც არ დაინდობდა სამშობლოს, მშობლებს, შვილებს: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას...

ამონაწერი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის „შემოქმედებიდანაც":

...„ახლაც გმირი ხარ, ტყვეით დატენილს
არ შეგიცელია ნაბიჯი გზიდან,
რევოლუციის მოღალატენი
შენ დასახვრეტად გადაგიზიდავას"...

რომ „შენზე კარგი შესახედავი ჯერ არ მყოლია, არც მეყოლება".

ამ ლექსით — „საბარგო ავტომობილი" კ. ლორთქიფანიძე ქებადიდებას ასხამს და უმღერის მანქანას, რომელმაც ოციან წლებში ღამით, ოჯახებიდან გადაზიდა ფაქტიურად უდანაშაულო ხალხი — „რევოლუციის მოღალატენი", და ცოცხალ-მკვდარნი დაასამარეს წინასწარ გამზადებულ თხრილებში დღევანდელ ვაკის პარკთან.

კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის გამოთქმაც: ... რად მინდა სამშობლო; ჩემთვის ერთია ერეკლე მეფე და აღა მაჰმად ხან.

საქართველოს, „ქართველი ხალხის ინტერესების დამცველმა" ამ „მწერლებმა" ალბათ არ იცოდნენ, რომ ადამიანთა უფლებების ჩახშობა, მათი ფიზიკურად განადგურება, სამშობლოსა და მშობლე-

ბის აბუჩად აგდება, სასიკვდილოდ გაწირვაც კი, როდი იყო რევოლუციის მიზანსწრაფვა.

მაგრამ, რა ექნათ, ისინი ბაძავდნენ თავიანთ იდეურ ხელმძღვანელებს. დიახ, ამ დამდაბლებულ ადამიანთა მოქმედებაში ბრალი მიუძღვის მათ, ვინც აბუჩად იგდებდა საქართველოს წარსულს, მშობლიური ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას. აი, რას წერდა ასეთი იდეის უპირველესი „მოძღვარი" ფ. მახარაძე რეეოლუციამდელი მწერლობის შესახებ:

— დაღუპულ სამშობლოზე მოთქმითა და გოდებით იყო გაჟღენთილი ქართული სამხატვრო მწერლობა, რადგან მაშინდელი (ეხება მე-19 საუკუნეს, — ვ. გ) ქართველი მწერლები თითქმის ყველანი ან თავადები ან აზნაურები იყვნენ (ბარათაშვილი, ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ერისთავები, წერეთლები და სხვა.). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ პატრიოტულ ლიტერატურას პესიმისტური ხასიათი ჰქონდა, ე. ი. იმედის მაგივრად უიმედობას უნერგავდა თავში ყველა მკითხველს... სამოციანელები—თერგდალეულები ფორმალურად თითქოს ბატონობის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ არსებითად თავადაზნაურობის ინტერესს იცავდნენ. იმათგან მხოლოდ ანტონ ფურცელაძე გამოხატავდა თავის ნაწერებში რუსეთის მესამოცე წლების მოღვაწეების იდეებს და მიმართულებას (იხ. ქართული ისტორიოგრაფია, III, მეცნიერება, 1975 წ., გვ. 56).

იგივე ფ. მახარაძე ილიას შესახებ 1931 წელსაც შემდეგნაირად მოძღვრობდა: „ილია ჭავჭავაძე იყო წარჩინებული თავადიშვილი; მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლუატატორი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი, რეაქციონერი და კონტრევოლუციონერი" (ყოველივე ამის შემდეგ ზედმეტად მიგვაჩნია „საარქივო დოკუმენტებით ვარკვიოთ", თუ ვისი მითითებითა და ხელმძღვანელობით მოკლეს ილია).

გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, თუ რატომ მივაყენეთ ფაქტიურად უსახლკაროდ დარჩენილ ოლღა გურამიშვილს ამდენი შეურაცხყოფა; რატომ დავამცირეთ და საზოგადოებიდან გავრიყეთ „მონარქისტის", „რეაქციონერისა" და „კონტრევოლუციონერის" ილიას მკვლელობის დროს სასწაულად გადარჩენილი ადამიანი... და, საბოლოოდ, რატომ ამოვხადეთ შიმშილით სული.

ჩვენდა სავალალოდ, ჩვენი სირცხვილისა და უსირცხვილობის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ჩვენგან ასევე წამებული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ტიციან ტაბიძის 1926 წლის 7 მაისის სა-

ქართველოს მწერალთა კავშირისათვის გაგზავნილი წერილი. იგი წერს: „კავშირის საბჭოს საყურადღებოდ ვაცხადებ: ილია ჭავჭავაძის ქვრივის მზრუნველმა ნინო ნაკაშიძემ არა ერთხელ განაცხადა საქართველოს სახელგაში, რომ უკანასკნელ დროს ილია ჭავჭავაძის ქვრივი იმყოფება უმწეო მდგომარეობაში...

გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა სათანადო დაწესებულებათა წინაშე, რომ გამორკვეული იქნეს ჭავჭავაძის ქვრივის მდგომარეობა და განსაზღვრული თანხა გადაეცეს მას, და ამით თავიდან ავიცდინოთ სირცხვილი, რომ ასეთი მწერლის ერთადერთი დანარჩენი ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს" (ლხცსა, ფონდი, 8, აღწ. 1, საქ. 95, გვ. 6). და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ილიას მკვლელს, — „მეფის მთავრობის ჟანდარმერიის აგენტს", როგორც სოციალ-დემოკრატებმა მონათლეს გ. ბერბიჭაშვილი, ფ. მახარაძისაგან დანიშნული ჰქონდა 250 მანეთი პერსონალური პენსია და, რევკომობისა და სხვა თანამდებობის შემდეგ, თბილისში ეკავა ღვინის მთავარი საწყობის დირექტორის პოსტი! (ჩვენ კი კვლავ ჯიუტად ვკითხულობთ, თუ ვისი ხელმძღვანელობითა და მითითებით მოიკლა ილია ჭავჭავაძე?)...

წიწამურის ობელისკის წარწერა რუსულ და ქართულ ენაზე გვაუწყებს: „1907 წ. 12 სექტემბერს (ახ. სტილით) თვითმპყრობელობის დაქირავებულმა აგენტებმა, აქ ვერაგულად მოპკლეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავძე". უხერხულია ასეთი წარწერის შემდგომი არსებობა. ბერბიჭაშვილები არ ყოფილან თვითმპყრობელობის „აგენტები". ეს წარწერა უნდა მოიშალოს...

ბედის დაცინვაა ისიც, რომ ქუჩას, სადაც მდებარეობს ილია ჭავჭავაძის სახლი, ეწოდა ს. ორჯონიკიძის სახელი, ხოლო მთაწმინდაზე და ისიც ილიას გვერდით განისვენებს ფ. მახარაძე*...

ერთი საკითხიც, — სად გადაწყდა, გლეხთა რომელ კრებაზე, ილიასადმი ტერორი? როგორც ზემოთ მითითებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომისიის ერთ-ერთი წევრის მ. კლიმიაშვილის ჩვენებიდან ვიცით, „ილიას მკვლელობის აქტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილებით იქნა შესრულებული... თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცხეთის ორგანიზაციაშიც იზიარებდნენ ამ აზრს". მაგრამ ვერც მ. კლიმიაშვილმა, ვერც გ. ტატიშვილმა და ვერც სხვებმა „ვერ მიაკვლიეს" იმ ადგილს, სადაც გადაწყდა ილიას მკვლელობის საკითხი.

---

*მკითხველმა იცის, რომ ამ უსამართლობებს ბოლო მოეღო (რედ.).

ასეთი მკაცრი „საიდუმლოება“ სრულიად კანონზომიერი იყო. სოციალ-დემოკრატებმა ძალიან კარგად იცოდნენ, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე საქართველოსათვის. იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ მისი მოკვლის შესახებ გლეხთა კრების ჩატარება საგურამოში, ან ახლომახლო სოფლებში კიდევ უფრო გაამყღავნებდა მათ. ამიტომაც გადაწყვიტეს ეს საკითხი საიდუმლოდ განეხილათ შორეულ სოფელში. ასეთად შერჩეული იქნა ოზურგეთის მაზრის სოფელი ბახვი. გამონახული იქნა სანდო ოჯახიც, ამ სოფელში მაცხოვრებელ ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის სახლი. აქ ჩატარებულ კრებას დაესწრო 16-მდე კაცი. კავკასიაში მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მეფისნაცვლის კანცელარიის საპოლიციო ნაწილის განსაკუთრებული განყოფილების 1907 წლის 14 დეკემბრის №11424 დოკუმენტში ჩამოთვლილია დამსწრეთა გვარი და სახელი, ადგილობრივ პიროვნებათა გარდა ბათუმიდან ჩამოსული ყოფილა ორი „უცნობი“ პირიც. სწორედ ერთ-ერთი მათგანი თავმჯდომარეობდა კრებას. მანვე განაცხადა, რომ „თავადი ილია ჭავჭავაძე მოკლული უნდა იქნეს“. ერთ-ერთი დამსწრის შეკითხვაზე, მაინც რისთვის უნდა მოჰკლან თავადი, თავმჯდომარემ უპასუხა: „მან გვიღალატა ჩვენ“, ამასთან თავმჯდომარის განმარტებებისაგან შეიძლება დაგვესკვნა, რომ თავად ჭავჭავაძის მოკვლა წინადვე იყო გადაწყვეტილი „ცენტრალური კომიტეტის“ მიერ და აქ მხოლოდ მოხსენდა კრებას, როგორც უკვე დადგენილი გადაწყვეტილება“ (საქართველოს სსრ საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 116, აღწ. 1, საქ. 13363, ფურც. 182—183). ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „დამნაშავეთა თავყრილობის ყველა მონაწილე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა“.

ცენტრალური საისტორიო არქივის მითითებულ ამავე ფონდში დაცულ დოკუმენტებიდან (1908 წ. 10 თებერვალი, ამონაწერი დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ი. მ. სტრიჟევის მიერ წარმოებულ დაკითხვიდან; 1908 წ. 17 თებერვალი, — მცხეთის რაიონის პრისტავ მარკოვიჩის განცხადების ოქმიდან; 1908 წ. 12 აგვისტო, — სასამართლოს გამომძიებელ ჟშაკოვის მიერ გაბრიელ გარსევანოვის დაკითხვის ოქმიდან; 1909 წ. 27 იანვარი, — პროკურორის ამხანაგ კოროლიოვის მიერ თედო ლაბაურის დაკითხვის ოქმიდან) ირკვევა, რომ წიწამურში ილიას მკვლელობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობდა „კაკი-ტო იმერეტინ“.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით უმთავრესი საკითხია, როგორ წარმოედგინათ სოციალ-დემოკრატებს რევოლუცია, როგორ აფასებდნენ ისინი რუსეთის ცარიზმისაგან საქართვე-

ლოს დახსნისათვის ბრძოლაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლს და რა სახის შეცდომები იქნა დაშვებული ამ მიმართებით. სოციალ-დემოკრატთა ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურებს რეაქციონერებად აცხადებდა და მტრულად ეკიდებოდა.

ამ პარტიის წარმომადგენლებს პ. გელეიშვილს, მ. ტოროშელიძეს და მათ მეთაურს ფ. მახარაძეს არ ესმოდათ (ან საერთოდ არ იცოდნენ) თვით მარქსიზმის დებულებები იმის შესახებ, რომ:

„სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობლის მიერ, იგი მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას აუცილებლობით მიმართავს საგარეო მტრის წინააღმდეგ" (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. 18, გვ. 555, მე-2 რუსული გამოცემა).

რომ „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისა". „სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, ხალხს ისტორიულად არ შეუძლია რამდენადმე სერიოზულად განიხილოს რაიმე საშინაო საკითხები" (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. 35, გვ. 221, 230, რუსული გამოცემა).

და, რომ „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარების საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974 წ., გვ. XXXIII].

ყოველივე ამის შემდეგ, განვიხილოთ საკითხი, როგორ ესმოდა „რეაქციონერ" და „კონტრევოლუციონერ" ილია ჭავჭავაძეს ეროვნული თავისუფლება, როგორ ზრუნავდა ამ მიზნით. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემოკლებით ფართო საზოგადოებისათვის ასევე უცნობი ილია ჭავჭავაძის 1905 წელს შექმნილი „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" პროგრამული მოთხოვნილებანი (დოკუმენტი დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილ. ჭავჭავაძის ფონდში).

„ჩვენ, ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, — ვკითხულობთ ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილ პროგრამაში, — განურჩევლად სარწმუნოებისა, მთელი ქართველი ხალხის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, ერთხმად დავასკვნით, რომ ასწლოვანმა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურმა რეჟიმმა, რაც სრულიად უცხოა ქართველთა ეროვნული წყობილებისა და

სულისკვეთებისათვის... ქართველი ხალხი მიიყვანა თავისი ცხოვრების განვითარების, ინტელექტუალური და ეკონომიური ძალების სრულ მოდუნებამდე" (მითითებულია ენის დევნა, იძულებითი გარუსება, უუფლებობა და ა. შ. — ვ. გ.).

ამიტომაც ილიას პროგრამა მოითხოვს: გაუქმდეს ყველა კანონი, რომელიც ზღუდავს ქართველთა უფლებებს; დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირების და სხვ. თავისუფლება; უზრუნველყოფილ. იქნას პიროვნების ხელშეუხებლობა; დადგინდეს ერთიანი სამართალწარმოების წესი; ჩამოყალიბდეს საერობო და საქალაქო მმართველობა და მათი წარმოება მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე; შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო მშობლიურ ენაზე; ჩატარდეს განათლების რეფორმა და ყველა სახის სასწავლებელში სწავლება მოეწყოს ქართულ ენაზე; აღსდგეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია); მოხდეს ბატონყმობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, წოდებათა უფლებების გათანაბრება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა; მოხდეს გლეხებზე მემამულეთაგან მიწების გადაცემა უსასყიდლოდ; დაკანონდეს მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უპირველესი ზრუნვა, მოხდეს უფლებების გაფართოება, დაზღვევის შემოღება, გაფიცვების, კრებების თავისუფლება, რვასაათიანი სამუშაო დღეზე გადასვლა. ქართველ ახალწვეულთა სამხედრო ვალდებულებების მოხდა საკუთარ სამშობლოში. სამსახურში მოწყობის დროს ქართველთა უფლებების რუსების უფლებებთან გათანაბრება; პოლიტიკურ პატიმართა ამინისტია, ცალკე მუხლად, — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების ერთ ცენტრალურ ადმინისტრაციულ ერთეულად, — ერობად გაერთიანება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიით.

აი, რა მიზანს ისახავდა ფ. მახარაძის მიერ „თავადაზნაურების იდეოლოგად", „რეაქციონერად", „კონტრევოლუციონერად", „ცარიზმის ჯაშუშად", „მუშებისა და გლეხების მტრად" გამოცხადებული ილია ჭავჭავაძე და მისი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ამიტომაც ფ. მახარაძეს ილიასათვის, ქართველ განმანათლებლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კი არ უნდა გამოეცხადებინა, ფიზიკურად კი არ უნდა მოესპო ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები, არამედ უნდა გამოეყენებინა ეს დიდად ავტორიტეტული პიროვნება და მისი დასის (პარტიის) — განმანათლებელთა უდიდესი ძალა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.

ფ. მახარაძეს მარქსიზმის სათანადო ცოდნა თუ არ ჰქონდა,

იმის გაგება მაინც უნდა ჰქონოდა, რომ კოლონიურ სისტემაში, „სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი), შეუძლებელია ქვეყნის თავისუფლება, მით უმეტეს, მის შიგნით, რაიმე სერიოზული სოციალურ-რევოლუციური გარდაქმნები; რომ საქართველოს სინამდვილეში, რევოლუციის პირველ ეტაპზე ილია ჭავჭავაძის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან ქვეყნის ეროვნული განთავისუფლებისათვის, წარმოადგენდა რევოლუციურს; რომ ისტორიული გარდაუვალობით გაპიროვნებული ქართველი ხალხის ეს მისწრაფება, — ცარიზმის რუსეთისაგან ეროვნული განთავისუფლება — იყო ერთადერთი სწორი გზა თავისუფლებისაკენ. ამიტომ ფ. მახარაძის მხრიდან, მის საწინააღმდეგო მოქმედება უნდა ჩაითვალოს დიდზე დიდ ბოროტმოქმედებად, ანტიეროვნულ, ანტირევოლუციურ და ანტიმარქსისტულ დანაშაულად. ყოველივე ეს, ვიმეორებთ, კიდევ უფრო დადასტურდა საბჭოთა სინამდვილეში.

მისი წყალობით, თუ რა გადაიტანა საქართველომ ოციან და ოცდაათიან წლებში, ყველასათვის ნათელია. აბა გამოვამჟღავნოთ დღევანდლამდე ეს საიდუმლოება სტატისტიკურად მაინც.

რამდენი ათასი „მოღალატე" მოვსპეთ, რამდენი გავაგზავნეთ გადასახლებაში... იხვრიტებოდა არა მარტო მაღალი ჩინისა და რანგის წარმომადგენლები, არამედ ყველა, ვისაც გააჩნდა „თავისი აზრი", — ვისაც მოეთხოვებოდა რაიმე. მათ ხვრეტდა და ასახლებდა „რევოლუციური იდეებით შეიარაღებული" ბრბო. მათი მიზანი იყო გაენადგურებინათ ბურჟუაზია, მემამულეები, თავადაზნაურობა, მეფის მოხელეები, „სოფლის ბობოლები", რელიგიის მესვეურნი — „მეფის ჯაშუშები" და ამით საქართველოში დაემხოთ და მოესპოთ მეფის რუსეთის მთავრობა. თავიდანვე ამ იდეების მატარებელნი საქართველოში იყვნენ ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და მათი მიმდევრები. ამ ხელმძღვანელებს სჯეროდათ, რომ ელეტით აკეთებდნენ დიდ საკაცობრიო საქმეს. მათ არაფრად მიაჩნდათ საქართველოს ეროვნული საკითხი, ეროვნული კულტურა, ეროვნული ენა. ამიტომაც არ ენაღვლებოდათ, თუ დაიღუპებოდა ქართული ეროვნული ინტელიგენცია, თუ მოისპობოდა წინაპართა კულტურული მემკვიდრეობა.

ტერორი, დათრგუნვა (რეპრესია), ადამიანის არად ჩაგდება, სადიზმი... აი, მეთოდი, სისტემა მახარაძელთა „რევოლუციური" მოღვაწეობისა. ისინი კლავდნენ ყველას და სპობდნენ ყველაფერს, განსაკუთრებით წარსულის მემკვიდრეობას. როგორც უკვე ითქვა, ოციან წლებში გაანადგურეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. „ძველი საქართველო" ყოფნა-არყოფნის განსაცდელში აღმოჩნ-

და. შიშისა და სიკვდილის ზარმა მონად აქცია საზოგადოება. ყველა მოელოდა სიკვდილს... ყველაზე მეტად ეკლის გვირგვინით შეიმოსა ეროვნული ინტელიგენცია...

1936—1937 წლებში ფ. მახარაძე, როგორც ილია ჭავჭავაძის დაუძინებელი მტერი, თავისებურად გამოააშკარავეს ქართველმა პატრიოტ-მამულიშვილებმა; ნაკლებად ერიდებოდნენ მის „გვირგვინიანობას". ამ მიმართებით პრესაშიც გამოჩნდა წერილები, — „მოგონებები", ბიოგრაფიული მასალები, იდეური ბრძოლის აუსახველი სხვადასხვა კორესპონდენციები. საილუსტრაციოდ გამოდგება გაზეთ „კომუნისტის" 1936 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ქ. რაჭველიშვილის, გ. ლეონიძის, ანა ნიკოლაძის, ბენ. ბუაჩიძის პუბლიკაციები. ამ უკანასკნელის წერილში „ილია ჭავჭავაძე და სოციალისტური ეპოქა" თითქმის მოურიდებლად გაკრიტიკებულია ფ. მახარაძე ილიასადმი დამოკიდებულების საკითხში. მოვიტანოთ ამონაწერები: ერთი მხრივ, „მენშევიკური კრიტიკა და, მეორე მხრივ, თვით ფ. მახარაძე არის მთავარი წყარო ვულგარული სოციოლოგიზმის წარმომადგენლების. მჭლე და ანტიმარქსისტული სქემებისა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გაგების საკითხში. ამხ. ფ. მახარაძემ ჯერ კიდევ 1905 წელს ილიასთან კამათის დროს, გამოსთქვა მთელი რიგი არასწორი დებულებანი. ამხ. ფილიპე სწერდა ილიას „ნუ თუს" საპასუხოდ: „ილიას მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არა გვგონია საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობელად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა".

სასტიკად შესცოდა ამხ. ფ. მახარაძემ... აბა რა მარქსიზმია ასეთი მსჯელობა: აქაო და მამული გაქვს და შენი მხატვრული ნაწარმოებნი აღარ გვინდაო..." (აქვე მოყავს რუსეთის მემამულეების — ლევ ტოლსტოის, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რუსეთის რევოლუციის სარკე" უწოდა, პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის მაგალითი, რომ მათი მხატვრული მემკვიდრეობა არასოდეს უარუყვიათ მემამულეობის გამო). ბენ. ბუაჩიძე აგრძელებს: „ამხ. ფ. მახარაძე სწერს: „...თ-დი ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენელად ადამიანის ხელშეუხლებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას... ფეხ-ქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსანი ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს" (ფ. მახარაძე, ტ. IX, გვ. 380).

„ჩვენ არ გავიხსენებდით ამხ. ფ. მახარაძის ამ ძველ შეხედულე-

ბებს, — აგრძელებს ბ. ბუაჩიძე, — რომ იგი უკანასკნელ წლებშიაც მასვე არ იმეორებდეს უფრო მკვეთრ ფორმებში... აი, მაგალითად, 1931 წელს ამხ. ფ. მახარაძე სწერდა:

„ილია ჭავჭავაძე კი იყო: წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი, ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი".

„ვინ-ღა იყო ილია ჭავჭავაძე? ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის: რეაქციონერი და კონტრევოლუციონერი".

ამხ. მახარაძე არსებითად არის შემცდარი. არ არის ილია ჭავჭავაძე „თავიდან ბოლომდე" კონტრევოლუციონერი და რეაქციონერი. მაშინ იგი ყოველთვის და ჩვენ დროსაც მშრომელი ხალხის მტერი ყოფილა. არა, არ იყო ილია ჭავჭავაძე მშრომელი ხალხის მტერი... როგორც მარქსისტი იგი მარქსს, ზოგიერთ „მარქსისტზე" უფრო იცნობდა. ილია ჭავჭავაძე გენიოს მარქსს დიდებულ მეცნიერს უწოდებდა".

ფ. მახარაძე ვერაფერს ხედავდა რეაქციონერის გარდა ილიაში. დასცინოდნენ, როგორც უკვე ითქვა ილიას ეპოქალურ მისწრაფებას, — „სხვისით" ცხოვრებას ბოლო უნდა მოეღოს; რადგან „... იქ ყველაფერი გეადვილება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი პატრონი", ანდა მოხეების პირით ნათქვამი: — „ორჩიდა? არჩევანზე ამ ღორღიდან კლდით ვიჯობდი... ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნესო"; რომ უმჯობესია თავისუფლება გაჭირვებაში, ვიდრე ბედნიერება და ჩინ-მედლები „ოქროს გალიაში".

შოვინიზმის, ნაციონალიზმის და კიდევ ვინ იცის რა „იზმის" მიმდევრებად არ ნათლავდნენ ილიასა და მის თანამებრძოლებს მოწინააღმდეგეები. ნაციონალიზმია თურმე ილიას ბრძოლა „კატკოვების წინააღმდეგ, რომელნიც ქართველობას ურცხვად ურჩევდნენ გოტრფუას ცირკს მიპყიდეთ თქვენი ეროვნული დროშებიო, იანოვსკების წინააღმდეგ, რომელნიც პირველდაწყებითი სკოლებიდანაც კი აძევებდნენ ქართულ ენას, რუსი ეგზარქოსების წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიის ამბიონიდან სწყევლიდნენ ქართველ ხალხს, მუხრანბატონების წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებდნენ, კაცობრიობის კულტურის განვითარების კანონი მოითხოვს, რომ დიდმა ერებმა ჩაყლაპონ პატარა ერებიო. ამ ბრძოლის პროგრესული მნიშვნელობა კი ახლა ყველასათვის ნათელია", — სამართლიანად მიუთითებდა 1936 წლის 30 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოს" ფურცლებზე გერონტი ქიქოძე ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წერილში.

ისეთი აქტიური რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი და პარტიული ხელმძღვანელიც კი, როგორიც სეით დევდარიანი იყო, ვეღარ ფარავდა ამავე გაზეთში დაბეჭდილ წერილებში ფ. მახარაძისა და მისი მიმდევრების სუბიექტურ, ანტიმარქსისტულ დამოკიდებულებას ილიასადმი: „ჩვენი მარქსისტული კრიტიკა მე-20 საუკუნის დამდეგს ილია ჭავჭავაძეში ხედავდა მხოლოდ რეაქციის ბურჯს, ძველი ქვეყნის დასაყრდნობ წერტილს და აფასებდა ამ მწერალს ისე, როგორც სარატოვის ბროშურა პუშკინს" (როცა პუშკინის დაბადების 100 წლისთავზე 1899 წელს, სარატოვის სოციალ-დემოკრატებმა გამოუშვეს არალეგალური ბროშურა გენიოს პოეტზე, მასში იგი ხალხის მტრად, მეფისა და ბურჟუაზიის მეგობრად, მათი განუყოფელი ცხოვრების მსახურად ჰყავდათ გამოყვანილი, — ვ. გ.). დიახ, აგრძელებს ს. დევდარიანი, „მაშინ კრიტიკა ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან „ხეს" და „ნაყოფს"... მაშინ ჩვენ შეუმჩნეველი დაგვრჩა ის ისტორიული მატერიალისტური გაგების ძაფი, რომელიც მხატვრული ინტუიციით... გააელო ი. ჭავჭავაძემ ერთი საუკუნიდან მეორემდის. მაშინ ჩვენ მთელი სიმართლე გვეგულებოდა „კვალში" და არც ერთი ნამცეცი სიმართლისა ილია ჭავჭავაძეში" (1936 წლის 16 აგვისტოს „ლიტერატურული საქართველო").

როგორც ვხედავთ, სიცოცხლეშივე არ დაინდო მისმა უახლოესმა თანამშრომელმა ს. დევდარიანმაც კი ფ. მახარაძე ილიასადმი მტრული დამოკიდებულების გამო.

1937 წლის ივნისში ჩატარებული ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მწერალთა საიუბილეო პლენუმის ტრიბუნიდან (შ. რადიანის, ბ. ეღენტის და სხვათა გამოსვლებში) კელავ მთელი პირდაპირობითა და გულისწყრომით აღინიშნა ფ. მახარაძის მეთაურობით ილია ჭავჭავაძისადმი ცოლისმწამებლური, ანტიმარქსისტული დამოკიდებულება. ითქვა ისიც, რომ ფ. მახარაძეს და ნ. ჟორდანიას, მიუხედავად მათი იდეური წინააღმდეგობისა, ილიას საკითხში არავითარი უთანხმოება არ ჰქონიათ. სწორედ მათ გამოუცხადეს ბარბაროსული ლაშქრობა ილიას, სწორედ მათ ვერაფერი ნახეს ილიას შემოქმედებაში პროგრესული, რევოლუციური, განმათავისუფლებრივი; სწორედ მათ შექმნეს „თეორიები" ილიას ანტირევოლუციურ, ანტიხალხურ, კონტრევოლუციურ მოღვაწეობაზე. სწორედ მათ შეიყვანეს შეცდომაში როგორც გაუნათლებელი ბრბო, ისე „ინტელიგენციის" ერთი ნაწილი გელეიშვილების, ტოროშელიძეების, ნაროუშვილების და სხვათა სახით.

ლიტერატორი კარლო მელაძე, 1937 წლის 12 ივლისის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში: „სა-

კუთარი შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკისათვის" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა ჩემი შეცდომა ილია ჭავჭავაძის შეფასებისას მომდინარეობს ფ. მახარაძის მტრული დამოკიდებულებიდან ილიას მიმართ. ჩემს წიგნში „კლასიკოსების შესახებ" უხეშად ვამახინჯებ დასახელებულ საკითხს. ყალბად მესმის ისეთი დიდი კლასიკოსების შემოქმედება, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი... ჩემი ასეთი მაშინდელი შეხედულება ილიაზე არის ყოვლად ყალბი და შემცდარი. ამ აზრს სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს... მე ვიმეორებ ამხ. ფ. მახარაძის შემცდარ დებულებას ამავე საკითხების შესახებ... ამ აზრის სიყალბეს მტკიცება არ ესაჭიროება". ბოლოს კ. მელაძე მოითხოვს, რომ მისი წიგნი ამოღებულ იქნას ხმარებიდან და აქვე მიუთითებს სხვათა შეცდომებზე ილიას შეფასების საკითხში, კერძოდ, ალ. სულავას შეცდომაზე. ამ მხრივ დასახასიათებელია ა. სულავას წერილი: „ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი", რომლის მთელი შინაარსი იქითკენაა მიმართული, რომ ფილიპე მახარაძის დებულებებზე დაყრდნობით დოკუმენტურად დაამტკიცოს ილიას რეაქციონერობა და დესპოტიზმი.

არც თვითონ ფ. მახარაძე მალავდა, ილიასადმი მტრობას. მაგალითად, თავის წერილში „ივანე ჯაბადარის ხსოვნას", ქებით იხსენიებს ჯაბადარის წერილებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეურაცხმყოფელი იყო ქართველი ერისათვის და მტრული ილია ჭავჭავაძისადმი, — „ამ დროს ი. ჯაბადარის წერილები საქართველოზე „სევერნი ვესტნიკში" ერთი მხრივ და „აი ისტორიის" ავტორის (ე. ი. ილიას ჭავჭავაძის, — ვ. გ.) არა საკადრისი, ვიტყვით პირდაპირ, დემაგოგიური პოლემიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ... „მთელი ჩვენი სიმპათია ივანე ჯაბადარისაკენ იყო" (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. III 1926 წ., გვ. 149; ჟურნალი „ჩვენი წყარო", 1913 წ., 12 მაისი №8—18).

ფ. მახარაძე არა თუ ილიას, არამედ შოთა რუსთაველსაც აბუჩად იგდებდა. აი, რას წერს წიგნში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო": რუსთაველი არ გადმოგვცემს თავის ნაწარმოებში ხალხის სულისკვეთებას და მის მისწრაფებას; „ვეფხის-ტყაოსანში" თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ამსაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს (ფ. მახარაძე, თხზ. ტ. IV, 1926 წ., გვ. 103).

როგორც ჩანს, ეამაყებოდა, ალბათ, ფ. მახარაძეს ილიას ფიზიკური და იდეური განადგურება, თორემ როგორ შეიტანდა თავის თხზულებათა მესამე ტომში (გვ. 315), დამატების სახით „ბაქოს „ჩვენი წყაროს" რედაქციისადმი" გაგზავნილ ანონიმურ წერილს, რომელიც ასე იწყება: „დიდებულ ბრბოს ბაირაღდარს და მტარვალს უმანკო სისხლის მთხეველს და ხალხის ზნეობის დამცემს ფ. მახარაძეს". შემდეგ, შეხსენებულია ილიას მკვლელობაში საზოგადოებრიობის „პასიურობა" და კვლავ ფ. მახარაძეზე: — „იმას რიღათი შეუძლია თავისი სისხლიანი ხელები მიჩქმალოს? ის ხომ მაინც ფაქტიური მკვლელია ილიასი და ამას რაღას ეუბნება, ეს ხომ ჭეშმარიტება არის, რომ ის მეთაურია ამ მკვლელობაში და ეს იმისმა ჭუჭყიანმა გონებამ და ჭუჭყიანმა ხელებმა მოიმოქმედა, ისიც ხომ აშკარად ესმის მახარაძეს და იცის დანამდვილებით, რომ იმისი ცილისწამება იყო ფანატიკოსური ფანტაზიურად შეთხზული?... ამას რა პასუხს აძლევს ჩვენი ყაჩაღთა ატამანი და მისნი მსგავსნი?..."

ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რა სასტიკად გაუსწორდა ფ. მახარაძე და მისი ჯგუფი ყველა მათ, ვინც, განსაკუთრებით ილიას იუბილის დღეებში, თქვეს სიმართლე, ვინც არ დაინდო ილიას მთავარი მკვლელი ფ. მახარაძე (ტ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ბენ. ბუაჩიძე, დ. შევარდნაძე, ს. დევდარიანი და სხვ.). ასე, რომ გამართლდა გამოჩენილი რუსი ჟურნალისტის რსდმპ (ბოლშევიკების) აქტიური წევრის, თბილისში მოღვაწე იოანე ბრიხნიჩეფის სიტყვები, რომელიც მან, როგორც ვთქვით, 1907 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა გაზეთ „ზაკავკაზიეში". იგი ილიას მიმართავდა: „ჯერ კიდევ ბევრი შეეწირება შენს საქმეს, როცა შენს შესაცვლელად ასპარეზზე გამოვა, შეეწირება იმათი ხელით, რომელთაც არა იციან. რასა იქმნენ..."

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნათელი გაპფანტავს ბნელს და სამართალიც დამკვიდრდება.

ამ შემთხვევაში ისინი და მრავალი მამულიშვილი — მოღვაწე მსხვერპლი შეიქმნენ არა უმეცართა ხელით, არამედ ღვარძლიანი „ხელმძღვანელებისაგან", რომლებმაც გოლგოთად აქციეს მთელი საქართველო.

როგორც „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ" დადგენილებიდან გამომდინარე, 1956 წლის 29 სექტემბერს ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ითქვა, 1937 წელს საქართველოში თითქმის მთლიანად მოისპო ქართველი ინტელი-

გენცია, მთელი შეგნებული საზოგადოებრიობა: „მოსისხლე მტერმა ბერიამ და მისმა დანაშაულებრივმა ხროვამ აწამა და დახვრიტა... თითქმის ყველა სახალხო კომისარი, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი — მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი... ათასობით სხვა პატიოსანი საბჭოთა ადამიანი — მუშები, კოლმეურნეები... 1937 წლის მაისში შემდგარ საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე დამსწრე 634 დელეგატიდან დახვრეტილ იქნა 425 დელეგატი... ამავე დროს ყველგან „გადარჩენილებს" სიით ხსნიდნენ სამსახურებიდან, რიცხავდნენ პარტიიდან როგორც კონტრევოლუციური ორგანიზაციების მონაწილეებს და წინადადებას აძლევდნენ საქართველოს შინსახკომს, დაეპატიმრებინათ ისინი. და გამოჰქონდათ დადგენილება მათი დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ ისეთნაირად, რომ არც ერთ მათგანს არ უსაუბრია, არ დაინტერესებულა ნამდვილად გამოერკვიათ და დარწმუნებული ყოფილიყვნენ ამ ამხანაგების მავნებლურ საქმიანობაში. შემდეგ, როგორც ეს დოკუმენტებიდან ჩანს, მათი უმრავლესობაც თითქმის 70—80% ფიზიკურად განადგურებული იქნა"... ამას ადასტურებს ის საშინელი დოკუმენტი, რომელიც მიიღო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინ, ახალი სისხლის ღვრის, ხალხის მუხანათურად ანგარიშის გასწორების შესახებ. „არ შეიძლება არ გამოვუცხადოთ ზიზღი ზოგიერთ იმ მუშაკს, ვკითხულობთ მასალებში, რომელიც ასე უსინდისოდ ხელს აწერდა ამა თუ იმ ხელმძღვანელი მუშაკის ფიზიკური განადგურების დოკუმენტს და შემდეგ ფიზიკურად სპობდა..."

კიდევ უფრო შემზარავი, შემაძრწუნებელი და საზარელია ის ფაქტი, რომ „თურმე 1937 წელს ადამიანების დასახვრეტად არსებობდნენ ლიმიტები"; „რომ ხალხის დაპატიმრების გეგმებსაც აძლევდნენ რაიონებსა და სოფლებს" (სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 40, საქ. 37, გვ. 280—281, 601). ამათგან ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ასეთ სისხლის ღვრაში, ილიას მკვლელობიდან მოყოლებული 1937 წლის ჩათვლით, ფ. მახარაძე იყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ მოხდა ახალი, ბევრი რამ გადაფასდა, მაგრამ, როგორც არაერთგზის აღნიშნეთ, სრული, დამაჯერებელი პასუხი ილიას მკვლელობაზე და მკვლელებზე დღევანდლამდე არ გაცემულა.

1907 წელს ჯოჯოხეთის მოციქულების მიერ ილიას ვერაგული და ბარბაროსული მკვლელობისას, მთელ საქართველოში გაისმოდა

კითხვები: „ვინ გაჰბედა და ცილი დასწამა დიდს ქართველს, თვისის სამშობლო ქვეყნის სულიერ განახლებისათვის დიდს მებრძოლს? ვინ სცდილობდა მის დამცირებას, მის შებღალვას ხალხის წინაშე? ვის უნდოდა სამარცხვინო ბოძზედ გაეკრა თავის ქვეყნის დიდებული შვილი, თვისთა თანამემამულეთა გულთა-მხილავი და მესაიდუმლე, „დაუგვირგვინებელი მეფე" საქართველოსი? ვისმა ბოროტმა მარჯვენამ მოაწერა ხელი მის სასიკვდილო განაჩენს, ვინ მოჰკლა „ჩვენი ილია", რად გაჩნდნენ „ჯალათნი თავისუფლებისა, გენიოსობისა და ენამზიანობისა?" (გრ. ყიფშიძე, კრებულიდან „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", თბ., 1907 წ., გვ. 91).

80 წლის შემდეგ პასუხი კვლავ გაუცემელია ამ კითხვებზე. საილუსტრაციოდ მოვუსმინოთ თანამედროვეებს: „გადაბრალება კარგად ვიცით, — წერს პოეტი ჯ. ჩარკვიანი მიმდინარე წლის 1 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში", — ვის არ ვაბრალებდით ილიას მკვლელობას, ხან დაქირავებულებს, ხან „მეფის ოხრანკას", ხან ვის და ხან ვის; ერთი არ წამოგვცდენია, რომ ჩვენც დიდი წვლილი მიგვიძღვის იმ უბედური დღის დაბადებაში, დიდი ბრალდებაა? ვიცი, ძალიან დიდი ბრალდებაა, არც შეიძლება ამხელა ლაქა მთელს ქართველობას მოსცხო, მაგრამ რომ ვერ დავაკონკრეტეთ, რომ ვერ ვსთქვით სათქმელი? იქნებ ხმამაღლა გვეთქვა სახელი იმ ორი-სამი კაცისა, ვინც ითაკა ეს ბოროტი საქმე, თორემ მართლაც და ერმა რა დააშავა?... როდის დადგება ის დრო, როცა ხალხს ყველაფერს ვეტყვით და ჭეშმარიტების გზაზე დავაყენებთ? თუ საჯაროობაა, საჯაროობა იყოს".

„როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუკითხავი კაცთაკვლა ატყდება, — წერს მწერალი და მეცნიერი ლ. სანიკიძე, — ნუთუ დროის გარკვეული მანძილის შემდგომ (ანუ შიშისა და ტერორის გავლის შემდგომ) მაინც არ შეიძლება მისი სააშკარაოზე გამოტანა და შეფასება, აეად თუ კარგად შეცნობა?... ძალიან ხელშესახები რელიეფურობით იძებნება კავშირი ქართველი ხალხის ამ ორ, მარად მოუნელებელ და მარად საგლოველ ტრაგედიათა შორის (იგულისხმება წიწამურისა და ოცი-ოცდაათიანი წლების ტრაგედიები, — ვ. გ.). ერთიც და მეორეც, საისტორიო დროის ეგზომ მცირე დროის ნაკვეთში, სულიერად ერთი ჯიშის ადამიანურმა მოდგმამ დაატეხა თავს საქართველოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ილია ჭავჭავაძესაც და მის ყველაზე თვალსაჩინო მემკვიდრეს ივანე ჯავახიშვილს ერთნაირი ბრალდება შეუთითხნეს — ფეოდალიზმისა და ქრისტიანიზმის ქომაგობა და იდეოლოგობა! ილია ჭავჭავაძის მკვლელთა მემკვიდრეებმა სწორედ „დრო იშოვეს" და გახელებით შეუდგნენ

ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეთა განადგურებას... ეს ის ხალხია, რომლებიც ჭავჭავაძისეულ ეროვნულ სუნთქვას ალერგიულად ვერ იტანენ ერის ცხოვრებაში. ეს ის „თაობაა", რომელთა რიგებიდან, წერა-კითხვას ზიარებულნი, ილიას ლანძღვას განაგრძობდნენ თუ პრესიდან, თუ ტრიბუნიდან, თუ სამიკიტნოდან, თუ ქუჩიდან.

...და დღესაც დაბოგინობს ქართულ მიწაზე ბევრი მათგანი და თავს ისევ ამით იმართლებს — „დრო იყო მაშინ ისეთიო!" და „ისეთი დრო" თუ ისევ დაუდგათ... ისევ განაახლებენ ილიას ლანძღვას და ილიას მემკვიდრეთა განადგურებას" (ლ. სანიკიძე, „ნაფეხურები გვაძრწუნებენ"..., ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", №4, 1987 წ., გვ. 99—101).

დიახ, ასე ფიქრობს და მსჯელობს დღეს ილიას დაბადებიდან 150 წლისთავზე მთელი ქართველი ხალხი.

ჩვენი ნარკვევი კი გვინდა დავამთავროთ გენიალური შოთას სიტყვებით: „ბოლოს ყველა დაფარული ცხადი გახდეს უცხადესად".

თუ ილიას მკვლელობის ამბავი, ეს სამარცხვინო მოუშუშებელი წყლული, ეს ჩვენი სამარადჟამო ეროვნული დანაშაული, ოთხმოცი წლის განმავლობაში მყოფი „დაფარული ცხადი", ნაწილობრივ მაინც როგორ გავხადეთ უცხადესად, თუ როგორ გამოვიძიეთ, თამარის ბრძანებისამებრ, „ყოველი კეთილად და დავამტკიცეთ მართალი", მკითხველისათვის მიგვინდვია.

1987წელი

ნაწილი მეორე

დამატებითი მასალები (დოკუმენტები) ილიას მკვლელობის შესახებ.

I. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ფ. მახარაძის პიროვნების და ილიასთან მისი დამოკიდებულების შესახებ.

„ფ. მახარაძე თავის წერილებში თვითონაც სერიოზულ შეცდომებს უშვებდა და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას იმავე ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდა, რომელსაც ნამდვილ, რევოლუციურ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა" (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, — „საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958 წ., გვ. 574).

საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომიდან (თბ., 1972 წ., გვ. 253—254): „ცხარე პაექრობა, ერთი მხრივ, ქართველ განმანათლებლებსა და, მეორე მხრივ, ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, მთელ რევოლუციამდელ პერიოდში არ დამცხრალა, ხოლო განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 1905—1907 წლების ხანაში მიიღო. განმანათლებლებს პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში უმთავრესად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად მიაჩნდათ და არ ეთანხმებოდნენ არც სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც რევოლუციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს უარყოფდნენ და მხოლოდ პროლეტარების და გლეხობის სოციალურ მოძრაობად მიიჩნევდნენ და არც იმ სოციალ-ფედერალისტებს, რომლებიც რევოლუციას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მიზნებს უსახავდნენ, მაგრამ არსებითად ბურჟუაზიულ-უტოპიურ ეროვნულ პროგრამას ემხრობოდნენ. ამის გამო მენშევიკ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი (ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, პ. გელეიშვილი და სხვ.), ზოგი ბოლშევიკი (მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე) და სოციალ-ფედერალისტიც. (ა. ჯორჯაძე, ვ. წერეთელი) განმათავისუფლებელ ეროვნულ დემოკრატებს რეაქციონერებად აცხადებდა და მტრულად ეკიდებოდა, თუმცა განმათავისუფლებელთა ცდა — შეექმნათ ერთიანი ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი ცარიზმის წინააღმდეგ — რევოლუციურ შინაარსს შეიცავდა და გარკვეული აზრით არც სოციალ-დემოკრა-

ტიის ეროვნულ პროგრამას ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ იყო, რომ სოციალ-დემოკრატთა მეორე ნაწილი (ა. წულუკიძე, ი. სტალინი და სხვ.), აგრეთვე ფედერალისტთა უმრავლესობა (კ. აბაშიძე, სილ. ხუნდაძე, გოგელია, გ. ქიქოძე და სხვ.) შეიძლება არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ სიმპათიურად უყურებდნენ დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველ განმანათლებლებს, როგორც მოკავშირეებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში".

II. ფ. მახარაძის წერილიდან (მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავარის წიგნაკის — თ. ილ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდის—გამო), გაზ. „კვალი", 1898 წ. 26 ივლისი, №31.

„მესამოცე წლების „მოღვაწეებზე" ლაპარაკმა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში და საზოგადოებაში ლამის გადაგვიტანოს... კითხულობთ ამ მაღალფარდოვან სიტყვებს და თანაც გულში ფიქრობთ, რომ ამის მოლაპარაკეს ან დამწერს მარტოთ მარტო ერთი პირი ჰყავს მხედველობაში, ე. ი. თავადი ილია ჭავჭავაძე...

მოგეხსენებათ, რომ ამ ერთი წლის წინათ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ერთი დაუსრულებელი სჯა-ბაასი ატყდა იმის, თუ როგორ უნდა ედღესასწაულათ თ-დი ილ. ჭავჭავაძის ორმოცი წლის მოღვაწეობის შესრულება. რა „დიდი ზეიმით და ამბით" ემზადებოდნენ ამ დღესასწაულისათვის „ინტელიგენტები"...

ამ ორი თვის წინეთ თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში შემდეგ განცხადებას: „იბეჭდება და მალე გამოვა" თ. ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი" მეგახლავარისა"... ავტორის ნამდვილი მიზანი მხოლოდ ის ყოფილა, რომ ქება-დიდება შეესხა თ. ილ. ჭავჭავაძისათვის...

„ილია ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გამეფდა ქართულს მწერლობაში... იგი დიქტატორულის ძალ-ღონით ბრძანებლობს ჩვენს ლიტერატურაში იმ თავიდანვე დღემდის ორმოცი წლის მანძილზეო"... ერთი კაცის გაბატონება მწერლობაში, ნიშნავს საზოგადოებრივი განვითარების შეჩერებას, გაყინვას და საზოგადოებრივი აზროვნების ჩაქრობას. ნუ თუ ამას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე „ორმოცი წლის მანძილზე?"...

დროა ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და მართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ...

III. ფ. მახარაძის გამონათქვამი ილია ჭავჭავაძესთან, როგორც კლასობრივ მტერთან შეურიგებლობის შესახებ.

„... ილია, რომელიც ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს... აქაც, როგორც სხვა რამეებშიაც, ჩვენი და თ-ღ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია“ (ჟურნალ „მოგზაური“, 1905 წ., №18—19).

IV. ს. ორჯონიკიძე და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ილიას ერთ-ერთი მკვლელის, „იმერელის“ შესახებ. გაზ. „ისარი“, 1908 წლის 13 თებერვალი. „კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“.

„როგორც ვიცით, პოლიციამ... დააპატიმრა პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) და ლადო ფეიქრიშვილი, რომელთაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობას აბრალებენ. ამაზე ადრე დააპატიმრეს ბაგრატ ოგანოვი და ფილიპე მაზმანიშვილი. დაპატიმრებულნი დუშეთის სამაზრო საპატიმროში გადაიყვანეს. პოლიცია კვლავ განაგრძობს კვლევა-ძიებას. როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, გზაზე ლადო ფეიქრიშვილი გამოსტეხია ბოქაულს და უთქვამს: „პავლე ფშავლიშვილმა მიამბო, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს საგურამოში ყველასაგან ცნობილ მამასახლისად ნამყოფ ვანო ინაშვილის მეთაურობით პავლე ფშავლიშვილმა (აფციაური), გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა ი მ ე რ ე ლ მ ა, რომლის გვარი არც პავლემ იცისო“.

მაზრის სამმართველოში რამდენსამე კაცის თანდასწრებით, როგორც გვატყობინებენ, მაზრის უფროსის შეკითხვაზე პავლე ფშავლიშვილი გამოტეხილა და უთქვამს ის, რაც ფეიქრიშვილს გზაში ბოქაულისათვის უამბნია. ფშავლიშვილს ისიც გამოუცხადებია, რომ მე და ჩემი ამხანაგები ჩავუსაფრდით ჭავჭავაძეს 30 აგვისტოს 1907 წ. სოფელ წიწამურის მახლობლად. მეო, უთქვამს ფშავლიშვილს, მაღლობზე ვიდექ და ვდარაჯობდი, როდის გამოიელიდა ილია ჭავჭავაძის ეტლი. როდესაც ეტლი მოგვიახლოვდა, მე დავისტვინე, ინაშვილი და სხვები დაემზადნენ. ეტლი შეაჩერებინეს და პირველად ჭავჭავაძეს ტყვია ინაშვილმა დაახალა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არ ვიცი, ვიცი კი, რომ ის იმერელი ამ რამდენსამე ხნის წინად ტფილისში რევოლვერის ტარებისათვის დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთში. მკვლელობის შემდეგ ავედით ტყე-

ში, გადავიარეთ ტყე-ტყე ზედაზნის მონასტრის გვერდით და შემდეგ სოფელ ავჭალაში ჩავედით; აქედან კი ტფილისს მივაშურეთ და ნაძალადევში ვცხოვრობდითო".

გაზეთ „ისარის" ამ პუბლიკაციამ დაბადა ეჭვი, რომ ილიას მკვლელთა შორის ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო ს. ორჯონიკიძე, პ. ფშაველიშვილის მიერ ნახსენები. „იმერლის" გვარის ასეთი გასაიდუმლოება მიუთითებს იმაზე, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი რიგითი ტერორისტი, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წამყვანი წევრი. ასევე იყო ბახვის კრებაზე გასაიდუმლოებული ორი მონაწილის გვარი, რომლებიც ბათუმიდან ჩამოვიდნენ..

ზოგიერთი „ვაიმეცნიერის" მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ილიას მკვლელობის დროს ს. ორჯონიკიძე დაპატიმრებული იყო, ბათილდება მისივე საბრალდებო დასკვნით, რომელიც ინახება ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, დათარიღებულია 1908 წლის 28 თებერვლით და შედგენილია თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის ა. მოსკალევის მიერ. (ცსია, საქ. სსრ ფ. 23, საქმე 527, გვ. 2—4, დედანი, რუსულ ენაზე).

ამ საბრალდებო დასკნიდან ირკვევა, რომ ს. ორჯონიკიძე თავისი პირველი დაკითხვის შემდეგ (1905 წ. დეკემბერში) მიიმალა და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. იგი დააპატიმრეს 1907 წლის ნოემბერში, როგორც ამას აღნიშნავს საბრალდებო დასკნა. ეს ყოველივე განსაკუთრებულად ემთხვევა გაზეთ „ისარის" პუბლიკაციას, სადაც გამოქვეყნებულია პ. ფშავლიშვილის ჩვენება, რომელიც აღნიშნავს, 1908 წლის დასაწყისში, ილიას მკვლელობის მონაწილე „იმერელი" ამ რამოდენიმე ხნის წინ დააპატიმრესო. ე. ი. ეს დაპატიმრება მოხდა 1907 წლის 30 აგვისტოსა და 1908 წლის 13 თებერვალს შორის! ასე რომ ილიას მკვლელობის დროს ს. ორჯონიკიძე თავისუფალი იყო და მოღვაწეობდა თბილისი-ბაქოში.

V. ირიდიონ ევდოშვილის წერილი გადასახლებიდან სანდრო შანშიაშვილისადმი.

„... ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდიხანია ვთქვა, რაც შხამის ტბათ ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ვაიმეგობრებმა დაატრიალეს. მართალს მწერ სანდრო, ვიცი რომ იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მოგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ, აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდამ მჩხვლეტენ. კარგა ხანია, რაც იმ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე გადაგვარე-

ბულებმა, „გადამთხვეულებმა“ როგორ დაახალეს ილიას მოხუც ნაჭირნახულევ გულს ტყვია. ეს ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და ამათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭეული მთელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში იდეურათ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა, ბრძოლა ორ აზრს შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს? ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმად მარტოდმარტო ჩემს ფიქრებში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან და თუ მივბრუნდი დღეს მათკენ, მივბრუნდი მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ სოციალ-დემოკრატებისაკენ მეთქი. იმიტომ, რომ ისეთი უკულმართი შეხედულობა, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის დემოკრატს არ აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის (ესდეკებს) სოციალ-დემოკრატებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკულმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში, რასაკვირველია, ქართველი სოციალ-დემოკრატი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო, მე ისიც კარგად ვიცი, სანდრო, რომ ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრამ ძლიერ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თავის გულწრფელი აზრების გამოთქმას. წერით ხო ეშინიათ და ემალებიან იმ ზიზღს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან. მაგრამ შენ ხომ იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს, და მეც ვერ გავუძელ გულისთქმას, ვამბობ და ვწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტარის ტრიალი დაეჯახა ქიზიყელის ჯიუტ გულს და დღეს

უნდა გითხრა, მე გამარჯვებული ვარ ამ გველებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სიკვდილის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს".

VI. ს. გეგეჭკორის წერილიდან ქართველი ვაიმარქსისტების შესახებ (ციმბირიდან):

„... მე ახლა მივხვდი, რომ საქართველოს პირობებში ყველაზე მწვავე კითხვა ეროვნული კითხვაა. სამწუხაროდ, ამ კითხვას ზურგი შეაქციეს ქართველმა ვაიმარქსისტებმა. ეს დიდად სამწუხაროა, ყველაზე დიდი შეცდომაა მათს მოღვაწეობაში. ეხლა აქ ციმბირში გადმოსახლებულ მუშებთან იოსებ ჯუღაშვილთან და იროდიონ ევდოშვილთან საუბარში ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, ეროვნულ საკითხში ჩვენმა შეცდომებმა თუ რა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას. კაცმა რომ თქვას, რა დავუპირისპირეთ ჩვენ ილიას და აკაკის ნათელ ეროვნულ კონცეფციას! — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა?" არაფერი, გარდა ტრაფარეტული, შაბლონური სიტყვებისა და ერის დიდებული მეთაურების წინააღმდეგ უსინდისო ცილისწამებისა".

როგორც პროფ. ს. ჭილაია წერს:

რევოლუციის დამარცხებამ და რევოლუციური და პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ რეაქციის გამძვინვარებულმა შემოტევებმა დაშალა და დაარღვია მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ორად გაიყო მესამედასელთა ჯგუფი. ერთნი ამტკიცებდნენ, შეცდომა იყო, იარაღს ხელი რომ მოვკიდეთ, რასაც ამდენი სისხლისღვრა მოჰყავო...

დასელთა ერთი ნაწილი არ იწონებდა ილია ჭავჭავაძეზე ქართველი სოციალ-დემოკრატთა ლიდერების თავდასხმას და მათს ეროვნულ ნიჰილიზმს. ციმბირში გადასახლებული გეგეჭკორი ახლა კარგად ხედავდა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ნიჰილისტურ ეროვნულ პოლიტიკას ხალხის უნდობლობა მოჰყვა. შორეულ ციმბირში ყველაზე მწვავედ განიცდიდა გეგეჭკორი ქართველი მარქსისტების ამ სუსტ მხარეს.

(ვსარგებლობ ს. ჭილაიას წიგნიდან „შვილები", თბ., 1982 წ., გვ. 276—277).

VII. არკადი ხუნდაძის წერილიდან — „დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში და მისი ანდერძი"

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა ტფილისში დავსახლდი, დიმიტრი ჩემი ხშირი სტუმარი იყო, როგორც ახლო ნა-

თესავი. გაიგო თუ არა ია ეკალაძემ (ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა). რომ დიმიტრი ჯაშთან ნათესაობა მაკავშირებს, ერთ დღეს დიდი წინასიტყვაობისა და შესავლის შემდეგ მთხოვა, რათა მეკითხა დიმიტრისათვის ილიას მკვლელობის შესახებ რაიმე. მე წინასწარ ვიცოდი, აქედან არაფერი გამოვიდოდა. ვიცოდი იმისათვის, რომ დიმიტრი ჯაში ძალიან გაურბოდა ამ მკვლელობის შესახებ საუბარს, თუმცა ილიას მოღვაწეობის შარავანდედით მოფენა ძალიან უყვარდა.

მე მოკრძალებით ფორმებში გადავეცი იას ნათქვამი. დიმიტრის არც უფიქრია, ისე თოფნაკრავივით წამოვარდა და აღელვებით თქვა: „ესენი მაინც გაჩერდნენ" და სიტყვა „გაჩერდნენო" ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა და დასძინა—ილიას მკვლელობაზე ლაპარაკი არ ღირს, თორემ თუ ამას გამოვეკიდეთ, შეიძლება ისეთი ვინმეები გაებას მახეში, რომელზედაც არავის არასდროს ეჭვი არ მოუვაო. რა თქმა უნდა, ამასთან ამის შესახებ საუბარი არ მქონია... დიმიტრი ჯაში მოკლა ცოლისძმამ 1922 წლის მაისის დამლევს...

როგორც კი „ვინმეებისათვის" დ. ჯაშის გამონათქვამი ნაცნობი გახდა, მომზადდა ჯაშის აღსასრულის დღეც, — მისმა ცოლის ძმამ, იარაღის „წმენდის დროს" გავარდნილი ტყვიით მოკლა დ. ჯაში, ხოლო „მკვლელი", რამოდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში ნახეს მკედარი კვალის დაფარვის მიზნით. ასე უსწორდებოდნენ ყველას, ვინც რაიმეს იტყოდა ილიას მკვლელობაზე და მის ორგანიზაციაზე.

VIII. გ. ბერბიჭაშვილი, როგორც ილიას მკვლელი, ხოლო ფ. მახარაძე — ამ მკვლელობის ორგანიზატორი

1923 წელს, კვლავ გამოააშკარავეს ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა ფ. მახარაძე, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორი (მოგვაქვს ციტატა ა. სულხანიშვილის წიგნიდან: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე" (დაიბეჭდა სან-ფრანცისკოში 1985 წელს):

„აი, დადგა დრო, თუმცა გვიან, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გაიგოს ქართველმა ერმა და ნამეტნევად მომავალმა თაობამ ვინ იყვნენ ილიას მკვლელები და რათ მოჰკლეს. ჩვენ ბრძოლების დროს 1923 წელს ზაფხულში ხელში ჩაგვივარდა ილიას ფიზიკური მკვლელი ბერბიჭაშვილი, შეფიცულები ზიზღით უყურებდნენ და გაგლეჯვა უნდოდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ (ჩოლოყაშვილმა) აპატია და დაჰკითხა, თითქმის ყველა კითხვებზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ შეშინებული იყო, დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაანთავისუფლა იმ მოსაზრებით, თუ გავიმარჯვებდით, საჯაროდ გველაპარა-

კებინა. ბევრი გავიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ილიას. აი, ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი. ჯიბლაძე, ს. რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნ. ხომერიკი, პ. გელეიშვილი. ნოე ჟორდანიაც იყო მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესახებ იყო ის კრება, სთქვა, მე ხელები დამიბანიაო ამ საქმეში და წავიდა. ჟორდანია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, მასაც მოკლავდნენ. აი, ასე ააშენეს ჩვენი ქვეყანა სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა". (გვ. 10)

აი, მიზეზი, თუ რატომ უფრთხილდებოდა და იცავდა ფ. მახარაძე გ. ბერბიჭაშვილს, და რატომ გაუშვა იგი ს. ორჯონიკიძემ „პერსიაში".

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ დახმარებას უწევდნენ ირანის 1905—1911 წლების რევოლუციასაც, რომელმაც რუსეთის პირველი რევოლუციის გაელენით იფეთქა. რევოლუციაში ასობით გაგზავნილი რევოლუციონერიდან, განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის გ. ორჯონიკიძეს, რომელიც 1909—1910 წლებში იმყოფებოდა ირანში (იხ. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორია, გვ. 284—285).

დიახ, ტერორისტებისაგან სიკვდილის შიშით ვერავინ ბედავდა გამოსულიყო ილიას დასაცავად, თორემ ილიას რომ სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს ბევრმა იცოდა.

მართალი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილი წამყვანი წევრი მ. კლიმიაშვილი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერდა, რომ ილიას მკვლელობას სოციალ-დემოკრატების შიშით ვერავინ შეუშალა ხელი.

იგივე ითქვა ბახვში ჩატარებულ სოციალ-დემოკრატების ადგილობრივ საიდუმლო კრებაზე.

მოგვაქვს დოკუმენტი მცირედი კუპირებით:

„1907 წ. 14 დეკემბერი, №11424, ქ. ტფილისი.

ქ. ოზურგეთის სამხედრო ჰაუპტვახტში პატიმრობის ქვეშ მყოფმა ალექსანდრე ეგორის ძე გრეკოვმა, რომელიც ირიცხება ოზურგეთის მოსამართლე გამომძიებელზე ალექსი გეორგიძის გაძარცვის საქმის გამო, გასულ 30 ნოემბერს განუცხადა ოზურგეთის და სენაკის მაზრების, მათში შემავალი ქ. ფოთის, ქუთაისის გუბერნიის, სამტრედიის უბნისა და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის ყოფილ დრ. გენერალ-გუბენტაროს გენერალ-მაიორ გოლმაჩოვს შემდეგი.

მიმდინარე წლის ზაფხულში იგი, გრეკოვი, შემთხვევით მონა-

წილეობდა სოფელ ბახვში ფერშალ პროკობი ბერეჟიანის სახლში კრებაზე, სადაც თავი მოიყარა 16-მდე კაცმა, მათ შორის: ერმალოზ და კალენიკე დოლიძეებმა, დიომიდე ბასილაიშვილმა, კორიეს და ნიკო შავიშვილებმა, ილარიონ უჯმაჯურიძემ, მარკოზ ჟღენტმა (შემდგომში მოჰკლეს), რაჟდენ ვადაჭკორიამ (მეწაღე), მელქისედეკ მუგენარიძემ, ერმალოზ ანდღულაძემ და ლადიკო ბერეჟიანმა, აგრეთვე ბათუმიდან ჩამოსულმა ორმა პირმა, რომელთაც განმცხადებული გვარით არ იცნობს: ერთი—შავგრემანი, უწვერო, ულვაშებიანი, დაბალი ტანისა, თავზე ჭაღარაგარეული თმით; მეორე — ძალიან მაღალი, გამხდარი, წითური, მახვილი წვერით, თავზე გადავარცხნილი თმით, რამდენამდე ჰგავს ერმალოზ დოლიძეს: სწორედ ეს მეორე ბათუმელი სტუმარი თავმჯდომარეობდა კრებას.

„თავმჯდომარემ" დასაწყისში შეკრებილთ აცნობა საქმეთა ვითარება გურიაში, მერე კი განაცხადა, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე უნდა მოვკლათო. პატრონი სახლისა, სადაც თავყრილობა გაიმართა, ფერშალი პროკობი ბერეჟიანი კრებას არ ესწრებოდა, ვინაიდან ავად იყო და სახლის ერთ-ერთ განაპირა ოთახში იწვა.

განაჩენის ამსრულებლები იმავე საღამოს წავიდნენ ბახვიდან, ხოლო სამი დღის შემდეგ ხმა დაირხა, თავადი ჭავჭავაძე მოჰკლესო.

აღნიშნულის გამო, კავკასიაში მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მეფისნაცვლის ბრძანებით, განსაკუთრებულ განყოფილებას აქვს პატივი მოგახსენოთ განკარგულებისათვის თქვენს მაღალკეთილშობილებას".

(საქართველოს სსრ საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 116, აღწ. 1, საქ. 13363, ფურც. 182—183).

IX ფ. მახარაძე ოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელთა „აჯანყების" შესახებ

როგორც ცნობილია, „აჯანყებულთა" დევიზი იყო: „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ". მას ხელმძღვანელობდნენ: ფედერალისტები, ესერები, მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, სხვიელები (გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 1 აგვისტო). მოხდა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გასამართლებაც. უმეტესობა გაათავისუფლეს, ნაწილს კი 3-დან 8 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. მანამდე, ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად კი, უბრალო მოსახლეობა გაუსამართლებლად დაიხვრიტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ზოგან ვაგონებში).

აი, როგორ განმარტავს ამ საკითხს თვით ფ. მახარაძე (გაზ. „კომუნისტი" 1925 წლის 9 აგვისტო):

„შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ აჯანყების მომწყობთ და ხელმძღვანელთ, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, სასამართლო მეტისმეტად ლმობიერად მოექცა, რომ დიდი უმეტესობა ბრალდებულთა სრულიად განთავისუფლებულ იქნენ... მაშინ, როცა მთავრობა ასე სასტიკად მოექცა იმათ, ვინც მხოლოდ ასრულებდა პარიტეტული კომიტეტის დირექტივებს და ბრძანებებს, ვინც ამათ ხელში იყვნენ მხოლოდ უბრალო იარაღი".

ფ. მახარაძე აგრძელებს: „მაგრამ შეიძლება ჩვენ შეგვეკითხონ: ეს თუ ასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო, რომ აჯანყების დროს დახვრეტილი იქნა აჯანყების ხელმძღვანელობა და მეთაურები? ეს უკანასკნელები ხომ მათ განკარგულებებს და დირექტივებს ასრულებდნენ?"

და პასუხობს: „აჯანყების დროს დაიხვრიტა შეიძლება ისეთებიც, ვინც არაფერში ყოფილა დამნაშავე".

როგორ ესმოდა ფ. მახარაძეს კანონმდებლობა?

აი, პასუხიც: „ნურავის ჰგონია, რევოლუციური კანონიერება იცავდეს პიროვნებას. ის, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაცვა-გამაგრებას" (გაზ. „კომუნისტი", 1925 წ., 6 დეკემბერი).

X. ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე „ჯაშუშ მემამულეების", აჯანყებულების, სამღვდელოების, ეროვნებათა შორის ურთიერთობის და სხვა საკითხებზე ოციან წლებში

ს. ორჯონიკიძის სიტყვიდან:

„ამხ. ტაგიევი (აზერბაიჯანის წარმომადგენელი) გვისაყვედურებს, რომ მათ ბევრი ჰყავთ მემამულეები, რომლებსაც რატომღაც არ აძევებენ, რადგან ჩვენგან ელიან განკარგულებას. განკარგულება დიდი ხანია გაიცა, რათ უნდა ელოდოთ სხვა ბრძანებებს? თქვენ მშვენივრად იცით, რომ ბოლშევიკებს არაფერი საერთო არა აქვთ მემამულეებთან. თუ თქვენ დღემდე მემამულეები შეგრჩენიათ, ეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ მაზრაში ხელისუფლება ვერ ვარგებულა" (გაზ „კომუნისტი" 1925 წლის 9 დეკემბერი).

ნადგურდებოდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ეროვნული განძი. ეს საერთო მოვლენა იყო პროლეტკულტის პერიოდში, როცა ისპობოდა ძველი კულტურა... უფრო მეტიც, მოხდა უპრეცენდენტო ფაქტიც, — დაპატიმრებული იქნა სამღვდელოების წინამძღვარნი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის (ბესარიონ

ზოსიმეს ძე ხელაიას) მეთაურობით (იხ. „უზენაესი სასამართლოს განაჩენი", გაზ. „კომუნისტი", 1924 წლის 20-21 მარტი). სასამართლო მიმდინარეობდა მოწოდებით: „ძირს ამბროსი", „ძირს უწმინდესი კონტრრევოლუცია", „ძირს კონტრრევოლუციური სამღვდელოების დამცველნი". ... ისე შეტოპეს ფ. მახარაძემ და ს. ორჯონიკიძემ, რომ იძულებული გახდნენ, გამოეცათ სპეციალური დადგენილება ეკლესიებში დაცულ განძეულებათა დაცვის საკითხში დაშვებულ შეცდომებზე (გაზ. „კომუნისტი", 1924 წლის 12 სექტემბერი). ამის შესახებ ამავე წლის 19 ოქტომბერს ს. ორჯონიკიძე წერდა:

„ჩვენ ყოველთვის დაუზოგველად ვააშკარავებთ ჩვენს შეცდომებს... შეცდომებს საეკლესიო საკითხებში... ეროვნულ საკითხში და სხვა".

„ჩვენს პარტიაში ახლა არ არის არც ერთი ისეთი სერიოზული ამხანაგი, რომელიც არ ფიქრობდეს, რომ ეკლესიის საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ. ...აქ დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს. უნდა გამოსწორდეს რადიკალურად". (გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 12 სექტემბერი). თუ როგორ „გამოსწორდებოდა" ამოთხრილი საფლავები, დანგრეული ეკლესიები, დამწვარი და განადგურებული საეკლესიო ხელნაწერები და ნითვიერი საგანძური ჩვენთვის ყველასათვის ნათელია.

რა შეცდომებს უშვებდნენ ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე ეროვნულ საკითხში? აქედან აღსანიშნავია „მათი მოღვაწეობა" საქართველოში ერებს შორის დამოკიდებულებაში. თავისი მოქმედებით ს. ორჯონიკიძემ, ფ. მახარაძესთან ერთად გადაჰკიდეს საქართველოში საუკუნეების მანძილზე ძმურად მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ქართველებს, დაუპირისპირეს ერთმანეთს, განსაკუთრებით ოციან წლებში.

ფ. მახარაძე აჯანყების განადგურების დროს:

„დაიღვარა სისხლი და მრავალი სამწუხარო ამბავი მოხდა... ჩვენ უნდა ვთქვათ ის, რაც იყო სინამდვილეში. დავსვათ სასწორზე ერთი მხრივ აჯანყება და მეორე მხრივ ის ნაწილი, რომელიც არ აჰყვა... თუ ამ მხრივ მიუდგებით საკითხს, ჩვენ დავინახავთ, რომ არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა იმათ (აჯანყებულებს) არ აყოლია, ე. ი. ის რესპუბლიკები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ, დღიდან თავის აქ მოვლენისა, მიანიჭა ნამდვილი ეროვნული თვითმმართველობა, საკუთარი საქმეებით გაალაღა, იმათ ვისაც მენშევიკები არ აძლევდნენ უბრალო მიწერ-მოწერის და სკოლის უფლებას დედაენაზე და რომელმაც მიიღეს ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენგან, როგორც აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი... ასევე ითქმის

სომხებზე და სხვა ეროვნებაზე" (გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 9 ოქტომბერი).

„აქ ერთ გარემოებას უნდა შევეხო, — აგრძელებს ფ. მახარაძე, — ეს, ამხანაგებო, როგორ შეხვდნენ ამ აჯანყებას სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობა საქართველოში. ერთსულოვნად შეხვდნენ, მზად იყვნენ, თუ საჭირო იქნებოდნენ, გაჩენილიყვნენ, რომ დახმარებოდნენ ჩვენს მუშებს და გლეხებს მენშევიზმის წინააღმდეგ" (იქვე).

ისიც ფაქტია, რომ ფ. მახარაძემ და ს. ორჯონიკიძემ, თავიანთი ეროვნული „თეორიიდან" გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებში აშკარა პრივილიგიები მიანიჭა მათთვის „საიმედო" სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს ... ამითაც დააპირისპირა ისინი ქართველებთან.

ს. ორჯონიკიძე ინტელიგენციის შესახებ: „ჩვენი ინტელიგენცია თავის ხელმძღვანელ ნაწილში, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით არის თავად-აზნაურულ-ვაჭრულ-მღვდლური ინტელიგენცია, იგი დღემდის ვერ შერიგებია ოქტომბერს. იშვიათად შეხვდებით ქართველ ინტელიგენტს ამ წრიდან გამოსულს, რომლის დედა ან მამა საბჭოთა ხელისუფლებას არ გამოეგდოს მათი მამულიდან... წარსულში ეს შეურაცხყოფილი ვაჟბატონები იყვნენ არა მარტო რუსეთის მომხრენი, არამედ მათ ძალიან უყვარდათ რუსეთის მონარქი, ბევრი მათგანი იყო რუს ხალხთა კავშირის წევრები... ეს ძრავალრიცხოვანი ინტელიგენცია... თავის ბრძოლას ასაღებს ბრძოლად ეროვნული დამოუკიდებლობისათვის...

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა ინტელიგენციის მიმართ? არ უნდა მოვიტყუოთ თავი იმით, რომ ისინი მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ". (გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 8,9 დეკემბერი).

ს. ორჯონიკიძემ და ფ. მახარაძემ საქართველოში მცხოვრები ეროვნებათა დაპირისპირების მიზნითვე, საქართველოს, ქართლის ჩრდილოეთის პროვინცია სამაჩაბლო მონათლეს „სამხრეთად", სამხრეთ ოსეთად, ე. ი. იგი აქციეს ოსეთის სამხრეთ პროვინციად და განიზრახეს სამაჩაბლო „სამხრეთ ოსეთი" დაეკავშირებინათ, შეეერთებინათ ჩრდილო ოსეთთან. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეძლეს ისე, როგორც გააკეთეს საქართველოს სამხრეთ პროვინციების საინგილოს, ლორეს, ალავერდის მიმართ. აზერბაიჯანსვე გადასცეს ჩვენი წმიდათაწმიდა უძველესი კულტურის კერა გარეჯი 12 მონასტრით, — ახლომახლო მიწები აქციეს აზერბაიჯანულ საძოვრებად, ხოლო მონასტრები ფარეხ-ბოსლებად...

ასევე, აჭარაში ადმინისტრაციული ერთეულის—ავტონომიური

რესპუბლიკის შექმნით ქართველი მუსლიმანები (აჭარლები) დაუპირისპირეს თავიანთ ძმებს ქართველებს. მათვე გაუღეს კარი შიდა თურქეთში გახიზვნისათვის. ასეთივე „გასახლების თავისუფლება" მისცეს მესხეთ-ჯავახეთში მცხოვრებ გამუსლიმანებულ ქართველებსაც.

XI. ძველი რევოლუციონერის ვარლამ რუხაძის 1929 წლის წერილიდან ილიას მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის შესახებ

გ. ბერბიჭაშვილი, როგორც ილიას უშუალო და უპირველესი მკვლელი, 1907 წლიდანვე იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის („ისარი", 1908 წ. 10 თებერვალი და სხვ.).

„... 1929 წელს მიმდინარეობდა პარტიის წევრთა წმენდა. მე ადრევე მქონდა გაგებული, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობდა როგორც უშუალო მკვლელი ბერბიჭაშვილი. ამიტომ მე ვაცნობე გამწმენდ კომისიას, რომ ეს საკითხი წმენდისას გამოერკვია. ეს ამბავი ამავე დროს მოსე კვარაცხელიასაც (საგანგებო კომიის ხელმძღვანელს) ვუამბე, მაგრამ საკითხი უშედეგოდ დარჩა".

(აღსანიშნავია, რომ 1925 წელს ბერბიჭაშვილი საქართველოს კპ IV ყრილობის დელეგატიც იყო და არჩეულ იქნა ხელმძღვანელ ორგანოშიც საკონტროლო კომისიის წევრობის კანდიდატად. — ვ.გ.).

XII. იოსებ იმედაშვილი ილიას მკვლელის, პერსონალური პენსიონერის გ. ბერბიჭაშვილის შესახებ პენსიის მომატებასთან დაკავშირებით. (ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1987 წ., №7).

ერთხანს საქართველოს პერსონალურ პენსიონერთა კომიტეტსა და მის საშეფო სექტორში მდივნად ვმუშაობდი, — იხსენებს ი. იმედაშვილი. — იქ ისეთ პენსიონერებს ვხვდებოდი, რომელნიც ხშირად დაწუწუნებდნენ, მე ისეთი დამსახურება მაქვს, რომ ასე ცოტა პენსიას არ უნდა ვიღებდე, მეტის ღირსი ვარო... ზოგი მათგანი სახლშიც მომაკითხავდა ხოლმე... მათგან ერთი სტუმარი ჩამრჩა მეხსიერებაში და ალბათ არც არასოდეს დამავიწყდება.

დილაადრიანად მთაწმინდაზე, ჩემს ბინაზე, ვიღაცამ დამიკაკუნა. კარი გავაღე და წინ მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ყარამანისებურ ულვაშებიანი კაცი დამიდგა. სახლში შევიპატიჟე და ჩემი სტუმარი საქმეზე გადავიდა:

— იმედაშვილოჯან, შენ უნდა მიშველო, ამაგს არ მიფასებენ,

„აბიდაში" ვარ, ზოგი რა დიდ პენსიას იღებს, მე კი ოცდახუთ თუმანზე მეტი არ მეკუთვნის?

— რის პენსიას იღებთ, რა დამსახურება გაქვთ-მეთქი?

— როგორ თუ რისა, განა არ იცი, ილია ჭავჭავაძე რო მოვკალი...

კინაღამ დამბლა დამეცა, ნერწყვი გამიშრა, მეგონა მომეჩვენა, სმენა ხომ არ მატყუებს-მეთქი.

— უაცრავად, თქვენი სახელი და გვარი?

— გიგლა ბერბიჭაშვილი... აი, ამ ხელით ვესროლე ბერდენკა...

ილიას მკვლელი მეჯდა სახლში... როგორ მოვქცეულიყავი, რომ თქმასა და მტკიცებას აზრი ჰქონოდა? არ გადაეთქვა. ომშიც ვყოფილვარ, ჩემთვისაც უსროლიათ, ბევრი უბედურება მინახია, მაგრამ ასეთი არასოდეს, ვიფიქრე, თვითონ უნდა ვათქმევინო-მეთქი ვინმესთან, თანამდებობის პირთან...

მეოთხე თუ მეხუთე დღეს არტემ გაბუნიამ მიამბო:

— შენი გამოგზავნილი ბერბიჭაშვილი პირდაპირ შალვა ელიავასთან შემოიჭრა: „ამხანაგო ელიავა, მე „აბიდაში" ვარ, ოცდახუთ თუმანზე მეტს არ მაძლევენ, მიწერილობა მომეცი, მომიმატონო". „რაში გაძლევენ პენსიასო?" „ილია ჭავჭავაძე რომ მოვკალიო". „მერე ვინ გითხრა, ილია ჭავჭავაძე მოკალიო"...

XIII. ყარამან გრიგოლის ძე ფაღავას მოგონებიდან გ. ბერბიჭაშვილზე გ. სტურუასთან შეხვედრისას

„1941 წელში პენსიის საკითხებზე მივედი სახკომსაბჭოში გიორგი სტურუასთან. გიორგი რამდენჯერმე იყო ჩვენთან ოჯახში სტუმრად და კარგად ვიცნობდით ერთმანეთს... კაბინეტში შესვლისთანავე გიორგი წამოდგა ფეხზე, მხიარულად მომეგება, ერთმანეთი მოვიკითხეთ და შემდეგ გიორგიმ იქვე სკამზე მჯდარი ხანში შესული წვერებიანი კაცი გამაცნო სახელი და გვარის დასახელებით, თანაც ჩემი თავიც გააცნო მას. მე სმენა მღალატობდა და კარგად ვერ გავიგონე ამ კაცის სახელი და გვარი, მაგრამ არ ჩავეძიე ამაზე გიორგის, რადგან მომერიდა ამ კაცის. დავჯექით სკამზე და დავიწყეთ საერთო საუბარი, თანაც ახალ გაცნობილს ხშირად გადავხედავდი ხოლმე. შევატყვე ეს კაცი აწრიალდა და სკამზე ვერ ისვენებდა, საუბარშიდაც არ ჩაება ჩვენთან, მალე ადგა სკამიდან, დაგვეშვიდობა და წავიდა.

— პატივცემულო გიორგი; ვინ არის ეს კაცი? რაღაც ნაცნობი სახე აქვს... გიორგიმ მიპასუხა: — ეგ ძველი დამსახურებული რევოლუციონერია გიგოლა ბერბიჭაშვილი, პერსონალურ პენსიას ღებუ-

ლობს ჩენგან 600 მანეთს თვეში, — ვინ არის? — გიგოლა ბერბიჭაშვილი, — იყო გიორგის პასუხი. მე აღშფოთებულმა წამოვიძახე:— აფსუს! ჩვენი სასიქადულო ილია ჭავჭავაძის მკვლელი 600 მანეთს ღებულობს პერსონალურ პენსიას. — რას ამბობთ, ყარამან გრიგოლის ძევ! ეს ყოვლად შეუძლებელია, ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელი იყოს. მე ვუთხარი: — პატივცემულო გიორგი; ნუთუ წიგნებიდან, ნარკვევებიდან არ წაგიკითხავთ, რომ გიგოლა ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელია! ამ ბერბიჭაშვილს ერთ ხელზე ცერი არ აქვს, ხომ აგრეა? — არ აქვს, — მიპასუხა გიორგიმ. — მაშ მაგი არის ის ბერბიჭაშვილი, რომელმაც ილია მოკლა, რომელსაც დავზდევთ დასაჭერად და ვერ მივაგენი მაგის კვალს. მთავარია, ვინ დაუნიშნა მას პერსონალური პენსია და რის საფუძველზე".

რა თქმა უნდა, დაუჯერებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ აქტიურ წევრს 1901 წლიდან, შემდგომში რესპუბლიკის ხელმძღვანელ პოსტებზე მყოფ გ. სტურუას არ სცოდნოდა ილიას მკვლელი გ. ბერბიჭაშვილის შესახებ არაფერი.

XIV. მწერალთა ფედერაციის რიგების გადახალისება. გაზეთი „კომუნისტი", 9 ივნისი, 1931 წ., №131.

აი, ნიმუში, თუ რა ყოფაში იყო ფ. მახარაძის იდეური ხელმძღვანელობით ქართული მწერლობა.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მიერ ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩატარებულმა დისპუტმა... ერთხელ კიდევ დაამტკიცა ფედერაციის გადახალისების და მწერალთა რიგების წმენდის აუცილებლობა. დისპუტის დროს გამოსული რეაქციონური და წვრილბურჟუაზიული მწერლების ნაწილი ძველებურად შეეცადა რეაქციონური აზრების გადმოლაგებას და მის დაცვას.

პროლეტარულმა მწერლობამ, თანამგზავრ და მოკავშირე მწერლებთან ერთად სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლა გაჰართა მათ წინააღმდეგ...

დისპუტის შემდეგ მწერალთა კრებამ გამოიტანა დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო ფედერაციის წევრების წმენდის აუცილებლობა....

ფედერაციის სამდივნოს მიერ გამოყოფილი იყო წმენდის ჩამტარებელი კომისია... მოხდა მწერალთა წმენდა, პირველი კატეგორიით გამორიცხული არიან შემდეგი მწერლები: პავლე ინგოროყვა, კონსტ. გამსახურდია, შალვა შარაშიძე (თაგუნა), იოსებ იმედაშვილი.

პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის" რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე... პავლე ინგოროყვა იყო ქართველი მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქარ. წიგნის" გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის" ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს.

შალვა შარაშიძე (თაგუნა) „ეშმაკის მათრახის" ერთ-ერთი რედაქტორთაგანი მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღენთილი მწერალი, მენშევიკების აზრების აგიტატორი. თავის ბოლონდელ ნაწამოებში ილაშქრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იოსებ იმედაშვილი რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას, უკიდურესი შოვინისტი..."

XV. ფ. მახარაძის წერილიდან „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში" (გაზეთი „კომუნისტი", 1931 წლის 27 ოქტომბერი)

„... ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა თითქმის სავსებით ჩაბარებული აქვთ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო ელემენტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მტრულად არიან განწყობილნი როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ისე მით უფრო სოციალიზმის მიმართაც... ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენ ბოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულში გვებრძოდნენ, და როგორც სჩანს, ახლაც გვებრძვიან...

ვახტანგ კოტეტიშვილი, ალბათ გათამამებული კაპანელის მაგალითით, მიდის იქამდის, რომ აცხადებს: „ჩვენი თერგდალეულები სოციალისტებიც იყვნენო"... ასე გაბიაბურება ისტორიის მე ჯერ არ მინახავს... გიჟის ან სულელის მეტი აბა ვინ დაიჯერებს თერგდალეულების რევოლუციონერობას და სოციალისტობას!.. რისთვის გათავხედდნენ ისე ეს ვაჟბატონები... იმათ მთელი არსებით

სძულთ როგორც რევოლუცია, ისე სოციალიზმი, და თუ იმათ ილია ჭავჭავაძე და ძმანი მისნი გამოყავთ რევოლუციონერებად და სოციალისტებად, ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ რევოლუციის და სოციალიზმის სახელი დასცენ მკითხველის თვალში.

არა, ეს არ გაგივათ, პატივცემულო მოქალაქენო, კოტეტიშვილებო, კაპანელებო და სხვანო! ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს...“

„... ძველი რეაქციონერი და კონტრევოლუციონერი მწერლების გამოძახილს ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ შემთხვევაში თვით კომპარტიის შიგნითაც... კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სიმონ ხუნდაძე...

ს. ხუნდაძე ჩვენში ცდილობს გააცოცხლოს რეაქციონური და კონტრევოლუციონური შეხედულებები გადაგვარებულ, ე. ი. განაციონალისტებულ „ნაროდნიკების“ და სოც. ფედერალისტებისა“... ამ მხრით ს. ხუნდაძე მარტო არ არის. მასთან ერთად ი. ჭავჭავაძეზე და საერთოდ მესამოცე წლების მწერლებზე ყალბი შეხედულებების გავრცელებაში წილი მიუძღვის ამხ. ბენიტო ბუაჩიძესაც. ამხ. ბ. ბუაჩიძეც კომუნისტია და ამასთან პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი...

„ამხ. ბ. ბუაჩიძის ერთ-ერთ ნაწერში მარქსისტისათვის ყოვლად მიუღებელი შეხედულებაა გამოთქმული...

„... ეგნატე ნინოშვილმა ღირსეულად შესძლო ილიას (ე. ი. ჭავჭავაძის) მემკვიდრეობა და ცხოვრების მსვლელობასთან ერთად შესაბამისი ახალი კუთხით (ვერაფერი ქართულია ფ. მ.) და თვალსაზრისით, გამწვავებულ სოციალურ ფონზე გაშალა თავისი მხატვრული მზერის სიძლიერეო“.

... ეგნატე ნინოშვილს რომ შეეძლოს ამ სიტყვების მოსმენა, იგი ხომ საფლავშიც კი გადაბრუნდებოდა... ასეთი მტკიცება არსებითად წარმოადგენს აშკარა რეაქციონურ შეხედულებას; ეს მტკიცება ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმის და ლენინიზმის პრინციპებს... ...არ ვიცი გრძნობს თუ არა ამხ. ბუაჩიძე იმ უხერხულობას, რომელშიაც იგი ჩავარდა, და თუ როგორ ამცირებს იგი ეგ. ნინოშვილს... ნებით თუ უნებლიედ, ობიექტურად ამხ. ბუაჩიძე ზევით მოყვანილ ამონაწერში სახელს უკეთებს და ავტორიტეტს უქმნის ქართულ ლიტერატურაში რეაქციონურ მწერლებს, და უწინარეს ყოვლისა, იმათ ბურჯს და მებაირახტრეს ი. ჭავჭავაძეს. ეს უნდა ითქვას კატეგორიულად მთელი სიმკვეთრით და ეს მითუმეტეს, რომ ამხ. ბუაჩიძე კომუნისტური პარტიის წევრია, პარტია ვერ მისცემს მას უფლებას პარტიის შიგნით ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ძველი და ახალი მო-

წინააღმდეგეების გავრცელებას"... (თუ რა ბედი დააწია „კოტეტი-შვილებს" და სხვ. ესეც ცნობილია).

XVI. 1956 წლის დოკუმენტიდან პარტიისა და ხალხის მტრის ბერიასა და მისი დამქაშების (ცენტ. კომიტეტის ბიუროს იმდროინდელი ზოგიერთი წევრის ფ. მახარაძისა და სხვ.). მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ

„საქართველოს ყველა კომუნისტმა, ყველა მშრომელმა უნდა იცოდეს ყველა ის საშინელი ბოროტმოქმედება, სოციალისტური კანონიერების აშკარა დარღვევები, რომლებიც ჩაიდინეს პარტიისა და ხალხის მტერმა ბერიამ და მისმა დამქაშებმა ჩვენს რესპუბლიკაში „თარეშის დროს".

„თუ კი ჩვენ მთლიანად შევაჯამებთ, რაც კი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაუდენია ვინმეს რამე, მე მგონია ყველაფერი ეს ფერმკრთალი, უფერული გამოჩნდება, ვიდრე მარტო ამ ერთი კაცის მიერ, ბერიას მიერ, ჩადენილი საშინელებანი".

„როგორც ჩანს, როგორც ყურმოჭრილი მონა ისე იქცეოდა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ბიუროს ზოგიერთი წევრი".

„იქმნებოდა სპეციალური სიები — ვინ როდის უნდა დაეპატიმრებინათ, ვინ როდის უნდა დაეხვრიტათ, ვინ უნდა გამოსალმებოდა სიცოცხლეს და გამოსალმებოდა სრულიად უდანაშაულოდ და როდესაც ასეთი სიები უკვე ამოიწურა, როდესაც ეს ფანტასტიკური სიები ამ დახვრეტის თითქმის ამოიწურა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან ბერიას ხელმოწერით იგზავნება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში სპეციალური ე. წ. დეპეშა-შიფროვკა, რომელიც გვეუბნება, რომ ბერია მაშინდელ ხელმძღვანელობას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში თხოვდა გაედიდებია, დაემატებინა მათთვის ლიმიტი, რომ ახალი ასეულები და ათასეულები ჩვენი ხალხის შვილებისა დაეპატიმრებინათ და შემდეგ გაეჟლიტათ."

„ამ რამდენიმე ხნის წინათ მივიღეთ ჩვენ დოკუმენტები, მასალები, რომლებიც ნათელ შუქს ფენენ კერძოდ პაოლო იაშვილის ბრალდების წაყენებას, ტიციან ტაბიძის დაპატიმრებას, — მით უმეტეს, მიხ. ჯავახიშვილის დაპატიმრებას და შემდეგ ისეთი საშინელი განაჩენის გამოტანის ამბებს"

„რა არის ბერიევსჩინა? ეს არის სრული უკანონობის, თავაშვებულობის, ცილისწამების, ერთმანეთზე ხელის დაფარების, დაბეზღაობის, ყველა საშინელების, რაც ჩირქს მოსცხებს ჩვენს ხალხს,

ჩვენს რესპუბლიკას. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ბერიევსჩინას აღმოფხვრის შესახებ, ჩვენ შორის არ უნდა იყოს ისეთი მსგავსი შეცდომების განმეორება".

XVII. ფ. მახარაძის იდეური მიმდევრის ერთ-ერთი მსხვერპლის კ. ლორთქიფანიძის მოქმედების შესახებ.

კ. ლორთქიფანიძე, სამწუხაროდ და სავაგლახოდ, ფ. მახარაძის მსგავსად, უარყოფდა ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას და, როგორც პროლეტკულტელი, მიუთითებდა „კლასიკოს მწერლებზე" დავითაშვილიდან დაწყებული სანდრო ეულამდე; რომ ეგნატე ნინოშვილის შემდეგ პროლეტარული მწერლობის დროშა სანდრო ეულმა ასწიაო. აქვე კ. ლ. აღიარებს ღვარძლიან დამოკიდებულებას ტ. ტაბიძეზე, მ. ჯავახიშვილზე, პ. იაშვილზე და სხვებზე.

კ. ლორთქიფანიძის შესახებ რ. გეეტაძე ამბობს: „ლორთქიფანიძემ თავის გამოსვლაში აიფარა უცოდველი ნიღაბი და თვალთმაქცურად მთელი ჭუჭყი შეახოცა თავის „ამხანაგებს", „რომ ლორთქიფანიძე იყო რაპპის ბოროტი სული და ის ხშირად თავზე ახვევდა თავის ზრახვებს", „ლორთქიფანიძე გესლავდა არა მარტო უპარტიო მწერლებს, ის არ ინდობდა თავის ამხანაგებსაც".

„ლორთქიფანიძეს ამავე გზით არა ერთხელ მოუწადინებია პროლეტარული ლიტერატურის მიღწევად გამოეცხადებინა ისეთი უმსგავსო და ანტიპარტიული ლექსი, როგორიც არის მისი „საბარგო ავტომობილი".

სამწუხაროა ის, რომ ლორთქიფანიძეს დღესაც ეძლევა საშუალება ამ ტრიბუნიდან ანთხიოს გესლი", „რომ დღეს ლორთქიფანიძე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში იმყოფება და კვლავ განაგრძობს დეზორგანიზაციის შეტანას ჩვენს რიგებში";

იგი ფ. მახარაძის მსგავსად ცილს სწამებდა ქართველ მწერლებს, აცხადებდა ხალხის მტრებად, რეაქციონერებად, კონტრევოლუციონერებად. ასე მოექცა პაოლო იაშვილსაც:

„არც უკლონისტურ ხელმძღვანელობასთან, არც მათს შემდეგ ხელმძღვანელობის მეთაურებთან კახიანთან, ორახელაშვილთან, ქართველიშვილთან, კრინიცკისთან და კიდევ არ მახსოვს ვისთან, მე არავითარი ახლო ურთიერთობა არ მქონია. რათ დასჭირდა ამის თქმა კ. ლორთქიფანიძეს?" (პაოლო იაშვილის გამოსვლიდან). ასეთი დამოკიდებულების სამწუხარო შედეგიც ცნობილია ქართველთათვის... (პაოლომ თავი მოიკლა).

XVIII. ფ. მახარაძის საიდუმლო დასმენა-მიმართვა უნივერსიტეტის რექტორ დავით ყიფშიძისადმი პროფ. მ. ზანდუკელის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

თბილისი-მთავრობის სახლი	**30 აპრილი 1941 წ.**
ატს №3-72-25 მთავ. 240	**ურიად საიდუმლოდ**

„პატივცემულო ამხანაგო დავით!

საჭიროდ მიმაჩნია ერთ გარემოებაზე მოგწეროთ. ეს მოწერილობა არ არის ოფიციალური ხასიათის. ხოლო თუ საჭირო იქნება, ოფიციალურად მოგწერთ. საქმე შემდეგშია:

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ერთ-ერთი პროფესორის თუ დეკანის მხრით ადგილი აქვს დაუშვებელ საქციელს სტუდენტებისა და ასპირანტების მიმართ: ყვირილს, უხეში სიტყვების ხმარებას, პირდაპირ შეურაცხმყოფელ საქციელს. ასეთი რამ შეუძლებელია საბჭოთა დაწესებულებაში, მით უფრო მეცნიერების ტაძარში, მით უფრო დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი პროფესორის და დეკანის მხრით. და თუ ვინმე საბჭოთა ქვეყანაში ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის ტაძარში პროფესორის ქურქში გახვეული ამას ჩადის, იგი უთუოდ სხვა დროის და სხვა წესწყობილების ნაშთია და ჩვენ საბჭოთა წყობილებასთან არა აქვს რა საერთო. ჩვენ არა გვაქვს უფლება ნება მივცეთ მათ განაგრძონ ძველი წესწყობილების ჩვევების პრაქტიკა.

შეიძლება თქვენ მიხვდით კიდეც, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. ეს არის უნივერსიტეტის ერთერთი დეკანი — მოქ. ზანდუკელი.

მე დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ მიიღებთ უხეშ, დაუშვებელ, ბიუროკრატიული ჩვევების აღმოსაფხრელად სათანადო ზომებს.

თქვენი პატივისცემით ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე."

ამ ბრალდების საფუძველზე იგი დაპატიმრებული და გადასახლებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, იმ „ორგანიზაციაში" მონაწილეობისათვის, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თურმე „საბჭოთა წყობილების გადატრიალება". მასთან ერთად გადასახლებული იქნენ ნიჭიერი უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც აღარ დაბრუნებულან. აღსანიშნავია ისიც, რომ ფ. მახარაძემ არ დაინდო ივ. ჯავახიშვილის შემდეგ მის მიერ რექტორებად დანიშნული უახლოესი პირები: თ. ღლონტი, მ. ტოროშილიძე, ი. ვაშაყმაძე, ა. ერქომაიშვილი, ლ. აღნიაშვილი, კ. ორაგველიძე, და ყველანი მიაყვანინა 1937 წლის სამსხვერპლოზე.

და ბოლოს, ფ. გოგიჩაიშვილის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, კ. მარქსის ნაშრომების მთარგმნელ-გამომცემელის, წერილიდან ფ. მახარაძეზე (გამოქვეყნდა 1913 წელს სათაურით „უკვდავი ბოროტება").

XIX. ფ. გოგიჩაიშვილი ფ. მახარაძის შესახებ, 1913 წ.

„ფ. მახარაძე-ეს უკვდავი ჰეროსტრატე საქართველოსი, კიდევა „სწერს" და „კამათობს". ალბათ ეშინიან, შთამომავლობამ არ დამივიწყოსო. და ჩვენ არა თუ იძულებულნი, ვალდებულნიც ვართ ამ ბედკრულ ჰეროსტრატეს შიში გავუქარვოთ და განშეორებით განვუმარტოთ, რომ იგი უკვდავია, რომ მისი სახელი არ მოკვდება და არ გაჰქრება საქართველოს ისტორიაში, — არ წარიხოცება, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართველი ერი და, მაშასადამე, ვიდრე დავიწყებას არ მიეცემა თვით დიდი ილიას სახელი". (ფ. გოგიჩაიშვილი, „უკვდავი ბოროტება", გაზ. „სახალხო გაზეთი", 1913 წ., №892, გვ. 3)

აქვე მოგვაქვს ორიოდე მეტად საყურადღებო მოგონება. ანდრო მათეს ძე მირიანაშვილი იგონებს ლევან ასათიანის ნაამბობს მწერალთა კავშირში მომხდარი ინციდენტისა და ილიას საფლავის წაბილწვის მცდელობის შესახებ.

ერთხელ, — თქვა ბატონმა ლევანმა, — მწერალთა სასახლეში მოვიდნენ ილიას წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები იმ გადაწყვეტილებით, რომ საჯაროდ დაეწვათ ილიას ცნობილი სურათი (გ. გაბაშვილის ნახატი, დღესაც რომ ამშვენებს სასახლის დარბაზს) და ილიას წიგნები. ამ ამბავმა სასახლეში მყოფი ყველა მწერალი შეაშფოთა. განსაკუთრებით ღელავდნენ სიმონ ხუნდაძე და გერონტი ქიქოძე. სიმონ ხუნდაძეს გულიც კი წაუვიდა. დიდხანს აქტიური წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. და აი, გამოჩნდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კონსტანტინე გამსახურდია. მაშინვე მიეჭრა ავისმსურველებს და მკვახედ შესძახა: ვინც კარგი ბიჭია, იმან შეახოს ხელი ილიას სურათს. აქვე ამ სატევრით თავს გავაგდებინებო; ეს მწერალთა სასახლეა და აქ ილიას სურათი უნდა ეკიდოს და როდესაც მწერალთა სასახლე აღარ იქნება, მაშინ მოიტანეთ და თქვენი ფილიპე მახარაძის სურათი დაკიდეთო. სიტუაცია დაიძაბა. დამრბევებმა ვეღარ გაბედეს სურათის ხელის ხლება. მალევე ისინი ვიღაცამ სადღაც დაიბარა და ბარბაროსულ განზრახვაზე ხელის აღება ურჩია. მაშინვე გავიგეთ, რომ პროლეტარულ მწერლებს უფრო საშინელი რამ ჰქონდათ მიზნად დასახული: თურმე სურათის დაწვის შემდეგ მთაწმინდაზე უნდა ასუ-

ლიყვნენ, და იქ ილიას ნეშტი ამოეთხარათ. საამისოდ მუშები უკვე გაეგზავნათ კიდეც.

ლევან ასათიანის ნაამბობი ორიოდე დღის შემდეგ გაიხსენა ილიას მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა პლატონ კეშელავამ, რომელიც 20-30-იან წლებში ხანგრძლივად მუშაობდა და ცხოვრობდა მწერალთა სასახლეში. იგიც მოწმე ყოფილა იმ ამბისა, რაც ბატონმა ლევანმა მიამბო.

ჩვენი ყვარელში ყოფნის დროს იქ ჩამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც იმხანად „ვაზის ყვავილობას" წერდა და ყვარელში ხშირად ჩადიოდა ხოლმე. იმ დღეს ერთად ვისადილეთ. სუფრას პლატონ კეშელავა თამადობდა. მან კონსტანტინე გამსახურდიას სადღეგრძელოსთან დაკავშირებით გაიხსენა ზემოთ გადმოცემული ეპიზოდი, გაიხსენა, როგორც საკუთარი თვალით ნახული, გაიხსენა ზუსტად ისე, როგორც ორიოდე დღის წინ მე ლევან ასათიანისაგან მოვისმინე.

კონსტანტინე გამსახურდიას თავის მხრივ აღნიშნული ეპიზოდის გამო არაფერი უთქვამს. მან ორიოდე სიტყვით მოიხადა მადლობა სადღეგრძელოს გამო. ბოლოს, მისთვის დამახასიათებელი შემართებით, ხაზგასმით თქვა: მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიყავი, ვარ ახლა და ვიქნები მომავალში განუზომლად პატივისმცემელი ილიასი; მისი უბრალო უპატივცემულობაც კი არავისთვის მიპატიებია და არც ვაპატიებ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდესო... ასევე ძალზე მოკლედ, მაგრამ ძალზე აღშფოთებით ილაპარაკა ილიას მკვლელებზე, უდიდესი ქართველის ავაზაკური მოკვლის შემდეგ ხანგრძლივ დევნა-შეურაცხყოფაზე და დასძინა: ყველა ამ გარეწრობას სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე და ამიტომაც მძულდა ყოველთვის იგი, მძულს და მეძულებაო.

მეტად საგულისხმოა ზვიად გამსახურდიას მოგონება.

„მამაჩემს კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახურ წრეში და თავის მეგობრებთან არაერთხელ მოუყოლია შემდეგი ამბავი: 30-იანი წლების დასაწყისში „რაპპელებმა" ხელში ჩაიგდეს მთელი ლიტერატურული პრესა. ჟურნალების რედაქციებსა და მთავლიტში ისხდნენ. გრძელდებოდა ქართული მწერლობის კლასიკური მემკვიდრეობის აბუჩად აგდება. ისინი რუსთაველს უპირისპირებდნენ დანიელ ჭონქაძეს, ხოლო ილია ჭავჭავაძეს თავზე ასვამდნენ ეგნატე ნინოშვილს და გაისმოდა ლოზუნგი: „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია". იმჟამად მე და ყველა ეროვნული სულისკვეთების მწერალი გამორიცხული ვიყავით მწერალთა კავშირიდან პირველი კატეგორიით, როგორც რეაქციონერები და კონტრევოლუციონერები.

ერთ დღეს რაპპელები მოცვივდნენ მწერალთა კავშირში, მოაწყეს მიტინგი და „დაამუშავეს“ ილია ჭავჭავაძე. შემდეგ გამოაცხადეს, ილიას სურათი და მისი წიგნები აქვე მწერალთა კავშირის ეზოში უნდა დაეწვათო. მე უმალ ვიშიშველე ჩემი სვანური ძვალთა და რკინათა მკვეთელი სატევარი და დავდექი ილიას სურათთან. „ვისაც თავი მოგბეზრებიათ, მობრძანდით და ამ ჩემ სვანურ სატევარზე აგაგებთ-მეთქი. სანამ პირში სული მიდგას, აქედან ილიას სურათს ვერავინ გაიტანს, დაშინდნენ და ახლოს არავინ მომეკარა გაცეცხლებულს. იმ დღეს ილიას სურათს არ მოვშორებივარ. რა დაინახეს ხალხის აღშფოთება, რაპპელები უკუიქცნენ. როგორც გვიან გავიგე, მათ თურმე მუშებიც პყოლიათ დაქირავებული, რათა ილია საფლავიდან ამოეთხარათ მთაწმინდაზე, მაგრამ ესეც ვეღარ გაბედეს“ (09—10.87).

მ ი ნ ა წ ე რ ი: ქართველი ერის თავდადებულ წინაპართა, სახელოვან მოამაგეთა და მოჭირნახულეთა საფლავიდან ამოყრა ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში შემაზრზენი აქციაა ჩვენი ხალხის ისტორიაში. არც ერთ დამპყრობელ ვანდალისტს არ გაუკეთებია მსგავსი რამ, რაც გააკეთეს თვითონ ქართველებმა. წარსული ეროვნული კულტურის მოძულე „მოაზროვნეებმა“ ეკლესია და მისი ეზოსამარხები აქციეს ფიზკულტურისა და სათამაშო მოედნებად, ხოლო იქ დაცული საეკლესიო ძეგლები (წიგნები, ხელნაწერები, ხატები...) ცეცხლს მისცეს.

ჩვენი თაობის თვალწინ, თბილისის მაგალითზე, მოსპეს წინაპართა სავანე ვერის სასაფლაო (დღევანდელი კიროვის პარკი), ფ. მახარაძის მითითებით დატოვეს მხოლოდ დანიელ ჭონქაძის საფლავი. იგივე ითქმის ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე...

ამ გაუგონარი ვანდალიზმის მსხვერპლი შეიქმნა საფლავი დავით სარაჯიშვილისა დიდუბის პანთეონში, — 1939 წელს საფლავიდან ამოყარეს მისი ძვლები.

„... სარაჯიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ჩვენი და ჩვენი შთამომავლების ხსოვნაში. მოსიყვარულე და მადლობით სავსე ქართველი ხალხი არასოდეს არ წარხოცავს დავითის სახელს და ვიდრე ჩვენი პატარა ერი იეროვნებს ისეთივე სიყვარულითა და ამაყობით შეინახავს დავითის სახელს თავის გულის სიღრმეში, როგორც ინახავდა დღემდე მოწიწებითა და სასოებით საქართველოს მოამაგეთა და მოჭირნახულეთა სხივოსან სახელებს“ (ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების სამძიმრის ადრესიდან დ. სარაჯიშვილის მეუღლის ქალბატონ ეკატერინე ფორაქიშვილისადმი: ლ. ნანიტაშვილი. „ერის

წყლული აჩნდა წყლულად", „თბილისი", 1986 წ. 25—26 აპრილი.

დ. სარაჯიშვილი იყო სწორუპოვარი მზრუნველი ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში. მისი სტიპენდიებით სწავლა-განათლება მიიღეს: დ. არაყიშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, ია კარგარეთელმა, კ. ფოცხვერაშვილმა, მ. თოიძემ, გ. გაბაშვილმა, იაკ. ნიკოლაძემ, ვ. სარაჯიშვილმა, ვ. ქაშაკაშვილმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, კალ. ცინცაძემ და მრავალმა სხვა გამოჩენილმა ქართველმა. მისი „ცხოვრება და მოქალაქეობა წარმოადგენდა დაუშრეტელ წყაროს სიკეთისა და მადლიერებისას".

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, ფილოსოფიის მაგისტრმა, საქართველოში კონიაკის წარმოების ერთ-ერთმა პირველმა ფუძემდებელმა დავით სარაჯიშვილმა ქართველ ხალხს მემკვიდრეობად დაუტოვა (იგი გარდაიცვალა 1911 წელს): ბინა (დღევანდელი მწერალთა კავშირის სასახლე), 800 000 მანეთი წერა-კითხვის საზოგადოებას იმ პირობით, რომ მისი ნახევარი მოხმარდებოდა ქართული ეროვნული მუზეუმის აგებას, ხოლო მეორე ნახევარი ვაჟთა გიმნაზიას; 5000 მანეთი — თბილისის სემინარიას, 125 000 მანეთი — ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს. მისი და შემდეგ მისი მეუღლის ეკატერინეს ანდერძით დიდძალი თანხა გადაეცათ ეკლესია-მონასტრებს, „განათლების" საზოგადოებას პროფესიული სასწავლებლის დასაარსებლად მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას, რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა სადგურს ოდესაში, კავკავის ქართულ სკოლას და იქაურ ღარიბ მოსწავლეებს, თბილისის მომავალ პოლიტექნიკუმს, ქუთაისის დედათა მონასტრის სკოლას, ამავე ქალაქის დრამატულ საზოგადოებას, საქალაქო თეატრს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას და სხვ.

და, „მხოლოდ გულისტკივილით მოსაგონებელ წლებში შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბოროტად ჩაგონებულ შეუგნებელ პირთა ხელი მზაკვრულად შეხებოდა ამისთანა დიდებულ ადამიანის საფლავსა და ძეგლს დიდების პანთეონში" (აკად. აკ. შანიძე).

1987 წელი

ნაწილი მესამე

კვლავ დამატებითი მასალები (დოკუმენტები) ილიას მკვლელობის შესახებ.

აქ წარმოდგენილი მასალების შედგენისას ვხელმძღვანელობდით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის მითითებებით იმის თაობაზე, რომ:

„არ უნდა გვეშინოდეს გულახდილად დავაყენოთ და გადავჭრათ საზოგადოებრივი განვითარების ძნელი პრობლემები, გავაკრიტიკოთ და ვიკამათოთ, სწორედ ასეთი პირობებით იბადება ჭეშმარიტება, ყალიბდება სწორი გადაწყვეტილებები.

— ჩვენ ღრმად უნდა ვიცოდეთ ჩვენი სამშობლოს ისტორია, მეტადრე ოქტომბრის შემდგომი ისტორია.

— ჩვენი ისტორიის ტრაგიკული ამბების მიზეზის ცოდნა საშუალებას გვაძლევს დასკვნები გამოვიტანოთ სადღეისოდ...

— ისტორიის ცოდნისა და გაგების გაღრმავება, წარსულიდან გაკვეთილების გამოტანა, — აი, რითი გამოირჩევა ჩვენი დღევანდელი მუშაობა...

— ჩვენ ჯეროვანს მივაგებთ ყველაფერს, რაც დიდი იყო ჩვენს ისტორიაში, და ვერ ვაპატიებთ იმათ, ვინც უკანონობას და, მით უმეტეს, დანაშაულს ჩადიოდა“ (მ. ს. გორბაჩოვი, „დემოკრატიზაცია გარდაქმნის არსი, სოციალიზმის არსია“, გაზ. „კომუნისტი“, 1988 წლის 14 იანვარი).

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენთანაც, საქართველოშიც, მრავალი ურთულესი საკითხის განხილვას, განსაკუთრებით უახლესი პერიოდის ისტორიულ მეცნიერებათა სამყაროში, აბრკოლებს ე. წ. „დამუხრუჭების მექანიზმი“.

ჯერ კიდევ მტკიცედაა დამკვიდრებული ანტიმეცნიერული ტენდენცია, — „ისტორიული აუცილებლობის სახელით ყოველივე იმის გამართლება, რაც ხდებოდა, — პოზიცია, რომლის თანახმად „ტყეს ჩეხენ — ნაფოტი სცვივა“.

„არის, ცდა მხოლოდ ექსტრემალური ვითარების დამოწმებით გაამართლონ წარსული, პოლიტიკური დეფორმაციები და დანაშაულებანი სოციალიზმის წინაშე“.

კვლავ უგულებელვყოთ, რომ „ისტორიის მეხსიერება, მისი ნათელი და შავბნელი ფურცლები ყოველგვარი თვითმყოფადობის საძირკველია“.

დროა გავიგოთ, რომ „ჩვენი ისტორიის მტკივნეული საკითხების მიჩუმათება ნიშნავს უგულებელვყოთ სიმართლე. პატივი არ ვცეთ იმათ ხსოვნას, ვინც უკანონობისა და თვითნებობის უდანაშაულო მსხვერპლი აღმოჩნდა“ (გაზეთი „პრავდა“. 1988 წლის 6 აპრილი).

ჩვენთვის, ქართველებისათვის კი, მშობლიური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე „შავბნელი ფურცლებია“ დიდი ილიას მკვლელობა და შემდგომი პერიოდების ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ჩაიდინეს ფ. მახარაძემ. ს. ორჯონიკიძემ და სხვებმა. მივმართოთ ფაქტებს:

„შავბნელი ფურცლები“

№ 1 (შემდეგ აღნიშნავ მხოლოდ ნომერს)

— როგორ ესმოდა ილიას მკვლელობის ორგანიზატორს ფ. მახარაძეს ქართველი ერის ისტორიის საკითხი?

„არიან ისეთი ხალხნი, თითქოს ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომელსაც არ ყოლიათ გენიოსი მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენლები და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ალხი ამოძრავებულიყოს რომელიმე მაღალი იდეის სახელით და მისი მოგონება ღირსახსოვარი გამხდარიყოს შთამომავლობისათვის. თქმა არ უნდა, რომ ასეთი ხალხის ცხოვრება მეტად საბრალოა; მის წარსულ ცხოვრებას არ აციკროვნებს და არ აბრწყინებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამაღლებდეს გრძნობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი... ვინც ჩვენს ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში... ჩვენ აქ ვერ ვხედავთ ისეთ პირებს, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებით გვიხატავდნენ ხალხის ნამდვილ ცხოვრებას ან ასაზრდოებდნენ მას რაიმე მაღალი იდეით... ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების სიტყვით მადიდებელი ვაჟბატონი, რომელსაც ამ ისტორიის არაფერი გაეგება, უეჭველად დაგვძრახავს ასეთი აზრის გამოთქმისათვის ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ: როგორ თუ ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცის ბრწყინვალე ხანა. როგორ თუ ჩვენ არ გვყოლია დიდებული პირებიო? — დაგვეკითხებიან ჩვენ გაოცებით. განა დიდებული პირები არ არიან ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე და სხვანი? განა ბრწყინვალე ხანათ არ ჩაითვლება ჩვენს ისტორიაში თამარ მეფის დრო? თქვენ ამ-

ოდ დაეკითხებით ასეთი ბრმა თაყვანისცემით და უმეცრებით გატაცებულ ვაჟბატონთ: რით ისახელეს თავი ამ პირებმა? ნუთუ ამისათვის საკმარისია მხოლოდ აუარებელი სისხლის ღვრა, შეუწყეტელი ომები, ადამიანთა ჟლეტვა? გარდა ამისა კი ჩვენ ვერაფერს ვხედავთ ვერც თამარ მეფის დროს და ვერც ზევით ჩამოთვლილი პირთა მოღვაწეობაში" (ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო. ქუთაისი, 1903 წ., გვ. 4—6).

ასე აფასებდნენ მშობლიური ერის წარსულს ფ. მახარაძე და მისი მიმდევარნი. ასე შეურაცხყოფდნენ ისინი ჩვენს ისტორიას და ჩვენს წინაპრებს, ასე ღვარძლით მოიხსენიებს „იმ დედა ჩვენს თამარს" (ილია ჭავჭავაძე) და მის ოქროს ხანას.

წარსულისადმი ასეთმა დამამცირებელმა დამოკიდებულებამ განაპირობა ილია ჭავჭავაძისადმი დაპირისპირება და შემდეგ მისი ვერაგული მკვლელობა. — თავიდან მოშორება ერის მამისა, რომელიც თავისი სიცოცხლის მანძილზე ელოლიავებოდა და შთააგონებდა თავის ხალხს ქვეყნის ერთობას, საშშობლოს სიყვარულს, თავდადებას, ისტორიის, ენისა და რწმენის დაცვას, რომ: — „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი"; „აღდგენა ერისა ერის გამოცოცხლება, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან". რომ — „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ, ქართველებს მამა-პაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება. თუ იმათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას. სხვისი არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობელი ენის მიწასთან გასწორებას". (ილია ჭავჭავაძე, ტომი 3, 1953 წ., გვ. 26—27).

დიახ ილიამ არავის დაუთმო და... თავისი სისხლით ჩაპკირა კიდეც საქართველოს ისტორია, მისი უკვდავება.

№ 2

როგორ ესმოდა ფ. მახარაძეს ეროვნული საკითხი, ეროვნული კულტურა, ენა, ნაციონალური ზნე-ჩვეულებები?

1. „ნაციონალური საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოადგენს ერთნაირ შემაფერხებელ ზღუდეს, რომელიც დგას ნაციონალიზმის და სოციალიზმის გზაზე, ამიტომ საჭიროა როგორმე მისი თავიდან მოშორება, რომ ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს გზა გავუკაფოთ...

ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვა-

ტორობის გამომხატველია" (ფ. მახარაძე, „ნაციონალური საკითხი რუს. სოც. დემოკრატიული პარტიის საერთო კონფერენციაზე", თხზ., ტ. IV, თბ., 1924 წ., გვ. 125—129).

როგორც ცნობილია, ქართული ენისადმი ასეთი აშკარა მტრული დამოკიდებულება არ გამოუმჟღავნებიათ არც ერთ პირსისხლიან დამპყრობლებს... ამიტომაც გაუგებრობად ეჩვენება საზოგადოებრიობას, როცა ერის და მისი კულტურის ამ უარმყოფელთა საპატივსაცემოდ და უკვდავსაყოფად აღმართული გვაქვს ძეგლები, შექმნილია მუზეუმები (მაშინ, როდესაც არა გვაქვს დავით აღმაშენებლის, თამარის ძეგლები და რუსთაველის მუზეუმი); მათი, ამ ვანდალების სახელები აქვთ რაიონებს, სოფლებს, წარმოება-დაწესებულებებს, ვუხდით იუბილეებს, ვუღებთ ფილმებს... საფლავებზე და ძეგლებთან მიგვაქვს ყვავილები!

2. ფ. მახარაძე 1905 წელს ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების მიერ წამოყენებულ „საქართველოს ავტონომიის საკითხის" შესახებ:

— „ნაციონალისტები ყველგან და ყოველთვის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველები არიან, სულ ერთია, ქართველები იქნებიან ისინი, თუ სხვა ვინმე...

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს ავტონომია დღეს მხოლოდ მჩაგვრელთა ინტერესებისათვის არის გამოსადეგი, რომ იგი ხელსაყრელია მხოლოდ ბურჟუაზიისა და საზოგადოდ ყველა შეძლებული კლასებისათვის და არა მშრომელი ხალხისათვის" (ჟურნალი „მოგზაური", 1905 წლის 3 ივლისი). „აშკარაა, რომ ყველა ისინი, ვინც ეროვნულ პრინციპს ჩაბღაუჭებოდნენ და თავის ეროვნულ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ, თავის თავს თვითონ ღალატობენ. ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის ატეხა — ეს თვითმპყრობელობის გამაგრება იყო და როგორც ასეთი, თვით ეროვნული პრინციპის ღალატი...

შეცდომაა, როცა ყურებს გვიჭედავენ იმაზე ლაპარაკით, რომ ავტონომიის მოპოვება უფრო გაუადვილებს პროლეტარიატს ბურჟაზიის წინააღმდეგ ბრძოლასო" (ჟურნალი „მოგზაური", 1905 წ., 6 ნოემბერი).

„1905 წელში საქართველოს ავტონომიას, როგორც უებარ მალამოს, აყენებდნენ განსაკუთრებით და მარტო სხვადასხვა ჯგუფის ქართველი ნაციონალისტები, რომელთა ფრთებს ქვეშ თავს იყრიდნენ წარმომადგენლები თითქმის ყველა რეაქციონურ ელემენტებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების, როგორიცაა მაგალითად, ქართველთა თავადაზნაურობა, ქართული საზოგადოება და ქართული ბურჟუაზია" (გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი". 1917 წ., 20 მარტი).

№ 3.

ფ. მახარაძე ქართული მწერლობის შესახებ.

„მწერლობა ჩვენშიაც, როგორც ყველგან, დიდი ხნიდან არსებობდა, მაგრამ იგი უფრო ძალათი გადმონერგული მცენარე იყოს, ვინემ ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. ამიტომაც იგი დაბადებიდანვე მკვდარი იყო, ხალხის ცხოვრების გარეშე იდგა და მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა" (ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, ქუთაისი, 1903 წ., გვ. 55).

რაც შეეხება შოთა რუსთაველს, იგი იმეორებს ადრე ნათქვამს 1929 წელს გამოცემულ წიგნშიც:

„დღევანდელი მშრომელი ხალხი, ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი ეწოდება თანამედროვე ენაზე, „ვეფხის-ტყაოსანს" ნაკლებად ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს... თუ ოდესმე ხსენებული პოემა, როგორც ზღაპრული პოემა იპყრობდა ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმის" (გვ. 45. 97). სამაგიეროდ, გამონაკლისს უშვებს ჩვენი ლიტერატურის „თეორეტიკოსი" დ. ჭონქაძის მიმართ. მისი აზრით," „დ. ჭონქაძე არა თუ იშვიათი, არამედ თითქმის ერთადერთი პირი იყო, რომელიც თვით ხალხისაგან იყო გამოსული და რომელსაც ხალხის გასაჭირი აწუხებდა და აფიქრებდა. იგი ერთადერთი პირი იყო. რომელსაც ხალხის კეთილდღეობა სწყუროდა" (გვ. 132).

№4

— ფ. მახარაძე „კაციჭამია შოვინისტის" — ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის" შესახებ:

„გასული საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების როგორც ქართული, ისე სომხური პრესა სულ ერთიანად კაციჭამია შოვინისტების ხელში იყო. (ქართულ ენაზე „ივერია" ილია ჭავჭავაძის მეთაურობით)" (ფ. მახარაძე, თხზ. ტ. VI, თბ., 1929 წ., გვ. 222).

...„ივერიას არ წამოუყენებია და არ გაურკვევია არც ერთი ახალი საკითხი, რომელსაც კავშირი ჰქონდეს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან. მთელი წლის განმავლობაში (მხედველობაში აქვს 1901 წელი, — ვ. გ.) არ შეგვხვედრია ისეთი სახელმძღვანელო წერილი, რომელსაც დაკვირვებისა და ნიჭის ნიშანი ჰქონოდეს. არც ერთი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო კითხვების გამორკვევაში „ივერია" მონაწილეობას არ იღებდა" (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. I, 1924 წ., გვ. 330).

„თუ თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე „ივერიამ" ვერაფერი შექმნა... ამის ბრალი მის ხელმძღვანელობას ედება... ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩენია ცხოვრებას, რომ იგი არ იძლევა პასუხს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე... რომ იგი გამხდარიყო ცხოვრების სარკედ და გზის მაჩვენებელ იარაღად... ეს არის ყოვ-

ლად გამოუსადეგარი მიმართულება... „ევერია" დევნიდა და დევნის ყოველგვარ აზრს და მიმართულებას... და ამნაირად მან მოკლა და დაასახიჩრა ქართველი მკითხველის გონება და აზრი" (იქვე, გვ, 379).

№5

— ფ. მახარაძე, როგორც მარქსიზმის თეორეტიკოსი.

1933 წლის შეფასებით:

„ვისაც საქართველოში მარქსიზმის განმტკიცების საქმეში დიდი როლი მიუძღვის როგორც მარქსისტ-თეორეტიკოსს, ბოლშევიკ პუბლიცისტს, საზოგადოებრივ აზროვნების მკვლევარ ლიტერატორს, ასეთი პიროვნებაა ამხ. ფილიპე მახარაძე" (ჟურნალი „მნათობი", 1933 წ., №1-2, გვ. 193).

„დაწყებული ოციანი წლებიდან იგი შეურყვნელად იცავდა და ასაბუთებდა მარქსიზმის რევოლუციურ მოძღვრებას. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელსაც არ შეხებოდეს ფ. მახარაძის კალამი" (იქვე, გვ. 195).

როგორც ცნობილია, ამ თეორეტიკოსის მოძღვრებით ცხოვრობდა იმდროინდელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია და უმეტესწილად ამანვე განაპირობა ოცი და ოცდაათიანი წლების ტრაგედია.

№6

6.1. — დიმიტრი ჯაში ილიასადმი ფ. მახარაძის ჯვაროსნული ომის შესახებ.

„ისეთს დიდსა და ჯერ კიდევ ბნელით მოცულ საგანში, როგორიც არის დიდებულ მგოსნის ილიას საზარელი მოკვლა, — წერს დ. ჯაში, — ჩვენთვის არ არსებობს არც სოციალ-ფედერალისტური, არც სოცრალ-რევოლუციური და არც ანარქისტული ბანაკი, და ამ ბანაკების შესაფერად ვიწრო ჩარჩოებში ჩამოყალიბებული მსჯელობა...

აგერ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც მგოსნის უმანკო სისხლი მანკიერებმა თავიანთ ჭუჭყიან ხელით დაჭღვარეს და დღემდე რამდენადაც თვალ-ყურს ვადევნებ ჩვენს პრესას, ისეთი არა დაბეჭდილა-რა ამ საგანზე, რომ შიგ ესა თუ ის პარტიული გესლი და შხამი არ იყოს ჩანთხეული...

დიდი ხანია დრო იყო, რომ საზოგადოება გასცნობოდა საზარელ მკვლელობის სისწორ-სინამდვილით მიუდგომელ აღწერას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისი მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს...

ეხლა ორიოდე სიტყვა „მოგზაურის“ იხტიბარ გატეხილ კორესპონდენციებზე, რომელიც საგურამოდან იყო გამოგზავნილი (1905) და რომელზეც ხელს აწერდა ვიღაც ვაუბატონი ვ. ნ. ამ კორესპონდენციებზე დაემყარა ბატონი ფილიპე მახარაძე და იმავე „მოგზაურში“ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს, რომელზედაც რაინდმა პუბლიცისტმა გაჰბედა და საქვეყნოდ დაწერა: ილია ჭავჭავაძე მთავრობის ოფიციალური ჯაშუშიაო!..

მართალი იყო ყველა ეს? სინამდვილეს იწერებოდა ვითომდა საგურამოელი კორესპონდენტი? მართალს ამბობდა ბ-ნი ფილიპე მახარაძე? სანახევროდ და სამეათედოთ მაინც მართალი იყო კორესპონდეციებში მოთხრობილი „ფაქტები“? — ყველა ამას ჩვენ ქვევით გავარჩევთ სათითაოდ და მუხლ-მუხლად აღვნიშნავთ ყოველივეს, მხოლოდ აქ კი არავის არ მოვერიდებით და საქვეყნოდ ვიტყვით, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტისაგან აღნიშნული „ფაქტები“ — უსირცხვილო ცილისწამება იყო და სხვა არაფერი...“ (გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908 წლის 7 ოქტომბერი).

6.2. რადგან გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ილიასადმი ცილისმწამებლური ფ. მახარაძის წერილი ზემოთ მოვიხსენიეთ, აქ მოვიტანთ მხოლოდ ვ. ნ.-ს (ფაქტიურად გაზეთის რედაქტორის ფ. მახარაძის) „ახალი“ კორესპონდენციიდან ილიაზე „პოლემიკურ“-შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს: ილია — მტყუანა კაცი, ოინბაზი; ილიას ოინბაზობა ერთად ერთი თავის გასამართლების იარაღია; ილია ინდაურივით გაფუყული; ილია ცრუ კერპი; ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი სიმახინჯე და აზრის ჩამორჩენა; ურცხვი და თავზე ხელ-აღებული მაბეზღარი; „თათარს სიზმარში ფლავი აგონდებოდა“, — ასეა ილიას საქმე: სულ ოქრო და ოქრო, მაგრამ ეს სიმახინჯე ბანკის ბრალია; ილია სიმართლის მგოსანი (ირონია, — ვ. გ.); ახირებული ხასიათისაა ეს ჩვენი ილია (დაცინვა, — ვ. გ.); ილია — მთელი თავად-აზნაურობის ვექილ-აპეკუნი; მაბეზღრობა — ილიას ჩვეულებრივი ხერხი და მრავალჯერ ნაცადი მწერლური ოინბაზობა; ილია ცრუ, ცილისმწამებელი, მაბეზღარი; მაშ რის ბანკირია ილია, თუ რწყილს არ გაატყავებს; — ვაშა! ილიას გამოცანა ერგება (დასცინის, — ვ. გ.); ილია — მკვდრის ცოცხალზე გამყიდველი; ყველგან ჩვეულებრივი ოინბაზია დიდებული მგოსანი; ილია თავის მათლაფების ნარეცხს აჭმევდა მექათმე დედაბერს; იგი ცემატეეპას და თმით თრევას არ აკლებდა მოურავის ცოლს; ილიასათვის ტყუილი იგივეა, რაც წყალი თევზისათვის და ჰაერი კაცისათვის; ილიას ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტები (დასცინის,

— ვ. გ.); მგოსანი თავით ფეხამდე (დასცინის, — ვ. გ.); თავის ოინ-ბაზურ წერილში (ეხება „ნუთუ" — ს., — ვ.გ.); „კიდეც შეჯდა მწყეარი ხესა, კიდეც იყო გვარი მისი"; ცილისმწამებელი „მოგზაურისა" და მისი კორესპონდენტის; ილია — მრავალთაგან ცნობილი ოინ-ბაზი; ვინ ატყავებს სნეულ საგურამოელ გლეხებს, თუ არა ილია ჭავჭავაძე? ვინ ემუქრება და აშინებს გლეხებს მათ უსამართლოდ აყრა-გადასახლებაზე, თუ არა ილია ჭავჭავაძე? ილია ზაკონის კაცია (არ დაგავიწყდეთ მომრიგებელ შუაკაცად უმსახურია კარგა ხანს); ილიას ახალ ოინებს მე კი არა, თვითონ საგურამოელები გიამბობენ" (და ჩამოთვლილი აქვს ილიაზე ასევე ამაზრზენი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, ფურთხის ღირსი ე. წ. „დანაშაულებანი" გლეხების მიმართ). იხ. გაზ. „მოგზაური", 1905 წლის 15 მაისი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ი. ლენინი ინფორმირებული იყო ილიას მკვლელობის შესახებ. მოვუხმოთ ლენინის პირად არქივში დაცულ ცნობილი რევოლუციონერის, ლენინის ახლო მეგობრის ნ. კიკნაძის ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილს:

„ორი თვის წინათ, სავსებით მოულოდნელად, ჟურნალში (იგულისხმება 1913 წელს ბაქოში ქართულ ენაზე დაბეჭდილი სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „წყარო", — ვ. გ.) დაიბეჭდა მოწინავე სათაურით: „ჩვენი ძირითადი მდგომარეობა", რომელიც ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით, ამ უკანასკნელში კი ჩვენ ამოვიცანით გამოჩენილი მარქსისტი — ჟურნალისტი, ბოლშევიკი. მის გვარს მეკითხებით? — ფილიპე მახარაძე. სოსო (იგულისხმება სტალინი — ვ. გ.) კარგად იცნობს მას...

მისი სახელის წინააღმდეგ ნაციონალური დევნა საზარელ ატმოსფეროს ქმნის. ყველა მარქსისტი პუბლიცისტიდან განსაკუთრებული სიძულვილის საგანი ხდება იგი, ვინაიდან მის მიერ ერთი ქართული ჟურნალის (იგულისხმება ჟურნალი „მოგზაური", — ვ. გ.) რედაქტორობისას მოჰკლეს მთელი ქართული ნაციონალისტური თავად-აზნაურული ინტელიგენციის ცნობილი მეთაური, სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ჭავჭავაძე, რომლის წინააღმდეგ, როგორც მიწათმფლობელისა, ამ ამხანაგის მიერ რედაქტირებულ ჟურნალში დაიბეჭდა სტატიები, ამის საფუძველზე მას ბრალს სდებდნენ და ახლაც სდებენ იმაში, რომ მათი ეროვნული გენიის, როგორც თავადს საფუძვლიანად უწოდებენ ისინი, მკვლელობა თითქოს იდეურად ინსპირირებული იყო ამ ამხანაგის მიერ..." (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებური პარტარქივი, ვ. ი. ლენინის პირადი ფონდი).

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ დღესაც, ფ. მახარაძის დაცვის მიზნით, ზოგიერთი, გაზეთ „მოგზაურის“ „პოლემიკური“ გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჭკუანაღრძობი მკვლევარი, ამ წერილებს კრიტიკულ გამოსვლად უთვლიან „საქართველოს დიდებულ და კრისტალურ ხელმძღვანელს“ ფ. მახარაძეს.

6.3. გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციების შესახებ მოვუსმინოთ თვით „დიდებულ მარქსისტ-თეორეტიკოსს, ბოლშევიკ-პუბლიცისტს, საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარს“ ფ. მახარაძეს და მის ორგანოს, ჟურნალს „ჩვენი წყარო“:

„ამ უკანასკნელ 6—7 წლის განმავლობაში ჩვენი ფედერალისტების პრესა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ჩემი პიროვნების დასამცირებლად და ლაფში ამოსასვრელად“ („ჩვენი წყარო“, 1913 წ., 21 აპრილი).

„ილია ჭავჭავაძის „ნუ-თუ“-ს გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა ასეთი იყო: „მოგზაურში“ წამოყენებული ფაქტები დაურღვეველი დარჩნენ: „ნუ-თუ“-მ ისინი ოდნავადაც ვერ შეარყია. მეორე მხრით თვით ილია სრულიად გარიყული შეიქმნა“. „ჩვენდა უნებურად, ბრალდება ილიას წინააღმდეგ ახლა გაორკეცდა, ვინაიდან ამის საბუთი მოგვეცა ერთი მხრით თვით „ნუ-თუ“-მ და მეორეს მხრივ ვ. ნ.-ის დამატებითმა ცნობებმა. მაგრამ ახლა ხმა აღარავის ამოუღია“... „ილიას დამარცხება „მოგზაურთან“ კამათში მათთვის („მამულიშვილთა“) გულში ლახვრის ჩაცემა რომ იყო, ეს მათ კარგად ესმოდათ...“ „ამის თავი და თავი მიზეზი იყო შიში ამოძრავებული ხალხის წინაშე, და ამიტომ მათ აირჩიეს ისე გაჩერება“...

— „ჩვენი სასიქადულო „მამულიშვილების“ ფარისეველობას და გაიძვერობას... სავსებით ფარდა ახადა ბ-მა ია ეკალაძე-ცინცაძემ... საკმარისად ჩაიფლა იმ აშმორებულ წუმპეში, რომელსაც „მამულიშვილთა ბანკი“ ეწოდება“.

— „ის მართლაც საზიზღარი კამპანია, რომელსაც ეს ერთი ხანია ჩვენებური მამულიშვილები ეწევიან ჩვენ წინააღმდეგ, შეუერით მხოლოდ სრულებით გამოთაყვანებულ და უგუნურ არსებათ“.

— „თქვენ სულით და ხორცით უბადრუკნო, თქვენა! თქვენ ხომ თავისივე ხელით იმათრახებთ დღეს თავის თავს? და მის შემდეგ განა ღირს კიდევ თქვენთან ლაპარაკი?“ (დასახ. გაზეთი, 1913 წ., 28 აპრილი).

6.4. ფ. მახარაძის „უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს“:

— „სახალხო გაზეთის“ №883-ში დაბეჭდილია რაღაც პასუხის

მსგავსი იმ წერილზე, რომელიც „ჩვენს წყაროში“ იყო მოთავსებული (იხ. №5-15 და 6-16)“.

— „ერთადერთი ბრალდება, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჩვენ წინააღმდეგ წამოისროლეს, არის შემდეგი: ვითომც ჩვენ ილია ჭავჭავაძეს საზიზღარი ცილი დავსწამეთ ჟურნალ „მოგზაურში“ კორესპონდენციის მოთავსებით?... რამდენად შეუწყნარებელი და უსაფუძვლოა თქვენი ასეთი ძახილი, იმდენათ ჩვენ სრული ზნეობრივი და იურიდიული უფლება გვაქვს თქვენ ნამდვილი ცილისმწამებელნი გიწოდოთ და გიწოდებთ კიდეც“.

— „სახ. გაზეთი“ შემდეგ გვეკითხება ჩვენ: ნუ-თუ ილია ჭავჭავაძე მხეცი იყო, რომ ის ჩაიდინა, რასაც მას „მოგზაურის“ კორესპონდენტი აბრალებს?...

ჩვენ ვურჩევთ „სახ. გაზეთის“ ვაჟბატონებს, წაბრძანდნენ ჩვენს სოფლებში, გამოიკვლიონ იქაური ვითარება და მაშინ დაინახავენ, რომ იქ კიდევ ბევრათ იმაზე უარესი ამბები ხდება, რომლებიც ხსენებულ კორესპონდენციაში იყო აწერილი...„მაგრამ თქვენთან ლაპარაკი ხომ კედელზე ცერცვის შეყრაა“ (დასახ. გაზეთი, 1913 წ. 5 მაისი).

რა თქმა უნდა, ფ. მახარაძის ეს პასუხი არ ყოფილა „უკანასკნელი“, იგი სიკვდილამდე 1941 წლამდე ებრძოდა ილია ჭავჭავაძესა და მის მიმდევრებს, როგორც მოსისხლე მტრებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფ. მახარაძის უკანასკნელი 1941 წლის მსხვერპლი იყვნენ ილიას აქტიური დამცველი და თაყვანისმცემელი პროფესორი მ. ზანდუკელი და მისი აღზრდილი ახალგაზრდა ფილოლოგები...

6.5. ფ. მახარაძეს ორგანულად ეჯავრებოდა ილია ჭავჭავაძეც და მისი „ძველი საქართველოც“. მისი სიტყვებია: „დიახ, გეეჯავრება მთელი წარსული და არა რომელიმე მხარე, რადგან ჩვენის შეხედულებით, წარსულის ყველა მხარე იყო მონობის გამოხატულება“ (იხ. გაზ. „ჩვენი გზა“, 1907., 5 სექტემბერი).

იგივე იდეაა გატარებული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ჩვენი გზის“ 1907 წლის 5 სექტემბრის ნომერში: „ნუ თუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა ქართველებმა“ ვერ გაიგეს, რომ ჩვენ რევოლუციონური აქტის მსხვერპლს (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე)[1] გვირგვინს არ მივუტანთ საფლავზე, სამძიმარს არ გამოვუცხადებთ... ჩვენ ვეწეოდით და დღესაც ვეწევით კლასიკურ ბრძოლას გამყვლეფთა წი-

1. აკი ილია მეფის ოხრანკამ მოკლა?! (ვ. გ.).

ნააღმდეგ ...ჩვენი მოწოდება ბურჟუაზიასთან და მათ იდეოლოგებთან ბრძოლაა!"

ასეთივე დამოკიდებულება გაამჟღავნეს ფ. მახარაძის დამოძღვრილმა სტუდენტებმა (სოციალ-დემოკრატებმა) პეტერბურგში, როცა კრებას მოსთხოვეს ილიას ხსოვნისადმი პატივსაცემად ფეხზე ამდგარიყვნენ და საქართველოში გაეგზავნათ სამძიმრის დეპეშა:

— „მარტო 45 სტუდენტმა მისცა მწუხარებისა და დაგმობის დეპეშას ხმა, ორი აშკარად წინაღუდგა და 39 „ჯაჩუმდა", უხმოდ დარჩა საკითხის გადაწყვეტის დროს, ხოლო როცა საქმე ირჩეოდა, მაშინ კი ხმამაღლა ამტკიცებდნენ, რომ ილიას მოკვლა რევოლუციონური აქტია, ილია, როგორც მემამულე, მოსაკლავი იყოო და სხვა. ყველა ეს ორმოცდაერთი სტუდენტი, ასე „ღრმად ჩახედული ცხოვრებაში" ყველა იმ მოძღვრების მიმდევარია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულს ეძახიან"... (გაზ. „ისარი", 1907 წ. 10 ოქტომბერი).

6.6. კიდევ ერთი დოკუმენტი, — ფ. მახარაძის პასუხი „ცილისმწამებელთა" მიმართ, — „მოკლე პასუხი გაზ. „თემის" რედაქტორს ბ-ნ გრ. დიასამიძეს" (გაზ. „თანამედროვე ქვეყანა", 1913 წლის 5 ივნისი):

— „ილია ჭავჭავაძის გარშემო ატეხილ პოლემიკაში, — წერს ფ. მახარაძე, — ერთ-ერთ თავის მეთაურში (იხ. „თემი", №124) ბ-მა გრ. დიასამიძემ ისე, როგორც ეგრეთ წოდებულ სოც. ფედერალისტებმა და „სახალხო გაზეთის" სულისჩამდგმელებმა, „მოგზაურში" დაბეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ საზიზღარი ჭორი უწოდა"...

„...ფ. მახარაძესო, — ხელახლა გაიძახის ჩვენი შეუდარებელი. ოპონენტი, — ამ საზეიმო დღისა (ილიას ძეგლის კურთხევაზეა ლაპარაკი, — ფ. მ.) მაინც უნდა მორიდებოდა და ხელახლა არ წამოეყენებინა წინანდელი ბრალდებანი განსვენებულის წინააღმდეგ მით უფრო, რომ ბრალმდებელს თავის დროზე არც დაუსაბუთებია ბრალდებანიო" (იხ. „თემი", №125)... „თავადი დიასამიძე მე მისაყვედურებს იმას, რომ „თავის დროზე მე ვითომც არ დამესაბუთებინოს ბრალდებანი"... „ჩვენი ბრალდებანი კი დამყარებულია ერთი მხრივ ვ. ნ-ის აქამდის შეურყეველ კორესპონდენციაზე, რომელიც ჟურ. „მოგზაურში" იყო გამოქვეყნებული, და მეორე მხრივ თვით განსვენებულ ილია ჭავჭავაძის „პასუხზე" („ნუთუ"), რომელიც გაზ. „ივერიაში" იყო მოთავსებული. ეს ორი დოკუმენტი ჯერ არვის გაუყალბებია, ამიტომაც გრ. დიასამიძეს თავის სიტყვები ჯერ-ჯერობით

შეუძლია უკან წაიღოს"... „თუ ილია ჭავჭავაძის შესახებ „მოგზაურში" გამოქვეყნებული ფაქტები განზრახ შეთხზული ცილისწამება იყო, ნუთუ ამოდენა ხნის განმავლობაში იმათი დარღვევა ვერ შეძლო საზოგადოების მთელმა ბანაკმა? და განა იმათ სიმართლეში ვისმეს ეჭვი შეაქვს?"

6.7. მოვუსმინოთ კიტა აბაშიძესაც:

„საეროვნო იდეალების უარყოფამ, რომელმაც ფანატიკური ხასიათი მიიღო, უცნაური შედეგი იქონია და ეროვნულის გენიოსის მოსპობით დასრულდა. ამგვარი ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით „მოგზაური" და მისი ჯგუფი, მათი ბელადი, აწ ჩვენს ისტორიაში დაუიწყარი იუდა ფილიპე მახარაძე"... „თუ იქამდი ვისმე რაიმე ეჭვი ქონდა, თუ კიდევ, ვისმე რაიმე ურწმუნოების აჩრდილი მოევლინებოდა იმ საზიზღარი როლის შესახებ, რომელიც ფ. მახარაძემ წიწამურის ტრაგედიაში ითამაშა, თუ კიდევ ვისმე ეგონა, რომ ფ. მახარაძეს და მის კამპ. იუდის როლი არ უკისრებია — დღეს ეს აღარ არსებობს. კაცმა რომ სთქვას, იუდას ვერ შევადარებთ ფ. მახარაძეს, იუდამ შეიგნო რა, რომ „მისცა სისხლი მართალი... დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა შინა და განეშორა; და წარვიდა და შიშთვილიბა", — თავი ჩამოიხრჩო (იხ. „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!" 1913 წ. ქ. ქუთაისი, გვ. 33, 40).

6.8. ცნობები გ. ბერბიჭაშვილისა და ფ. მახარაძის შესახებ.

წერილობითი წყაროებით გ. ბერბიჭაშვილი ცხრაასიანი წლებიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებშია. 1907 წლის 1 დეკემბრის საარქივო დოკუმენტში მითითებულია მის სააგიტაციო „მოღვაწეობაზე", — გლეხობას განაწყობდა მებატონეების წინააღმდეგ საბრძოლველადო (იხ. პ. გუგუშვილის წიგნი „ილიას მკვლელობა") გ. ბერბიჭაშვილის „ძველ რევოლუციონერობაზე" წერს 1906 წელს გამოცემულ თავის წიგნში „არსენა ჯორჯიაშვილი" ევგენი დვალიც. — „დუშეთისა და გორის მაზრაში გასავრცელებლად (ე. დვალის წიგნი) წაიღეს აღმოსავლეთ საქართველოს წითელი რაზმის ხელმძღვანელებმა ძველმა რევოლუციონერებმა ივანე ბუჩიაშვილმა და გიგლა ბერბიჭაშვილმა" (გვ. 3). გრიაზნოვის მკვლელობა, როგორც ფ. მახარაძე წერს, იყო რევოლუციური აქტი, — „ჯორჯიაშვილის საქმე — ეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმე იყო და ამასთანავე ის არ იყო მარტო შურისძიება მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის". (ფ. მახარაძე „1905 წელი ამიერკავკასიაში", 1926 წ., გვ. 221). დღევან-

დელი ზოგი მკვლევარი კი „გვიმტკიცებს“, რომ გ. ბერბიჭაშვილი ამ პერიოდში „რევოლუციურ“ მოღვაწეობას არ ეწეოდაო.

მეტად საყურადღებო ფაქტია აგრეთვე ისიც, რომ სოციალ-დემოკრატებმა ჯერ კიდევ ადრე, ჩუდეცკის მიმართ ტერორისტული აქტის მოხდენა გადაწყვიტეს საგურამოს სამამასახლისოს სოფელ წინამძღვრიანთკარში. რევოლუციონერი ვახტანგ გიორგის ძე წინამძღვრიშვილი წერს: „მამისაგან ვიცი, რომ ჩუდეცკის მოკვლის ამბავიც ჩვენს სახლში გადაწყვეტილა“, — „ჩვენთან თბილისიდან ჩამოდიოდნენ და კრებებს ატარებდნენ ისიდორე რამიშვილი, ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანია... კრებების მოწყობის დროს კარებთან მაჩერებდნენ ხოლმე... ისიდორე რამიშვილი იმ დროს წინამძღვრიანთკარში მასწავლებლობდა. ერთხელ მამას ვკითხე: ილია წინამძღვრიშვილმა ხომ იცოდა, რომ ისიდორე რევოლუციონერია, რატომ მოიყვანა აქაო, მამამ მიპასუხა: „სწორედ ამიტომ მოიყვანაო; რომ ჩვენი ოჯახი წარსულში წარმოადგენდა ეგრეთ წოდებულ მესამე დასელთა შესაკრებ პუნქტსო“ (იხ. ვ. წინამძღვრიშვილის „ჩემი მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ“).

როცა 1923 წელს გ. ბერბიჭაშვილი სოცუზრუნველყოფის კომისარიატში პენსიის დასანიშნად მისულა, , ვ. ბუჩიაშვილი იქ დახვედრია (ეს ის ბუჩიაშვილია, — „ძველი რევოლუციონერი“, რომელმაც ბერბიჭაშვილთან ერთად 1906 წელს გორისა და დუშეთის მაზრაში გაავრცელა არსენა ჯორჯიაშვილზე წიგნები). მოვუსმინოთ ილია ბახტაძეს:

„1923 წლიდან მე თბილისში ვმსახურობდი სოც-უზრუნველყოფის კომისარიატში საქმეთა მმართველის თანამდებობაზე, პირველი წლები იყო საქართველოს გასაბჭოების, როდესაც ჩემთან მოეფდა გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილი, მომცა განცხადება და მითხრა: „მე საქართველოში — რევოლუციურ მოძრაობაში აქტურ მონაწილეობას ვღებულობდი, რამდენიმე ტერორისტული აქტი მაქვს შესრულებული, როდესაც რევოლუცია დამარცხდა, მე რეაქციის წლებში სპარსეთში გავიპარე და სათარხანთან ერთად აქტიური მონაწილეობა მივიღე სპარსეთის რევოლუციაშიო“...

როდესაც გიგლა ბერბიჭაშვილი გამომეშვიდობა და ჩემი კაბინეტიდან გავიდა, ჩემთან შემოვიდა ვანო ბუჩიაშვილი (დიდი ტერორისტი — რევოლუციონერი) და შემეკითხა: „ეხლა რომ თქვენი კაბინეტიდან გამოვიდა — იმ კაცს ადრე იცნობდი თუ არაო?!“ როდესაც ვუპასუხე, რომ მე მას არ ვიცნობდი, ვანო ბუჩიაშვილმა მითხრა: „ეს დიდი ტერორისტი და ცნობილი რევოლუციონერიაო... გიგლა ბერბიჭაშვილის სახელი ყველგან განთქმულია, მან ჩააძაღ-

ლა, მოკლა მუშების და გლეხების სისხლის მსმელი ილია ჭავჭავაძეო" (მეც მრავალი კაცი გამოვასალმე წუთისოფელსო, — ამბობდა იგი).

გიგლა ბერბიჭაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ სოცუზრუნველყოფის კომისარიატი წინააღმდეგი იყო მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნის, მაინც მოახერხა პერსონალური პენსიის მიღება და მას ის ღებულობდა მანამ, სანამ როგორც მკვლელი ილია ჭავჭავაძისა არ დაატუსაღეს და პასუხისგებაში არ მისცეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილის საქმეზე სხვებთან ერთად მე მოწმედ ვიყავი გამოძახებული საგანგებო გამომძიებელთან (ამ საქმეს იძიებდა ამხ. მაღრაძე, რომელიც ეხლა თავმჯდომარედაა თბილისის ქალაქის საბჭოში)".

გ. ბერბიჭაშვილის პენსიასთან დაკავშირებით , ასევე საინტერესო ცნობას იძლევა დავით ლომაძე. როცა იგი საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. მასთან იმჟამად მისულა გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მკვლელად გააცნო თავი, და ამ „ხალხის მტრის" მოშორებისათვის პერსონალური პენსიის მომატებას მოითხოვდა. ლომაძეს დაუკითხავს იგი. ბერბიჭაშვილს ამ მკვლელობის ორგანიზატორად მთავრობის თავმჯდომარე — ფილიპე მახარაძე დაუსახელებია. იმხანად ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია დაწყებული იყო და თვით ლომაძეს დაუყოვნებლივ უცნობებია ეს ამბავი საქართველოს იმჟამინდელ ცკ-ს მდივნისათვის ლ. ბერიასათვის. ამ უკანასკნელს კი — სტალინისათვის. სტალინს უბრძანებია საქმის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა სამაგალითოდ. მაგრამ საქმის აღძვრა მაინც იგვიანებდა. როგორც ჩანს, საბოლოო მხილებისა მაინც ყველას ეშინოდა, ვინაიდან ზოგიერთი სხვაც არ იყო უცოდველი ამ უდიდეს ბოროტმოქმედებაში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ... აღძრეს საქმე ილიას მკვლელების წინააღმდეგ. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ბერბიჭაშვილმა პირდაპირ დაასახელა სასამართლოზე მოწმედ გამოძახებული ფილიპე მახარაძე, როგორც ორგანიზატორი ამ მკვლელობისა... სასამართლო პროცესის დამთავრებამდე ფ. მახარაძე მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამ ფაქტს თავისებურად ეხმაურება პროფ. ფარნაოზ კოტეტიშვილის მიერ მოწოდებული ცნობა, — პროფ. ს. კაკაბაძის ნათქვამი: „... სტალინი დაუნდობელი იყო.როდესაც ბერბიჭაშვილის დაკითხვის დროს ცალკე გამოიყო საქმე ფილიპე მახარაძეზე, შეეკითხნენ სტალინს და მისგან მიიღეს დეპეშა: „სუდიტე სო ვსეი სუროვოსტიუ სოვეტსკოგო ზაკონა — ნე ვზირაია ნა ლიცა". და სწორედ

პროცესის დაწყებამდის (ამ დეპეშის მიღებისთანავე) გაუსკდა გული ფილიპეს და გარდაიცვალა. ამ დეპეშის აზრი დაადასტურა ისტორიკოსმა ლუკა ციხისთავმაცო".

საინტერესოა გ. ბერბიჭაშვილის ზოგიერთი „უცნობი" გამონათქვამებიც დაკითხვის დროს:

— „თქვენ მეუბნებით თითქოს მე ჯაშს კარგად ვიცნობდი, როცა მისი სახე სულ არ მინახავს" (გვ. 7).

— „ამხანაგებთან მე სიკვდილის ქვეშ ვიყავი. შიშის ქვეშ დაყენებული" (გვ. 8). ეს ნიშნავს, რომ თუ გასთქვამდა ბერბიჭაშვილი რომელიმე ამხანაგს, ვთქვათ იგივე „იმერელის" ვინაობას, მას მოსპობდნენ ფიზიკურად (თვით საპატიმროშიც კი), ამოუწყვეტავდნენ ცოლ-შვილს, ახლობლებს და გადაუწვავდნენ სახლ-კარს.

— „ქალაქიდან (საგურამოს სამამასახლისოში) მოსული პროპაგანდისტებიდან გვარები არ მახსოვს... ერთხელ ფილიპეც ამოვიდა" (გვ. 21).

— ჯაშის პირველი დანახვა იყო იმ ღამეს, რომ მოვიდა იქა. მე არ ვიცი რათ იქნებოდა უკმაყოფილო იგი ილიაზე. ის თუ მეფის ახრანკის აგენტი იყო, მე ეხლა მეყურება თქვენგან" (გვ. 46).

— „მე პირადად არაფერი ვიცოდი ჯაშის შესახებ, თქვენგან მესმის და პირველად შადის ჩემს ყურებში" (გვ. 48).

„არ ვიცი, ბატონო, ჯაშის შესახებ არა ვიცი რა" (გვ. 51).

„მე არაფერი ვიცი არც ჯაშზე, არც „ოხრანკა" გამიგონია... რომ მეფის ოხრანკამ მოაწყო ილიას მკვლელობა და შემდეგ სოციალ-დემოკრატებს გადააბრალეს ეს მე არ ვიცი" (იქვე, გვ. 51); „სპარსეთიდან რომ დავბრუნდი, ხალხში გამიგია მკვლელობის ზოგიერთი მონაწილის შესახებ, მაგრამ ჯაშის შესახებ არაფერი გამიგია" (გვ. 56)."

როგორც ვხედავთ, გამოძიების მთელი სიმძიმე გადატანილია იქითკენ, რომ როგორმე დაამტკიცონ, თითქოს ილიას მკვლელობა მოწყობილი იყო მეფის ოხრანკისა და მის მიერ მოსყიდული აგენტების მიერ დ. ჯაშის ხელმძღვანელობით. ისიც ნათელია, რომ არც ერთი კითხვა არ არის დასმული გ. ბერბიჭაშვილთან ერთად მყოფი „იმერელის" (ს. ორჯონიკიძის) ვინაობის გამოსარკვევად. ერთიც აღსანიშნავია, რომ თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებს, რომლებსაც უმტკიცდებოდათ ილიას მკვლელობა, ერთხელაც არ წამოუყენებიათ შემდეგში შეთხზული „ჩვენებების" მსგავსად ბრალდებები, თითქოს ეს ტრაგედია მოახდინეს მეფის ოხრანკის აგენტებმა, თუ არ მიეიღებთ მხედველობაში პირველ უშედეგო ცდებს, რათა ილიას მკვლელობა გადაებრალებინათ სომ-

ხებისა და მეფის ოხრანკისათვის. ამას რომ სინამდვილესთან რაიმე კავშირი ჰქონოდა, ბუნებრივია, ხელზე დაიხვევდნენ ფ. მახარაძე და სხვები. ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ამ მხრივ, ისინი ზოგიერთ ჩვენს ისტორიკოსებზე მაღლა აღმოჩნდნენ, თუმცა დღევანდლამდე ვერც გაამტყუნებდი ჩვენი დროის ისტორიკოსებს, რომელთა დიდი ნაწილი პირნათლად ასრულებდა და ეფუძნებოდა ზემდგომ ინსტანციების მითითებებს, ბელადის გამონათქვამებზე დამყარებულ დებულებებს, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ სახელმძღვანელოდ აღიარებულ ლ. პ. ბერიას ნაშრომში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" — მოცემულ დოგმებს, დასკვნებს. სხვანაირად მათ არც შეეძლოთ. ისინი იკვლევდნენ და იღვწოდნენ ხელმძღვანელთა წინასწარ შემუშავებული „ბრძნული" თეორიული კონცეფციებით (შეხედულებებით).

1907—1909 წლების ილიას მკვლელობის შესახებ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ბერბიჭაშვილი ატარებდა თადიაშვილის გვარსაც (პ. გუგუშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 22), ხოლო სპარსეთში, როგორც თვითონ აღიარა დაკითხვის დროს (გვ. 82), იმყოფებოდა სიმონ პავლეს ძე კათელაძის გვარით. ეს ანონიმური გვარი ბერბიჭაშვილს, როგორც რევოლუციონერს, მიცემული ჰქონდა სოციალდემოკრატიული პარტიის კომიტეტის მიერ (დოკუმენტებში იხსენიება „ახატნელადაც"სოფლის სახელის მიხედვით).

№7.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი, ფ. მახარაძის დავალების ორგანიზატორი ი. ინაშვილი.

7.1. ვინ იყო ივანე ინაშვილი?

ამის შესახებ გაზ. „სავაჭრო გზა" 1908 წლის 7 სექტემბერს ქართველ საზოგადოებრიობას ატყობინებდა: „ვინ იყვნენ ფიზიკური მკვლელები დიდებულის მგოსნისა — ეს ახლა საიდუმლო აღარ არის. გამოძიებამ მკვლელების კვალს კაი ხანია მიაგნო, შეიტყო აგრეთვე ფიზიკური მკვლელების ვინაობა: ზოგი მათგანი (თუ არ ვცდებით, ყველანი, ორის გარდა) დააპატიმრა კიდეც; ერთს დაპატიმრებულს, სახელდობრ აფციაურს, საიდანღაც ასეთი მეგობრები აღმოაჩნდნენ, რომელთაც მას არაჩვეულებრივი დახმარება გაუწიეს: დაუჯერებელის, საარაკო თავგანწირულებით მოუხერხეს მეტეხის ციხიდან გაქცევა და სამართლის ხელიდან დასხლეტა. ამ აფციაურს ილიას საქმეზე დაპატიმრებულთა შორის ყველაზე მეტი

დანაშაული უმტკიცდებოდა. საგულისხმოა, რომ ასეთ ბოროტმოქმედს ჩვენს ქვეყანაში ისეთი მეგობრები ჰყავს, რომელთაც ორგანიზაციული „გამოსვლების“ ტექნიკაცა ჰქონიათ და გამოცდილებაც. უფრო საყურადღებოა, რომ გამოძიებამ ერთი ცოტად თუ ბევრად შეგნებული დამნაშავის ვინაობაც შეიტყო, — ინაშვილზედ მოგახსენებთ. ეხლა ეს ინაშვილი ისე ჩაიყლაპა, ისე გადაიკარგა, რომ ილიას არც ერთს „ჭირისუფალს“ იმის შესახებ არავითარი ცნობა არა აქვს...“

7.2. ი. ინაშვილი ძველი სოციალ-დემოკრატის პეტრე ხურცილავას დახასიათებით:

„ჩვენ კარგად ვიცნობთ ინაშვილს და ხშირად წაგვიკითხავს მისი კორესპონდენცია „კვალში“ ილიას შესახებ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას და ინაშვილს ერთმანეთთან. ინაშვილი იყო მთავარ სახელოსნოს მუშა ზეინკალი. ის იყო სოციალ-დემოკრატების გაგზავნილი საგურამოში მამასახლისად. როცა ჩვენ გავიგეთ ილიას მკვლელობა მას ბრალდებოდა, ჩვენ ეჭვიც არ შეგეპარვია, რომ ეს ინაშვილის საქმე იქნებოდა, რადგანაც ილიასა და ინაშვილს შორის დიდი განხეთქილება იყო... ინაშვილი იმ ხანებში (ე. ი. მკვლელობის დროს, — ვ. გ.) არ იყო დაჭერილი. შემდეგში დააპატიმრეს „(პარტარქივი, ფ. ზ, აღწ. 5, საქ. 391, ფ. 5).

7.3. გაზ. „ივერია“ ივ. ინაშვილის ბოროტმოქმედების შესახებ:

ილია ჭავჭავაძის მკვლელთაგანის ჭოპორტის საზოგადოების მამასახლისის ივ. ინაშვილის შესახებ წერილში „საქმენი საგმირონი“ გადმოცემულია, თუ სამი წლის განმავლობაში მამასახლისად მის ყოფნისას როგორ ატყუებდა გლეხებს, განგებ იწვევდა მათში უკმაყოფილებას; უკანონოდ ახდევინებდა მათ ფოსტის, მაღაზიის, ტყის ფულს, სოფლის სხვა ხარჯებს და სახელმწიფოს არ აბარებდა, ფლანგავდა... მთელი მისი მოქმედება იმისაკენ იყო მიმართული, რომ გლეხობაში უკმაყოფილება გამოეწვია და ისინი გადაეკიდა როგორც იქაურ მმართველ პირებზე, ისე თავად-აზნაურთა წარმომადგენლებზე... „ყოველივე ეს დადასტურდა გამოძიების დროს, რომელიც აწარმოა მცხეთის ბოქაულმა და ხალხს გამოუცხადა, რომ ინაშვილზე დაწერილ „ოქმს“ მაზრის უფროსს წარუდგენს ამ ორიოდე დღეში და ის-კი თავის მხრივ გუბერნატორს მოახსენებსო“ (გაზ. „ივერია“, 1902 წლის 19. დეკემბერი. №264).

7.4 გაზეთი „საეკლესიო გზა" ილიას მკვლელების ი. ინაშვილისა და სხვათა შესახებ.

„ხვალ, 12 სექტემბერს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო განიხილავს საქმეს საგურამოელ თორმეტის გლეხისას, მათ შორის ბერბიჭაშვილისა, ოგანოვისა, მაზმანაშვილისა, მოძღვრიშვილისა, ნავდარაშვილისა, მურადოვისა და სხვა, რომელთაც საგურამოს მიდამოებში ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯვა და კაცის კვლა ბრალდებათ. პოეტის ილიას მოკვლაშიც ედებათ ბრალი (როგორც ვხედავთ, ესენი უკვე ცნობილი ბანდიტები არიან, — ვ. გ.). მათთან ერთად უნდა გარჩეულიყო ცნობილი პავლე ფშავლიშვილის (იგივე აფციაურის) საქმეც. მაგრამ რაკი ფშაველიშვილი 11 მაისს ციხიდან გაიქცა, მისი საქმე ცალკე გამოყოფილია საზოგადო საქმიდან. ხსენებულ პირთ ყველას წარდგენილი აქვს ბრალდება სამხედრო დებულების მე-22 კრებულის 279 მუხლის ძალით, რომლითაც ბრალდებულთ სიკვდილით დასჯა მოელით". (გაზ. „საეკლესიო გზა", 11-23 სექტემბერი, 1908 წ., №4, გვ. 3).

7.5. გაზეთი „დროება" ი. ინაშვილის შესახებ:

...„ამ რამდენიმე ხნის წინათ, როგორც ვწერდით, თბილისის სამაზრო პოლიციამ დააპატიმრა საგურამოში მამასახლისად ნამყოფი ივანე ინაშვილი, რომელსაც ბრალდება ილია ჭავჭავაძის მოკვლის საქმის მოწყობა და სისრულეში მოყვანა. საქმის გამოძიებას უკვე შეუდგნენ. ლაბაურისა, ხიზანიშვილისა და მოძღვრიშვილის შესახებ განაჩენი ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ და თუ ახალმა გამოძიებამ მათ შესახებ ახალი რამ აღმოაჩინა, შესაძლებელია ისინი ხელ-ახლა იყვნენ გასამართლებულნი" (გაზ. „დროება" №32,12 თებერვალი, 1909 წელი).

7.6. გაზეთი „დროება" ილიას მკვლელების — ი. ინაშვილისა და სხვათა შესახებ:

„კავკ. საოლქო სასამართლომ 10 აგვისტოს მეორედ განიხილა საქმე ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ. საქმის ვითარება თავის დროზე დაწერილებით გავაცანით ჩვენს მკითხველებს. პირველ განხილვის დროს სასამართლომ დამნაშავედ სცნო ლაბაური, ხიზანიშვილი და მაზმანაშვილი და გადაუწყვიტა მათ სიკვდილით დასჯა. ბრალდებულებმა სასამართლოს განაჩენი განასაჩივრეს მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა განაჩენი და საქმის გარჩევა ხელ-მეორედ დაავალა სასამართლოს. ხელ-ახლა საქმის განხილვის მიზეზად მთავარმა სამხედრო სასამართლომ ის

აღიარა, რომ ბრალდებულნი სამართალში იმან არ მისცა, ვისაც უნდა მიეცაო: ილია ჭავჭავაძის მკვლელნი სამართალში მისცა კავკასიის ჯარის უფროსმა, ხოლო კანონით უნდა მიეცა ტფ. გენერალ-გუბერნატორს. პოლიცია პირველად საქმის გარჩევის შემდეგაც დაეძებდა ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილე სხვა ბრალდებულთ და შარშან ტფილისის მახლობლად შეიპყრო საგურამოს მამასახლისად ნამყოფი ივ. ინაშვილი. ამავე ხანებში ტფილისის მაზრის ერთ სოფელში პოლიციამ, შეპყრობის დროს, მოჰკლა მეორე ბრალდებული პავლე ფშავლიშვილი. 10 აგვისტოს ოლქის სასამართლომ ინაშვილის საქმე შეუერთა დანარჩენ ბრალდებულთა საქმეს და შეუდგა საქმის განხილვას (მაზმანაშვილი, რომელსაც უკვე სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, უკვე გარდაიცვალა ციხეში).. განაჩენი იმავე დღეს გამოაცხადეს. სასამართლომ ბრალდებულად ცნო ბრალდებულნი ი. ინაშვილი, ხიზანიშვილი და ლაბაური და სამივეს სიკვდილი გადაუწყვიტა" (გაზ. „დროება", №178, 14 აგვისტო, 1909 წელი).

№ 8.

ჟურნალი „ნიშადური" ილიას მკვლელობის შესახებ:

...„ვის უნდა მოეკლა ერის დიდება?..

არა, ილიას მკვლელები არ არიან უბრალო ავაზაკები!..

არა, ილიას არ მოკლავდნენ „ხულიგნები"!..

მრავალტანჯულ საქართველოს კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინათ მოევლინა ერთი საშინელი სენი: აღვირახსნილ და ზნეგახრწნილ არსებათა ბრბო, რომელიც სოციალიზმის ნიღაბს ატარებს... ამ უგუნურთა და ფანატიკოსთა ბრბომ, თავიანთ დემაგოგ-ბელადების შთაგონებით იმთავითვე უარყო ქართველი ეროვნება, დაგმო ქართული ენა და წარსული, დაგმო ქარფული ერი და მისი თავისუფალი მართვა-გამგეობა.

...დააარსა სოფლად და ქალაქად კომიტეტები, გაავსო ქვეყანა თავხედ და უმეცარ აგენტებით და პარტიის სახელით ჩაიდინა საქართველოში აურაცხელი საზიზღარი ბოროტებანი...

აი, ამ ქართველი ეროვნების უარმყოფელმა ბრბომ დასწვა მახათას ველზე ილიას უკვდავი ნაწერები; ამ ბრბომ დახია და დაგლიჯა ხალხის წინაშე ილიას სურათი; ამ ბრბომ შეაძულა ქართველ გლეხობას მისთვის თავდადებული ადამიანი, მისი ჭირვარამის აღმნუსხველი მგოსანი, მისი მოამაგე და გულშემატკივარი... ეს ზარდამცემი აზრი ცხოვლად წარმოუდგა ყველა ქართველს განსაკუთრებით „ისრის" №44 წაკითხვის შემდეგ.

— „ჩვენ მოვკალით", ეუბნება ბოქაულს გიორგი ხიზანიშვილი; — „ილია მოკლეს ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ერთმა იმერელმაო," ამბობს იგივე.

ნეტავ ვინაა ეს „კომიტეტი", რომლის განკარგულებით მოქმედებდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედობდა დუშეთ-საგურამოს რაიონში?!

ადვილი მისახვედრია, თუ ვინ ყოფილან ილიას მკვლელები. ესენი იყვნენ ბრმა იარაღნი იმ ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალთმაქცურად პარტიის და კომიტეტის ფარდას ეფარებიან.

ახლა ვიკითხოთ, ნეტა ვინაა ეს სამშობლოს უარმყოფელნი, ქვეყნის ორგულნი და ქართველ მოღვაწეთა ჩამქოლავნი, მკვლელნი, ხალხის იარა და მძარცველი ბრბო? პასუხი არაა საჭირო. ყველამ ვიცით, ვინც ბრძანდებიან ეს რაინდები...

ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვისი კომიტეტი გადგა განზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გაგზავნა პეტერბურგიდან? ვინ აღიარა გაზეთში უბრალო „ნაფოტად" ილია ჭავჭავაძე? ვინ გამოექომაგა ილიას მკვლელებს? რატომ? რისთვის?

„მომწიფდა ჟამი, რომ ნიღაბი ავგლიჯოთ ხალხის ცრუ ბელადებს, დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზრდობამ! დროა გადაიძროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ და ზოგიერთმა გაზეთებმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქეობრივის გამბედაობით!.." (ჟურნალი „ნიშადური". 1908 წლის 10 აპრილი).

სამწუხაროა, რომ 80 წლის შემდეგაც კვლავ გვიჭირს „ნიღაბის აგლეჯვა" მათზე, — ქართველთა შემაგინებლებზე, ჩვენი ისტორიის უარმყოფელებზე, ილიას მკვლელ ცრუ ბელადებზე; გასაკვირი არაფერია, — დღესაც გადაფარებული გვაქვს „ლაჩრობის ჩადრი".

სხვათაშორის ხშირად მეკითხებიან, — ვინაა ისაკა ალხანაშვილი, რომელმაც შეგვიგინა სამშობლოც, საყდარიც, ხატებიც, მეფეებიც, მათი ტახტი და გვირგვინი... ილია ჭავჭავაძე და მისი ნაწერები?

— ისაკა ალხანაშვილი იმ დროს, — 1907 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის წევრია, 1908 წელს — სოციალ-დემოკრატიული ორგანოს გაზეთ „ცისკრის" რედაქტორ-გამომცემელი და არა ხულიგანი, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

№9.

— სერგო ორჯონიკიძე (იმერელი), როგორც ილია ჭავჭავაძის ფიზიკური მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და უშუალო მონაწილე.

9.1. ყარამან ფაღავა, ილიას ერთ-ერთი მკვლელის ს. ორჯონიკიძის შესახებ (ვსარგებლობ კრიტიკოს ალექსანდრე სიგუას გამოუქვეყნებელი შრომიდან „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა"):

ერთი შეხვედრის დროს, — წერს ა. სიგუა, — ცნობილ თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეს პროფესორ აკაკი ფაღავას ვუამბე, რომ მასალას ვაგროვებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ და ხომ არ იცით, ბატონო აკაკი, დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის ყარამან ფაღავას მისამართი-მეთქი? — როგორ არა, ჯერ ერთი, ყარამან ფაღავა ჩემი ნათესავია და მეორეც, სოფელ ნახუნავოდან ჩვენი ორივეს მეზობელია, აკაკი იმავე დღეს წამყვა ყარამან ფაღავასთან, რომელიც ცხოვრობდა ყოფ. სართანიას ქუჩაზე №5-ში (ამჟ. კონსტიტუციის ქუჩა) პირველ სართულზე თავის საკუთარ ერთსართულიან სახლში. აკაკი და ბატონი ყარამანი ერთმანეთს გულწრფელად მიესალმნენ და შემდეგ მას გააცნო ჩემი თავი, თუ რატომ და რისთვის ვიყავი მისული. აკაკი დიდხანს არ დარჩენილა. წასელის წინ ბატონმა აკაკიმ ისევ გაუმეორა და სთხოვა ბატონ ყარამანს, რომ ჩემთვის ყველაფერი ეთქვა მკვლელობასთან დაკავშირებული ამბები, ეთქვა ის, რაც სათქმელია და ისიც, რის თქმა ამჟამად შეუძლებელია. ეს ჭაბუკი მეტად დაინტერესებულია დაადგინოს ილიას ვერაგული მკვლელობის ამბავიო.

ყარამანი: — რა დადგენა უნდა, ბატონო აკაკი, დიდი ხანია დადგენილია ილიას მკვლელობის ჭეშმარიტი ისტორია, მაგრამ დღეს მეტად მძიმე დროა და ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა სახიფათოა და შეუძლებელი.

— ბატონო ყარამან, — ეკითხება ა. სიგუა, — რისთვის ვარ თქვენთან მოსული თქვენ უკეთ იცით და ამიტომ მინდა, რამდენიმე კითხვა მოგცეთ თქვენ, როგორც დუშეთის მაზრის ყოფილ უფროსს, რომელიც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას.

— სიამოვნებით, — პასუხობს ყარამან ფაღავა, — თორემ აგერ თითქმის 30 წელია, რაც წიწამურში ილია ჭავჭავაძე ტრაგიკულად მოკლეს და ამ ხნის განმავლობაში ჩემთან არავინ მოსულა, რომ დაინტერესებული ყოფილიყო დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული მკვლელობის ისტორიით.

კითხვა: — ვინაა სულისჩამდგემელი და მომწყობი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის?

პასუხი: — გამოძიების მასალებიდან აშკარად ირკვეოდა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — მარქსისტებმა, — რომელიც ცნობილია მესამე დასის სახელით.

მე თქვენთან ძალიან გულწრფელი მინდა ვიყო, როგორც ეს ჩემმა ნათესავმა ბატონმა აკაკიმ მთხოვა. ამიტომ არ დაგიმალავთ და გულწრფელად გიამბობთ ისეთ ფაქტსაც კი, რომელსაც სხვას მე ვერ ვეტყვი და საფრთხის წინაშე ჩემს თავს არ დავაყენებ. ვინაიდან მე ხომ ვიცი, რომ დღეს ილიას მკვლელებს ხელისუფლების ორგანოში დიდი თანამდებობა უკავიათ. გთხოვთ, ზოგიერთ ჩემ ნათქვამს ჯერ-ჯერობით პრესაში ნუ გამოიტანთ...

კითხვა: — ბატონო ყარამან, უკანასკნელი ჩემი კითხვა ასეთია — როგორც პროკურორის საგამომძიებლო მასალებიდან ირკვევა, ილია მოჰკლა გიგლა ბერბიჭაშვილმა, გ. მოძღვრიშვილმა, ალ. ფშავლიშვილმა, ვ. ინაშვილმა და ერთმა იმერელმა ბიჭმა. განსაკუთრებით მაინტერესებს იმერელი ბიჭი, რომელიც ილიას მკვლელობის სასამართლო პროცესზე არ ჩანს და ილიას მკვლელობის კვლევა-ძიების მასალებში კი მოხსენებულია, როგორც „იმერელი ბიჭი".

პასუხი: — იმერელი ბიჭის სახელით ცნობილი პიროვნება, რომელიც სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, საგამომძიებლო ორგანოსაც აინტერესებდა დაედგინა მისი ვინაობა, მე მოხუცებული ვარ და საფლავში არ მინდა ჩავიტანო. უნდა გაგიმჟღავნოთ, რომ მაშინ ჩემთან ილიას მკვლელობის გამოძიების დროს ბევრი ქართველი ინტელიგენტი-მამულიშვილი მოდიოდა, მეუბნებოდა, თუ რატომ არ ზის საბრალდებულო სკამზე იმერელი ბიჭი — სერგო ორჯონიკიძეო, რომელიც გიგლა ბერბიჭაშვილის გვერდით იდგა ბერდენკით ხელში და მისი თოფიდან გასროლით ტყვია მოხვდა ილიას თავშიო.

კითხვა: — ბატონო ყარამან, ხომ ვერ დამისახელებთ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც თქვენთან მოვიდნენ და ასახელებდნენ სერგო ორჯონიკიძის გვარს, როგორც ილიას მკვლელობის მონაწილეს.

პასუხი: — სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები: ვასო ცაბაძე, ოსიკო მაჭავარიანი, შალვა მესხიშვილი და სხვები. ესენი ჩემთან ხშირად მოდიოდნენ და გადაჭრით და მკაცრად მეუბნებოდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი სერგო ორჯონიკიძეაო; შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ილიას მკვლელობის

ერთ-ერთი მონაწილე — იმერელი ბიჭი — ნამდვილად სერგო ორ-ჯონიკიძე იყო (მით. ხელნაწერი შრომა, გვ. 16—36).

9.2. ყარამან ფაღავა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანი-ზაციის შესახებ.

„...ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ, როგორც ეს გამოძიებიდან სჩანდა, ქ. თბილისში იყო მოწყობილი. გამოძიების დროსაც ხმა გავრცელდა, რომ ვითომ ილია ჭავჭავაძე პარტიამ მო-კლა... მკვლელობის ორგანიზატორი ჩემი აზრით, გადარჩა გამომ-ძიებლის შემწეობით. გამომძიებელი საქმეს აჩქარებდა და საქმი-დან ეტყობოდა, რომ თვითონ რაღაც პირად მონაწილეობას ღებუ-ლობდა ამ საქმეში“ (ყარამან გრიგოლის ძე ფაღავას 1926 წლის 1 თებერვლის წერილიდან პეტრე გელეიშვილისადმი. — პარტარ-ქივი, ფ. 8, აღწ. 5, საქმე №391, ფურც. 6).

9.3. საარქივო დოკუმენტები ილიას მკვლელის იმერელი ბიჭის შესახებ პ. გუგუშვილის 1938 წლის წიგნიდან „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“.

სამწუხაროდ, იგი, პ. გუგუშვილი, ისე, როგორც თავის დროზე კ. გორდელაძე, ხოლო შემდეგ ალ. კოჭლავაშვილი და სხვ., არც „დაინტერესებულა“ სერგო ორჯონიკიძის — იმერელი ბიჭის მამ-ხილებელი მასალებით, რომლებიც დაცულია სხვადასხვა ადგილ-ზე საარქივო ფონდებში. ამას არც თვითონ პ. გუგუშვილი მალავს, როცა წიგნის შესავალში წერს: — ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ საგამომძიებლო დოკუმენტებიდან „ჩვენ გამოვტოვეთ მთე-ლი რიგი მიმოწერები, ოქმები, დაკითხვები, მოხსენებები, რომლე-ბიც ახალს არაფერს იძლევიან საკითხის გარშემო“... (გვ. 8).

ასეთი დამოკიდებულება ყველასათვის გასაგებია. მის მიზანს — მთავარ „საკითხს“ შეადგენდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მთელი დანაშაული მიეწერა მეფის რუსეთის ოხრანკისათვის, მის მიერ „დაქირავებული აგენტების“ — დ. ჯაშის, გ. ბერბიჭაშვილის, ი. ინაშვილისა და სხვებისათვის.

მიუხედავად ამისა, პ. გუგუშვილს, მის მიერ გამოქვეყნებულ საგამომძიებლო მასალებში, მაინც „გაეპარა“ ილიას მკვლელის — „იმერელი ბიჭის“ — შესახებ ცნობები, სახელდობრ:

9.3. — 1. შესავალში, — თავდამსხმელ ყაჩაღთა შორის მოიხსე-ნიებს „ვილაც იმერელს“ ორჯერ (გვ. 20).

9.3. — 2. რომ ილია მოკლეს: ა. ფშავლიშვილმა, ვ. ინაშვილმა, გ. ბერბიჭაშვილმა და ვილაც იმერელმა. „მათ დაუძახეს სოფლე-

ლებს და გამოუცხადეს, რომ კომიტეტმა დაადგინა მოკლულ იქნას თავადი ჭავჭავაძე და რომ ეს საქმე მათ სისრულეში მოიყვანონ" (გ. ხიზანიშვილის დაკითხვის ოქმიდან, გვ. 22).

9.3. — 3. 1908 წ. 10 თებერვალი. დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებლის ი. მ. სტრიჟევის მიერ წარმოებულ დაკითხვაში „იმერელი" ნახსენებია ორჯერ (გვ. 89).

9.3. — 4. 1908 წ. 17 თებერვალი. მცხეთის რაიონის პრისტავ მარკოვიჩის განცხადების ოქმი. „იმერეტინ" — ნახსენებია 5-ჯერ (გვ. 90-92). აქვე მითითებულია, რომ ილიას მკვლელობა გადაწყვეტილი ყოფილა კომიტეტის მიერ.

9.3. — 5. 1908 წლის მარტი. ილიაშენკოს მიერ მაზრის უფროსის მოვ. ამსრ. ივანე სტრიჟევის დაკითხვის ოქმში „იმერელი" მოხსენებულია 3-ჯერ (გვ. 93).

9.3. — 6. 1908 წ. 12 აგვისტო. სასამართლოს გამომძიებელ უვაშკოვის მიერ გაბრიელ გარსევანოვის დაკითხვის ოქმში — მოხსენებულია 3-ჯერ (გვ. 98). აქაც მითითებულია, რომ ილიას მკვლელობა გადაწყვიტა კომიტეტმა და ისინი ასრულებდნენ ამ დადგენილებას.

9.3. — 7. 1909 წ. 27 იანვარი, პროკურორის ამხანაგ კოროლიოვის მიერ. თედო ლაბაურის დაკითხვის ოქმში — მოხსენებულია ერთჯერ (გვ. 102).

რა თქმა უნდა, არც მაშინ და არც შემდეგ, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო „არ დაინტერესებულან" არც მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორით — ფ. მახარაძით და არც ილიას ერთ-ერთი მკვლელით — იმერელით (ს. ორჯონიკიძით).

9.3. — 8. სხვა დოკუმენტებშიც, თუნდაც იგივე საქართველოს საისტორიო ცენტრალურ სახელმწიფო არქივის დოკუმენტებში, საიდანაც გადმობეჭდა პ. გუგუშვილმა მასალები, „გამოტოვებულია" კიდევ უფრო საინტერესო ფაქტები ილიას მკვლელზე — „იმერელზე". მოვიტანთ ერთ-ერთ დოკუმენტს. ესაა 1908 წლის 19 დეკემბრის დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის კალინინის საიდუმლო მიმართვა. აქ მითითებულია, რომ ადმინისტრაციული და საჟანდარმო ორგანოების მხრივ გამოცხადებულია ძებნა უცნობი „იმერელის" მიმართ, რომელიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მკვლელთა ბანდის მეთაურს (იავლიაიუშიისია გლავოიუ შაიკი უბიიც კნ. ჩავჩავადზე). და ეს მეტად საინტერესო დოკუმენტი მიზანშეწონილად არ „ჩათვალა" პ. გუ-

გუშვილმა შეეტანა მის გამოცემულ საგამომძიებლო მასალებში! (საქ სსრ საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 116 აღწ. 1, საქმე 13364, გვ. 169-170).

ასე რომ, აშკარად ჩანს „გამოძიების" პროცესში როგორც გამომძიებელთა, ისე მასალების შემგროვებელთა — კ. გორდელაძე, პ. გუგუშვილი, ა. კოჭლავაშვილი და სხვ. ტენდენციურობა, იგივე ითქმის გ. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზეც, საქმე იქამდისაა მისული, რომ არავის, არც მოსამართლეს, არც პროკურორს არ აინტერესებთ ილიას მკვლელობის უშუალო მონაწილე „იმერელი" ს. ორჯონიკიძე. ამ თვალსაზრისით მათ ასევე „თვალი დახუჭეს" მის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ უამრავ წერილზე. მოგვაქვს სანიმუშოდ რამდენიმე:

9. 3. — 9. გაზეთ „ნოვოსტი ზაკავკაზიის", 1908 წლის 2 დეკემბრის ნომერში მთელი მე-5 გვერდი დათმობილი აქვს წერილს: „თავადი ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობა". წერილში ვკითხულობთ: „საქმის გამო მოწმეთა — დუშეთის მაზრის უფროსის პოდპოლკოვნიკ ივ. სტრიჟევის, მისი ყოფილი თანაშემწის თ-დ ყარამან ფაღავას და მცხეთის პრისტავის მარკევიჩის დაკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მოკვლევის დროს დაკავებულმა პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა) სხვადასხვა დროს განუმარტა მათ, რომ ბერბიჭაშვილმა, ინაშვილმა და ვინმე იმერელმა წინადადება მისცეს მას, ფშავლიშვილს, წასულიყო მათთან ერთად საგურამოში და მოეკლა ილია ჭავჭავაძე. თავდაპირველად ფშავლიშვილი არ დაეთანხმა ამაზე, მაგრამ როცა ბერბიჭაშვილი, ინაშვილი და უცნობი, გვარად იმერელი, დაემუქრნენ მას სიკვდილით, ისიც წაჰყვა".

„იმავე პრისტავ მარკევიჩის მიერ წარმოებული მოკვლევის დროს დაკავებული იქნა სოფელ წიწამურის მცხოვრები ყმა გიორგი (იგივე ლომა) ხიზანიშვილი, რომელმაც მოკვლევისას განუცხადა მას, რომ 1907 წლის აგვისტოში მასთან მივიდნენ ვანო ინაშვილი, პავლე ფშავლიშვილი-აფციაური, გიგლა ბერბიჭაშვილი და მისთვის უცნობი, გვარად იმერელი, ამასთან ინაშვილმა მას უთხრა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა მოკლას თავადი ილია ჭავჭავაძე იმისათვის, რომ იგი ავიწროებდა გლეხებს მიწის საკითხშიო".

კორესპონდენციაში დახასიათებულია, თუ როგორ მოკლეს ილია ინაშვილმა, ფშავლიშვილმა, ბერბიჭაშვილმა და უცნობმა იმერელმა. აქვე, საქმიდან ჩანს, რომ ბრალდებული პავლე ფშავლიშვილი-აფციაური, რომელიც თბილისის მეტეხის ციხეში იჯდა, 1908 წლის 11 მაისს გაიქცა დასახელებული საპატიმროდან და დღემდე არ დაუ-

კავებიათ". ამ დროისათვის ჯერ კიდევ დაპატიმრებული არ არიან გ. ბერბიჭაშვილი და ი. ინაშვილი.

9. 3. — 10. გაზეთი „კავკაზი" თავის 1908 წლის 2 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში (დაკავებული აქვს გაზეთის ორი გვერდი) აღწერილია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, მკვლელთა ბანდის ვრცელი ისტორია, მოხსენებულია ამ ბანდის ხელმძღვანელი ვინმე იმერელი.

9. 3 — 11. გაზ. „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე" ილიას მკვლელობის შესახებ. (1908 წლის 3 დეკემბერი, №66, გვ. 3). აქაც ვრცლად ასახულია ილიას მკვლელობის ორგანიზაციის სურათი, მითითებულია იმაზე, რომ მკვლელებს შორის აქტიურ მონაწილეობას იღებდა „იმერელი" და, რომ ეს მკვლელობა განხორციელებული იყო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დადგენილებით.

9. 3. — 12. მსგავსი ცნობები მოცემულია გაზეთებში „ტიფლისკი ლისტოკ" (1908 წლის 14 თებერვალი). „ნაშა ჟიზნ" (1908 წლის 25 მაისი) და სხვ.

იგივე ითქმის ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

№10.

კიდევ სამი ცნობა ილიას მკვლელის „იმერელის" — ს. ორჯონიკიძის შესახებ.

10. 1. პროფ. მარიამ ლორთქიფანიძის მოგონებიდან: „ჩემი ბებია (დედის მხრიდან) ანა როსტომის ასული მიქელაძე, როგორც თვითონ ამბობდა, იყო ფედერალისტთა პარტიის წევრი. გარდაიცვალა 1945 წელს.

ერთხელ, ოჯახში ჩამოვარდა საუბარი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ. კარგად არ მახსოვს, იყო ეს ბერბიჭაშვილის პროცესამდე, თუ იმ დროს, მან უყოყმანოდ განაცხადა — ილია მოჰკლეს ფილიპემ და სერგომ".

10. 2. ზინა (ფუცუნია) ნესტორის ასული მაჭავარიანის (მცხ. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში, 70 წლის, მარტოხელა) მოგონებიდან (ჩავიწერე 1954 წ.)

„1905 წელს, ზაფხულში, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის სადგურ ტბაზე, სადაც ჩემი ძმა მუშაობდა, ჩვენთან მოვიდა სერგო ორჯონიკიძე. იგი ჩვენი ნათესავი იყო და სიხარულით შევხვდით.

სახლში შემოსვლისთანავე მან მკაცრად გაგვაფრთხილა: მე სერგო ორჯონიკიძე კი არა ვარ, არამედ „იმერელი ბიჭი". თუ ვინმე შეგეკითხოთ, ვინ იყო თქვენთან წუხელისო, უპასუხეთ: ვიღაც „იმერელიო" (ასე გვითხრაო); მე გამოგზავნილი ვარ პარტიის მიერ ხაშურ-ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის მუშებთან სააგიტაციო მუშაობისათვის; უნდა დავამხოთ რუსეთის მეფის მთავრობა, მოვსპოთ თავადაზნაურობა და დავამყაროთ მუშებისა და გლეხების თავისუფლება...

დამე ჩვენთან გაათენა. წასვლისას კვლავ გაგვაფრთხილა: — მე არ ვიცი, თუ ჩემი სახელი და გვარი გითქვიათ ვისთვისმე, ყველას, თქვენცა და თქვენც ახლობლებსაც ფიზიკურად ამოგწყვეტავენ და გადაგიწვავენ სახლ-კარს...

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ილია ჭავჭავაძის ზარდამცემი სიკვდილი შევიტყვეთ და ისიც გავიგეთ, რომ ამ ტრაგედიაში „ვინმე იმერელიც" მონაწილეობდა, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ეს იყო მაშინ 21 წლის ჩვენი ნათესავი სერგო ორჯონიკიძე, მაგრამ ვინ გაბედავდა მაშინ ამის თქმას..."

10. 3. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გიორგი ტატიშვილის მოგონებიდან ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელის ს. ორჯონიკიძის შესახებ.

მამაჩემი — გიორგი ტატიშვილი ძველი რევოლუციონერი იყო, 1908 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის დავალებით იგი სწავლობდა ილიას მკვლელობის საქმეს ადგილზე. მამა თავის თავს უწოდებდა „ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მკვლელობის გამომრკვევი და აღმომჩენი კომისიის თავმჯდომარეს". იგი, შემდგომ პერიოდში, სხვადასხვა ინსტანციას უგზავნიდა წერილობით მასალებს ილიას მკვლელობაზე (რესპუბლიკის მთავრობას, სოცუზრუნველყოფის სამინისტროს, ლიტერატურის მუზეუმს...). 1942 წელს ვრცელი წერილი — „პოეტ ილია ჭავჭავაძის მკვლელი" — გაუგზავნა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ბაქრაძეს. ბოლო ჟამს, 1958 წელს, თავისი „მოგონებები" ილიას მკვლელობის შესახებ ჩააბარა საქართველოს კპ ცკ-თან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივს. ამ დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობაში ეწერა: „ეძლევა ამხ. ვ. ა. ტატიშვილს (მას მეორე სახელად ვანოც ერქვა, — ვ. გ.) მასზედ, რომ მან 1958 წლის 12 მაისს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივის უფრ. მეც. თანამშრომელს ნ. მ. ბერძენიძეს ჩააბარა შემდეგი მოგონებები:

1. პარტიზან მიხეილ სოლომონის ძე ბაიდაშვილის ბიოგრაფია.

2. „ილიას წიგნები და ლექსები“.

3. „საქართველოს უმაღლეს სასამართლოს დარბაზში“.

4. აქტი 1909 წელი 25 დეკემბერი — პოეტ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მკვლელობის გამომრკვევი კომისიისა.

5. მოგონება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

6. „1907 წლის 1 მაისის დემონსტრაცია ქ. გორში“.

ამ მასალების მიღებაზე ცნობას, რომელიც გაცემული იყო 1958 წლის 13 მაისს (№3—296), ხელს აწერდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პარტარქივის დარგში ე. ქურციკიძე.

მამაჩემი გარდაიცვალა 1961 წელს, ღრმად მოხუცი, 85 წლის ასაკში. ბოლო წლებში იგი ხშირად მიამბობდა თავის ისტორიას. ერთხელ, გამაფრთხილა და მითხრა, რომ მართალია, აქობამდე ბევრს ვლაპარაკობდი და ვწერდი ილიას მკვლელობაზე, მაგრამ არაფერს ვამბობდი ამ მკვლელობის ორგანიზატორებზე: ფილიპე მახარაძეზე და ს. ორჯონიკიძეზე. მეშინოდა, მეც დამიჭერდნენ, ან მომკლავდნენ და არც შენ დაგაყრიდნენ სიკეთეს. ახლა, სიკვდილის პირასა ვარ მისული და არ მინდა საფლავში ჩავიყოლო საიდუმლოება. ფ. მახარაძე რომ იყო ამ საქმის მოთავე, ეს ყველამ იცოდა და ბერბიჭაშვილმაც არაერთჯერ განაცხადა როგორც სასამართლოზე, ისე მანამდეც, როცა ილიას მკვლელობას ვაკეცობადაც კი უთვლიდნენ მას. ფილიპეს ამბავი ძველადაც იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1937 წლის იუბილეს პერიოდშიც, ფ. მახარაძეს პირში უთხრეს სათქმელი, გაზეთებში დაწერეს. შედარებით ნაკლებს და ისიც ჩუმად ლაპარაკობდნენ ს. ორჯონიკიძეზე („იმერელზე“), რომელმაც ფ. მახარაძის დავალებით თავის თავზე აიღო დიდი პოეტის მკვლელობის ორგანიზატორობა. დიახ, ილიას მკვლელებს იგი ხელმძღვანელობდა და, ერთ-ერთი მისი გასროლილი ტყვიაც მოხვდა კიდეც ჩვენთვის საყვარელ ილია ჭავჭავაძეს. ცნობილი იყო ისიც, რომ ს. ორჯონიკიძე ისროდა თურმე აუცდენლად, როგორც იტყვიან ხოლმე — „ბეჭედში აძვრენდა ტყვიას“... ამის გამხელა აბა ვის შეეძლო ს. ორჯონიკიძეზე, რუსეთში დიდად მიღებული კაცი იყო. ან ვინ იტყოდა, ორი თავი ვის ჰქონდა, თორემ „იმერელი“ რომ ს. ორჯონიკიძე იყო. ესეც კარგად ვიცოდით თავიდანვე... თურმე ილია რომ მოკლეს, გაქანებულა და მკვდარი ადამიანისთვის — ილიასათვის-ცხვირ-პირში წიხლებიც დაურტყავს...“

როდესაც ყოველივე ეს მიამბო, ჩვენმა საყვარელმა მსახიობმა გიორგი ტატიშვილმა, დასძინა, რომ მამაჩემს დარჩა ბევრი ნაწერები, რომელიც ინახება ჩვენს ძველ სახლში, სოფ. გალავანში. მომცა

პატარა წერილი იქაურ მაცხოვრებელ შოთა დავითის ძე აზალაძესთან ამ მასალების გადმოსაცემად. როცა მივაკითხე, მიპასუხეს, რომ „კი იყო მისი არქივი მისსავე ძველ სახლში, მაგრამ იგი გადავეცით გიორგი ალექსანდრეს ძე ყელეულიძესო". როცა მივმართე მას, დამიდასტურა ეს ფაქტი, მაგრამ დასძინა, რომ ალბათ განადგურდა სხვენშიო. მე ამ საქმეს არ მოვეშვი და უკანასკნელ 1984—1987 წლებში 10-ჯერ მაინც ავედი სოფ. გალავანში ამ საქმეზე (სხვათა შორის, ერთჯერ ლევან სანიკიძემაც წამიყვანა თავისი მანქანით, ორჯერ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ლადო ცხვარიაშვილმა...), მაგრამ უშედეგოდ. მე კელავ ვესტუმრე ყელეულიძე გიორგის და... გ. ტატიშვილის „ძველი ქაღალდებით" სავსე თაგვებისაგან შეჭმულ საბუთებს და დამპალ ტომარას მივაგენით გარეთ, სათონეში. წამოვიღე სახელმწიფო არქივში. „გადარჩენილი" საბუთები უმეტესწილად ძველი რევოლუციონერის ცხოვრებასა და შემდეგი პერიოდის სოფელში მოღვაწეობას ეხება. აღმოჩნდა ნაწილი დაკუმენტებისა ქაოსურ მდგომარეობაში არსებული, რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას. იქვე იყო ცარიელი საქაღალდე წარწერით „მკვლელობის საქმე". როცა არქივისტისათვის დამახასიათებელი „დაჟინებით" ჩავდიე ამ საქმეს, ბატონმა გიორგი ყელეულიძემ გაიხსენა, რომ „ეგონებ თბილისში უნდა იყოს აქედან წაღებული ნაწილი არქივისაო". მიმდინარე წლის აპრილის თვეში მისი სახლიდან (კლარა ცეტკინის ქ. №128) წამოვიღე არქივში სახელმწიფო დაცვაზე ერთი „ფუთა" დოკუმენტები, რომლებშიც სხვა საბუთებთან ერთად აღმოჩნდა გ. ტატიშვილის მიერ ზემონათქვამი პარტარქივის მიერ გაცემული ცნობაც.

ზემოთქმულის შემდეგ ისმის ლოგიკური კითხვა: ილიას მკვლელებმა (ისინი ხომ იცნობდნენ ერთმანეთს), დაპატიმრების შემდეგ მაინც რატომ არ დაასახელეს ცნობილი მკვლელობის ორგანიზატორები? ანდა, რატომ არ გამოაშკარავეს ამ შემთხვევაში, თუ ვინ იყვნენ, ვთქვათ, ბათუმიდან ჩამოსული „უცნობი" პირები ბახვში მოწყობილ კრებაზე, სადაც ფორმალურად გადაწყდა ილიას მკვლელობის საკითხი, ანდა თბილისიდან საგურამოში ჩამოსული „უცნობები" ილიას მკვლელობამდე წინა დღეებში? ან კიდევ, ვინ იყო მკვლელობის უშუალო მონაწილე „იმერელი"?

ეს, ერთი შეხედვით, უბრალო და მეტად სერიოზული საკითხია. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მაშინ მოქმედებდა დაუწერელი კანონი „სიკვდილით შეკვრა", რომლის ძალით რევოლუციონერი, წითელი რაზმელი, ტერორისტი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, რომელიც გასცემდა თავის ამხანაგს, სიკვდილს ვერ ასცდებოდა. როგორც

წესი, ასეთ „გამყიდველს" ოჯახსაც ამოუწყვეტდნენ დედაბუდიანად და გადაუწვავდნენ კიდეც სახლ-კარს.

ამ მიმართებით დავიმოწმოთ თვით ფ. მახარაძე მისივე წიგნიდან „1905 წელი ამიერკავკასიაში", (თბ., 1926 წ. დამატ. 15, — „ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაცია"): — „ბათუმის სინამდვილეში დაიწყო დაწესებულებათა და კერძო პირთა ძარცვა-გლეჯა; მუქარის წერილებით სტყუებდნენ ფულებს კომიტეტის სახელით და სხვ.; ამასთან ერთად, როგორც საერთოდ მიღებულია აქ, ყოველივე მოთხოვნას თან ახლდა სიკვდილით დამუქრება, რომელიც მოჰყავდათ სისრულეში, თუ კი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა. ვერავინ ვერ გაბედავდა გაეცა დამნაშავე". (გვ. 322).

— „ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორივე ორგანიზაციას „ჰყავს მეომარი რაზმი, რომელიც შესდგება გავარდნილ, თავზე ხელაღებულ პირთაგან და რომელიც არსულებს დავალებას ადმინისტრაციულ პირთა მოკვლის შესახებ, ორივე ორგანიზაციის ამოცანას შეადგენს ერთი და იგივე მიზანი — ებრძოლოს არსებულ რეჟიმს ტერორის საშუალებით" (გვ. 326, 327).

პროპაგანდისტებს „ავ-სულებს" უწოდებენ. ტერორის გამო ყველა შიშის ქვეშ იმყოფება, სიტყვის თქმა არავის შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოკლავენ. მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის უფროსებმა დაამტკიცეს თავისი ძლიერება: ძალიან მცირე ხნის განმავლობაში მოკლეს რამდენიმე მამასახლისი, მცველები, 2 მღვდელი, ბოქაული კოსტავა და მომრიგებელი შუამავალი თავადი ნაკაშიძე... თითოეული ბოქაული იცნობს ყველა დამნაშავეს და ფარული ორგანიზაციის წევრებს, მაგრამ მოკვლის შიშით ხელს ვერ ჰკიდებენ... ტერორისტები ხოცავენ თანამდებობის პირთ, ძარცვავენ მცხოვრებთ, ართმევენ იარაღს თანამდებობის პირთ, მაგრამ მათი დატუსაღება შეუძლებელია, რადგან ყველას ეშინია... ადმინისტრაციის უძლურებამ ისე გაათამამა პროპაგანდისტები, რომ ისინი აშკარად აწყობენ კრებებს, არ ცნობენ არც პოლიციას, არც მოსამართლეს, არც დაწესებულებათ. კომიტეტი აწესებს თავის სასამართლოს: დამნაშავეთ ან კლავენ, ან ასახლებენ მაზრიდან რამდენიმე ხნით, ან უცხადებენ ბოიკოტს" (ფ. მახარაძის დასახ. წიგნი. გვ. 329,330).

აქვეა მითითებული: „გურიაში არსებულა რამდენიმე ორგანიზაცია: ჩოხატაურის, შემოქმედის, გურიანთისა და ოზურგეთის. ამ ორგანიზაციათა წევრთაგან მოწყობილი ყოფილა გურიის კომიტეტი, რომლის წევრთა ნაწილი ცხოვრობდა ბათუმში. კომიტეტის გან-

კარგულებაში იმყოფებოდა მეომარი რაზმი, რომელიც ასრულებდა ჯელა ტერორისტულ აქციებს" (გვ. 335).

აი მიზეზი, თუ რატომ არ დაასახელეს სხვა „უცნობებთან" ერთად ილიას მკვლელობის თანამონაწილე „იმერელი" (სერგო ორჯონიკიძე); აი, რატომ „ხუჭავდნენ" თვალებს ადგილობრივი ბოქაულები და მოსამართლენი ანონიმური პროპაგანდისტების მიმართ. ასე იყო არა მარტო ბათუმში და გურიაში, არამედ ჯელგან (ჩემს 1987 წლის ნარკვევში, რომელშიც გ. ტატიშვილის მოხსენებაა მოტანილი, ნათელია, თუ სადამდისაა მისული ტერორისტების — „წითელ რაზმელთა" — მიერ კაცის კვლა დუშეთისა და გორის მაზრებში).

საილუსტრაციოდ კიდევ ერთი ფაქტი: „შენ არ იკვლიო ხიზანიშვილის მკვლელები, თორემ შენც თან გაგაყოლებთ", — ასეთ წერილს ღებულობს ტერორისტებისაგან ჩვენთვის ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი 1906 წელს მისი ქმრის — ილია ჭავჭავაძის ახლობლის — ცნობილი პუბლიცისტის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის ნიკო ხიზანიშვილის ტერორისტულ მკვლელობასთან დაკავშირებით. (ელ. ჩერქეზიშვილი, „მოგონებანი", თბ., 1941 წ., გვ. 28).

და ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ამალა შემდგომ წლებში არწმუნებენ ხალხს, რომ ისინი არასდროს არ მიმართავდნენ ტერორს: — 1913 წლის 31 ივლისს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „თანამედროვე ქვეყანა" პირდაპირ მიუთითებდა, რომ რევოლუციონერები სასტიკად გმობდნენ ტერორს. რომლისთვისაც მათ არასოდეს მიუმართავთ. „რომ სოციალ-დემოკრატიის მიმდევრები სასტიკად წინააღმდეგი არიან ტერორის, ისინი გადაჭრით უარყოფენ მათ, როგორც კლასობრივი ბრძოლის საშუალებას... ქადაგებენ არა მემამულეებთან და კაპიტალისტებთან სათითაოდ გასწორებას, არა ეკონომიურ და აგრარულ ტერორს, არამედ მასიურ გამოსვლებს; რომ სოციალ-დემოკრატია დაუძინებელი მტერია ტერორისტული გამოსვლების, რანაირი სარჩულიც უნდა ქონდეს მათ".

№11.

ილიას მკვლელობის ხელმძღვანელთა — ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის — ურთიერთშუღლი, მათ მიერ ამიერკავკასიისა და საქართველოს მმართველობის ხელში ჩაგდების შემდეგ.

ძველმა მეგობრებმა — წიწამურის ტრაგედიის თანააავტორებმა ერთმანეთიც არ დაინდეს. ორჯონიკიძემ, მისთვის ჩვეული ტერორისტული და უხეში ადმინისტრაციული მეთოდებით არარობად აქცია თვით საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი ფ. მახარაძე, როცა ხელი მიჰყო პარტიის ცენტრალური

კომიტეტის ხელმძღვანელთა იდეურ და ფიზიკურ განადგურებას. ეს კი ვეღარ აიტანა ფ. მახარაძემ და თავის გამოსვლებსა და წერილებში გამოააშკარავა ს. ორჯონიკიძის უხეში გამოხდომები (იხ. ფ. მახარაძის წერილი „უნდა გავერკვეთ (პასუხად ს. ორჯონიკიძეს)" გაზ. „პრავდა", 1923 წლის 19 აპრილი, №85; სიტყვა, წარმოთქმული რკპ XII ყრილობაზე ნაციონალური საკითხის გამო" (სტენოგრაფიული ანგარიშიდან), ფ. მახარაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 259—287)

11. 1. „საქართველოში, — წერს ფ. მახარაძე, — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლინახევრის განმავლობაში... ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი უშუალოდ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად... აწარმოებს საქართველოს ორგანიზაციის უძველესი წევრების სისტემატურ დევნას და ცილისწამებას... ჩვენ მივმართეთ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მას გაერჩია ეს საქმე. და მართლაც, ჩვენში გამოგზავნილი იქნა კომისია ამხ. დზერჟინსკის მეთაურობით... კომისია არ აღმოჩნდა თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე. მან გამოიტანა მეტად ცალმხრივი დადგენილება, რომელიც თითქმის პოლიტბიურომაც კი... არ დაამტკიცა... შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა საქართველოში სხვა ამხანაგები... ამხ. ამხ. კამენევი და კუიბიშევი... ახლა მდგომარეობა არსებითად, შეიძლება ითქვას, იგივე რჩება..."

„ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმეში სცილდება საერთო ფარგალს... ამის შედეგად ვღებულობთ არევ-დარევას... რომელიც გვაქვს ჩვენ ამიერ-კავკასიაში... ჩვენ ვიცით, თუ რანაირ ელემენტებს ეყრდნობა ამხ. ორჯონიკიძე" (მხედველობაში აქვს არაქართველი წარმოშობის პირთა მიზიდვა ადმინისტრაციულ და სხვა დაწესებულებაში მოღვაწეობისათვის, — ვ. გ.).

11. 2. ფ. მახარაძის სიტყვიდან რ.კ.პ. XII ყრილობაზე: ფედერაციის შესახებ „სტალინის მიწერ-მოწერა ამხ. ლენინთან ეს იყო ჩვენი თვალსაზრისი, ამხანაგებო, მე ვფიქრობ, ამხ. სტალინო, რომ არსებობს ამის დოკუმენტები და ამხ. სტალინიც იტყვის, რომ ეს იყო სწორედ ჩვენი პოზიცია და არა პოზიცია ამხ. ორჯონიკიძისა, რომელსაც უნდოდა მისი გატარება უბრალოდ, სამხედრო ბრძანებით".

11. 3. — „... ამხ. ბუხარინმა, — წერს ფ. მახარაძე, — სთქვა, რომ ის შეხვდა პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგს და შეეკითხა: რა ხდება იქ, თქვენშიო? (იგულისხმება საქართველო, — ვ. გ.). აბა რა გითხრა, უპასუხა მან, ახალი არაფერი არ არის. აი, ვახრჩობთ ნაციონალისტებსო... როდესაც აქ ამხ. ორჯონიკიძემ გამოაქვეყნა ცნობილი პროექტი, მან სთქვა: დიახ, ჩვენ კედელზე ვაჭყლეტთო და მან ეს განსაკუთრებული მადიანათ გაიმეორა".

— „ამხანაგებო, — აგრძელებს ფ. მახარაძე, — მე უნდა ვსთქვა, რომ ამ ორ ფრაზას შორის არავითარი განსხვავება არ არის, ვინაიდან სულ ერთია, გინდ თქვი „ვახრჩობ" და გინდ თქვი „კედელზე ვაჭყლეტ", — ეს არ არის ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა".

ფ. მახარაძე, პარტიის XII ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის დასასრულს მიუთითებდა, რომ ს. ორჯონიკიძის მოქმედება ნაციონალურ საკითხში არ ჰგავს იმ მოძღვრებას, იმ სულსა და გულს, რომელსაც შეიცავს ლენინური მოძღვრება და რა საამწუხაროა, რომ ყრილობას ვლადიმერ ილიჩი არ ესწრებაო (ფ. მახარაძე, თხზ. ტ. IV. გვ. 273—284).

ს. ორჯონიკიძე საპასუხო სიტყვას რკპ(ბ) XII ყრილობაზე ასე გესლიანად იწყებს: „ამხანაგებო! აქ ამხ. მახარაძემ დაგიხატათ საშინელებათა სურათი, თუ როგორ სდევნიან მათ და სხვ. არ ვიტყვი, რომ საქართველოს პარტიაში გამწვავებული ურთიერთობა არ არსებობდეს. არანორმალური მოვლენები უეჭველია იყო, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. გვდევნიდნენო, — ამბობს ამხ. მახარაძე,— მაგრამ თვითონ ისიც სდევნიდა და უფრო მეტადაც, ვიდრე ისინი, რომელნიც მას სდევნიდნენ (იგულისხმება მათთვის, — ორივესათვის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პერიოდიდან მოყოლებული, ცნობილი „რევოლუციური" მეთოდები — ტერორი, „კაცთა ჭყლეტა" და სხვ. — ვ. გ.).

№ 12.

ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძის უხეში, დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ ამიერკავკასიაში:

12. 1. 1921 წლის 16 ივლისი. „ვ. ვ. ჩიჩერინს! როტშტეინი ბაქოს უწივის. რა გადაწყვიტეთ? საჭირო ხომ არ იქნება გავატაროთ ცენტრალურ კომიტეტში, რათა ორჯონიკიძე (ცენტრალური კომიტეტის წევრი) შებოჭილი იყოს... რომ დაუშვებელია ბაქოს მუშაკების მიერ სპარსეთის (ირანის) მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის დარღვევა" (თხზ., ტ. 45, თბ., 1974 წ., გვ. 220, შენიშვნა №235).

12. 2. ვ. ი. ლენინს, ისე, როგორც ყველგან, საქართველოშიც ეროვნული საკითხი მიაჩნდა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, „მსოფლიო საკითხად". იგი წერდა: — ეროვნული საკითხი — მსოფლიო საკითხია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი. აქ არქიწინდახედული უნდა ვიყოთ... აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ 1000-მაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ (თხზ., ტ. 45, გვ. 333).

თუ როგორ ესმოდათ ფ. მახარაძეს და ს. ორჯონიკიძეს ეროვნული საკითხი, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ საქართველოს სინამდვილეში „არქიწინდახედულად", ჩვენთვის ნათელია. ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინი აქტიურად ჩაერია საქართველოში ეროვნული საკითხის ირგვლივ ატეხილ უთანხმოებაში. ს. ორჯონიკიძე ვერ იჩენდა „მოქნილობასა და სიფრთხილეს ეროვნული პოლიტიკის გატარებაში", — ეკითხულობთ ვ. ი. ლენინის თხზულებათა 45-ე ტომის შენიშვნებში (№720); რომ იგი მიმართავდა ადმინისტრირებას.. არ უწევდა ანგარიშს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აზრსა და უფლებებს" (იქვე). მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა მდივნისა და მისი მომხრეების გასვლა საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან (მათი ეს მოქმედება მიჩნეული იქნა ე. წ. „ნაციონალიზმისაკენ გადახრად"). ამის შესახებ, 1923 წლის 6 მარტს ვ. ი. ლენინი წერილს უგზავნის მდივანს, მახარაძეს და სხვ.

„ამხ. მდივანს, ამხ. მახარაძეს და სხვ.

პატივცემულო ამხანაგებო!

სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მას მფარველობს სტალინი და ძერჟინსკი. ვამზადებ თქვენთვის ბარათებს და სიტყვას" (თხზ., 45, გვ. 757—758).

დიახ, ვ. ი. ლენინს მეტად აინტერესებდა „საქართველოს საკითხი". ეს გამოიხატა მაშინაც, როცა ფ. ძერჟინსკიმ 1922 წლის 12 დეკემბერს თბილისიდან დაბრუნებისას გააცნო კომისიის მასალები. ვ. ი. ლენინი მეტად ააღელვა ძერჟინსკის ტენდენციურობამ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებს შორის შექმნილმა გარემოებამ, — ს. ორჯონიკიძის უხეშმა გამოხდომებმა, მისმა თავხედობამ. ვ. ი. ლენინი კომისიის მუშაობით მეტად უკმაყოფილო დარჩა. მიაჩნდა, რომ სტალინის მხარდაჭერით კომისია ცალმხრივად, არაობიექტურად მიუდგა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის გამოძიებას ეროვნულ საკითხში და არ გამოამჟღავნა ს. ორჯონიკიძის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები.

ვ. ი. ლენინი, წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის, ანუ „ავტონომიზაციის შესახებ", სასტიკად გმობს ორჯონიკიძის მიუტევებელ საქციელს და ძერჟინსკისთან ერთად ადანაშაულებს სტალინს, რომელიც მხარში ედგა ს. ორჯონიკიძეს ამ საკითხში. ამიტომაც ვ. ი. ლენინი ამ საქმის მთელ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აკისრებდა ი. სტალინს, როგორც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს. გარდა ამისა, ვ. ი. ლენინი უკმაყოფილი იყო ი. სტალინის მიერ დაშვებული სხვა სერიოზული შეცდომებითაც ეროვნულ საკითხში (იხ. თხზ., ტ. 45, შენ. 762, ტ. 36, გვ. 688—696).

მოვუხმოთ გამონათქვამებს ვ. ი. ლენინის წერილიდან „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაცია":

„ვესაუბრე ამხ. ძერჟინსკის, რომელიც კავკასიიდან ჩამოვიდა და მიამბო, თუ როგორ დგას ეს საკითხი საქართველოში. მე მოვასწარი აგრეთვე გამოვლაპარაკებოდი ამხ. ზინოვიევს და გამომეთქვა ამისთვის ჩემი შიში ამ საკითხის გამო. იმაში, რაც მაცნობა ამხ. ძერჟინსკიმ, რომელიც სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ინციდენტის „გამოსაკვლევად" გაგზავნილ კომისიას, მე მხოლოდ ძალიან დიდი საშიშროება დავინახე. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძემ შეტოპა და ფიზიკურ ძალადობას მიმართა, როგორც ამხ. ძერჟინსკიმ მაცნობა, შეგვიძლია წამოვიდგინოთ თუ რა ჭაობში ჩავცვივდით ჩვენ...

ვფიქრობ, რომ აქ საბედისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებულობამ და ადმინისტრატორულმა გატაცებამ. აგრეთვე მისმა გაბოროტებამ ყბადაღებული „სოციალ-ნაციონალიზმის" წინააღმდეგ...

ვშიშობ აგრეთვე, რომ ამხ. ძერჟინსკიმაც, რომელიც კავკასიაში იყო ამ „სოციალ-ნაციონალისტების" „დანაშაულობათა" (სიტყვა დანაშაულობას ხმარობს ბრჭყალებში, — ვ. გ.) საქმის გამოსარკვევად, აქ გამოამჟღავნა მხოლოდ თავისი ჭეშმარიტად რუსული განწყობილება (ცნობილია, რომ გარუსებული სხვატომელები ყოველთვის გადაამლაშებენ ხოლმე ჭეშმარიტად რუსული განწყობილების მხრივ) და რომ მთელი მისი კომისიის მიუდგომლობას საკმაოდ ახასიათებს ორჯონიკიძის მიერ „სილის გარტყმა". ვფიქრობ, რომ არავითარი პროვოკაციით, არავითარი შეურაცხყოფითაც კი არ შეიძლება გამართლდეს ეს რუსული სილის გარტყმა, და რომ ძერჟინსკის გამოუსწორებელი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ იგი ამ სილის გარტყმას ზერელად მოეპყრო..."

ვ. ი. ლენინი, უწოდებს რა ს. ორჯონიკიძეს „პოლიტიკურ" დანაშაულში ბრალდებულს", მიუთითებს, რომ „ამ შემთხვევაში, ქართ-

ველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრესად სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულვებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წამოისვრის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში" (მაშინ, როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჭეშმარიტი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი", არამედ უხეში ველიკორუსი დერჟიმორდაც), ეს ქართველი, არსებითად, არღვევს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა (გავიმეოროთ: „როგორც ეროვნული უსამართლობა" — ვ. გ.), და არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი" ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც ხუმრობის სახით... აი, ამიტომ არის, რომ ამ შემთხვევაში სჯობია ეროვნულ უმცირესობათადმი დამთმობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავამლაშოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი. აი, რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში პროლეტარული სოლიდარობის და, მაშასადამე, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ინტერესი მოითხოვს, რათა ჩვენ არასოდეს არ მოვეპყრათ ფორმალურად ეროვნულ საკითხს (გავიმეოროთ: „არასოდეს არ მოვეპყრათ ფორმალურად ეროვნულ საკითხს", — ვ. გ.), არამედ ყოველთვის გავითვალისწინოთ სავალდებულო განსხვავება ჩაგრული (ანუ პატარა) ერის და მჩაგვრელი (ანუ დიდი) ერის პროლეტარის მიმართ"...

— „რა პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ შექმნილი მდგომარეობის დროს?" — კითხულობს ვ. ი. ლენინი და, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მთელი კატეგორიულობით მოითხოვს „სამაგალითოდ დაისაჯოს ამხ. ორჯონიკიძე" და „დამატებით ან ხელახლა გამოკვლეულ იქნას ძერჟინსკის კომისიის მთელი მასალა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ის დიდძალი უმართებულობა და მიკერძოებული განსჯა, რაც იქ უეჭველად მოიპოვება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ ჭეშმარიტად ველიკორუსულ-ნაციონალისტური კამპანიისათვის უნდა დაეკისროს, რა თქმა უნდა, სტალინსა და ძერჟინსკის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ქართული IV გამოც. ტ. 36, გვ. 688—694).

ვ. ი. ლენინი, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას, მთავარ საყრთხეს დიდმპყრობელურ შოვინიზმში ხედავდა. განსაკუთრებით საშიშად მიაჩნდა მას არარუსი შოვინისტები (სტალინი, ძერჟინსკი,

ორჯონიკიძე, შაუმიანი და სხვ.). ამიტომაც იგი მკაცრად მოითხოვდა ეროვნულ საკითხში „უაღრეს სიფრთხილეს“ თავაზიანობას და თავმდაბლობას“, „ეროვნული უმცირესობისადმი დათმობას, ლმობიერებას“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45. გვ. 957—958).

№ 13.

ს. ორჯონიკიძის ანტიეროვნული სხვა გამოხდომებისა და დანაშაულებათა შესახებ (ამონაწერები მისივე სიტყვებიდან და წერილებიდან):

— „სრულიად საქართველოს ცკ-ის საგანგებო სესიის წევრთა თათბირმა გამოამჟღავნა უსაშინელესი უმსგავსოებანი საადგილმამულო ურთიერთობაში სოფლად („ამიერკავკასიის ბოლშევიკები ნაციონალიზმთან ბრძოლაში“, კრებული, თბ., 1937 წ., გვ. 261).

„სხვათაშორის, საქართველოს მიწსახკომის ყოფილი მოადგილე, ბატონი გერონტი ქიქოძე, ამას წინათ მოხსნილი იქნა თავის თანამდებობიდან წარმოუდგენელი გმირობისათვის: მან ბრძანება გასცა, რომ შორაპნის მაზრაში დაებრუნებიათ მფლობელ ჯანაშიასთვის ჩამორთმეული მიწები, და ამას იმით ამართლებდა, რომ ის ოდესღაც მასთან ერთად სწავლობდა პარიზში. არ კმარა, ამხანაგებო, ასეთი ვაჟბატონების მარტო გადაყენება, — ისინი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი“ (ე. ი. უნდა დაიხვრიტონ, ალბათ, — ვ. გ.).

ს. ორჯონიკიძის მოწოდება: უყოყმანოდ უნდა შესრულდეს საქართველოს ცაკ-ის რეზოლუცია „ყოფილ მემამულეებსა და მესაკუთრეებისათვის მათი ეკონომიური ძალის — სახლებისა და მიწების ჩამორთმევა. მიწების გადასაცემად უმიწაწყლო და მცირემამულიან გლეხთათვის და ყოფილ ნაგებობათა გამოსაყენებლად საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“. რომ საქართველოში კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დაკერძოთი ამოცანაა — მემამულეთა საბოლოოდ განადგურება“ (გვ. 262—264).

მისივე სიტყვებია: — „ქართველი ხალხი საქართველოში გაბატონებული ერია და მან უნდა დაამტკიცოს, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება იმ პატარა ერების მიმართ, რომლებიც საქართველოში არიან დასახლებულნი — აჭარის, აფხაზეთის და ოსეთის მიმართ“. (როგორია, — აჭარა სხვა ერის კატეგორიაში?! — ვ. გ.). აქვე: „არაფრად არ ვარგა, როდესაც ნაცუმცირესობათ ესა თუ ის ქალალდი ეგზავნებათ ქართულ ენაზე და მათ უხდებათ სოფლიდან ქალაქს წავიდნენ, ეძებონ ქართველები, რომ წაიკითხონ ეს ქალალდი. ერის დიდმპყრობელობის ასეთი გამოვლინება შეუწყნარებელია“ („პრავდა გრუზიი“. 1922 წლის 3 თებერვალი, №278).

— „საჭიროა წინანდებურად ვაწარმოოთ გადამჭრელი ბრძოლა გადახრებთან — ნაციონალისტურ და დიდმპყრობელურ გადახრებთან. ჩვენ მეტად ულმობელად უნდა შევებრძოლოთ ამ მოვლენას... ჩვენ ვაცხადებთ, რომ ისე, როგორც წარსულში, ახლაც შევებრძოლებით დიდმპყრობელურ, ქართულ, სომხურ და თურქულ შოვინიზმს“ (ზემოთ დასახ. წიგნი, გვ. 276—277).

— „არსებობს ნაციონალური საკითხის გადაჭრის მეტად გამარტივებული წესი — მუსავატურ-მენშევიკურ-დაშნაკური წესი: განდევნე აზერბაიჯანიდან და საქართველოდან სომეხი, ხოლო სომხეთიდან მუსლიმანები... ჩვენ ვიცით, თუ როგორ გადაწყვიტეს ეს საკითხი ყარაბახში. მთის ყარაბახსა და ქვემო ყარაბახს შორის რომ ხოცვა-ჟლეტა არ ᲐᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, მთის ყარაბახში გაჟლიტეს ყველა მუსლიმანი. ხოლო ქვემო ყარაბახში — ყველა სომეხი. იგივე მოხდა ზანგეზურში“ (როგორც ვხედავთ, ყარაბახის ტრაგედია არახალია, ძველია, და, რაც მთავარია, როგორ უპირისპირებს ერთმანეთს „მეთაური ამიერკავკასიისა“ ადგილობრივ ერებს, — ე. გ.).

— „საქართველოში ერთა და ტომთა შედარებითი მრავალრიცხოვნობა, სიჭრელე და ერთმანეთში არევა... პირობებს ქმნის ადმინისტრაციული გამიჯვნისათვის... შესაძლებელია მომავალში ასეთი ნაციონალური და ეთნოგრაფიული ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ გამოყოფა და მათი მოწყობა საბჭოთა ეროვნული ავტონომიის ერთ-ერთი ტიპის მიხედვით... როგორც მაგალითად, მუსულმანური მოსახლეობა ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში, გერმანელები ბორჩალოს მაზრაში და სხვ.“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის რეზოლუციიდან ეროვნულ საკითხში). კარგად დაუკვირდეთ, კიდევ აპირებდნენ საქართველოში ახალ საოლქო — „ტერიტორიული ერთეულების“ — ავტონომიების შექმნას ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში ფ. მახარაძე და ს. ორჯონიკიძე.

როგორ ესმოდა ს. ორჯონიკიძეს სამშობლო და ნაციონალური საკითხის გადაჭრა ამიერკავკასიაში?

— „აქ, ამიერკავკასიაში, ჩვენ ვთვლით ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების პირველ მორიგ ამოცანად ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა სამარცხვინო წარსულის ნაშთებთან; გახურებული შანთით, ამხანაგ სტალინის თქმისა არ იყოს, ამოვწვათ ნაციონალიზმის ნაშთები“ (იქვე, გვ. 125).

— „სამივე რესპუბლიკის ნაციონალისტებს სძულთ ერთმანეთი. ისინი ფედერაციის მტრებია... აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ნაციონალისტების სისინსა და ღმუილში, ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად განვახორციელებთ ჩვენი პარტიის და ყველა საბ-

ჭოთა რესპუბლიკის მშრომელი მასების ნებისყოფას" (გვ. 126).

— „კომუნისტისათვის, ქართველისა თუ აზერბაიჯანელისათვის, ყოველი საბჭოთა ქვეყანა უნდა წარმოადგენდეს სამშობლოს. ქართველი კომუნისტებისათვის სომხეთი ისეთსავე სამშობლოს უნდა წარმოადგენდეს, როგორიც საქართველო. ხოლო ამიერკავკასიის ყველა კომუნისტისათვის საბჭოთა რუსეთი და ყველა საბჭოთა რესპუბლიკა ისეთივე სამშობლო უნდა იყოს, როგორც ამიერკავკასია" (გვ. 149).

— „ამიერკავკასიის კომუნისტებს ერთგვარი სიამაყით შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისეთი დახლართული ნაციონალური საკითხი, როგორიც იყო საქართველოში, გადაჭრილია და გადაჭრილია წარმატებით (მხედველობაში აქვს აფხაზეთის, აჭარისა და ოსეთის ავტონომია, — ვ. გ.)... იგივეა აზერბაიჯანში... მართალია, აზერბაიჯანში ჩვენ დიდი ხანი მოვუნდით ყარაბახის საკითხს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ მიგვენიჭებია ყარაბახის მოსახლეობისათვის — მთიან ყარაბახის სომხებისათვის ავტონომია აზერბაიჯნის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში... და რომ, არც ერთ განაპირა მხარეში არ გადაჭრილა ნაციონალური საკითხი ისეთი წარმატებით, როგორც ჩვენში" (თუ როგორ გადაწყვიტა ეს საკითხი ყარაბახში, მიმდინარე წელს კვლავ დაადასტურა იქ მომხდარმა ტრაგედიამ. იგივე ითქმის საინგილოს საკითხზეც, — ვ. გ.).

— „აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო არ არიან სამეურნეო მხრით კარჩაკეტილი სახელმწიფოები, რომელთაც შეუძლიათ თავისი ეკონომიური ძლიერებით თავისი ეკონომიური ძალების განვითარება ერთმანეთის დაუკავშირებლად. არა, ჩვენ პირველი დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე მუდამ ვაცხადებდით, რომ ამიერკავკასია — ეს მთლიანი ეკონომიური ერთეულია, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრება იმდენად გადახლართულია, რომ მათ არ შეუძლიათ ცალ-ცალკე არსებობა" (გვ. 189).

— „ქართველი ამხანაგების უმნიშვნელო ნაწილი ფიქრობდა, რომ ყოველივე, რასაც ჩვენ ამიერკავკასიაში ვაკეთებთ, ყოველივე ეს, არც მეტი, არც ნაკლები, კოლონიზატორობაა. ჯერ კიდევ გუშინ ერთი ამ ამხანაგთაგანი გამოვიდა პარტიის ყრილობაზე საქართველოში და სრულიად მოურიდებლად გვიწოდა ჩვენ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრებს ჯინგოისტები, არც მეტი და არც ნაკლები. მან აგვიხსნა ეს ინგლისური გამოთქმა: ასე უწოდებენ ინგლისის კონსერვატორების იმპერიალისტური პოლიტიკის სხვადასხვა გამტარებლებს კოლონიებში, აფრიკაში... (გვ. 191).

— „ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობდა, რომ საქართველოს დამოუკი-

დებლობა უნდა დარჩეს ყველა თავისი ატრიბუტით — ცალკე არმიით, თავისი საგარეო ვაჭრობით, ცალკე ვალუტით, თავისი საბაჟოებით, თავისი პროფკავშირებით, რომლებიც დამოუკიდებლად შევლენ პროფინტერნში, ხოლო ზოგჯერ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ავტონომიაზედაც კი ლაპარაკობდნენ" (გვ. 194).

როგორც ცნობილია, საქართველომ ასეთ დამოუკიდებლობას მიაღწია ჯერ კიდევ 1918 წელს. ეს ფაქტი იცნო რუსეთის საბჭოთა სახელმწიფომ, ვ. ი. ლენინმა. დაიდო ამ ორ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებაც. ეს იყო საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც მისცა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მაგრამ... ხელშეკრულება დაირღვა, — ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და სხვ. შემოუძღვნენ რუსეთის XI არმიას... მოისპო საქართველოს დამოუკიდებლობა. მოვიტანთ ამონაწერს ფ. მახარაძის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა ნაძალადევის თეატრში 1921 წლის 13 მარტს:

„... მე მინდა გულახდილად — გულწრფელად გითხრათ, თუ რისთვის შემოვიდა აქ წითელი ჯარი, რა იყო და რა არის მისი მიზანი. აქ მე გავიგე, რომ დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, თითქო მე მოღალატე ვიყო. თითქო მე ბოროტი მიზნებით მოვუძღოდი რუსის ჯარებს და სხვ... გაიხსენეთ დუშეთის ამბოხება და სხვა მრავალი. ყველა ამაების მეთაურად მე მასახელებდნენ და, როგორც ასეთს, მოღალატის სახელით მნათლავდნენ. და როცა ყოველივე ამის შემდეგ, დამფუძნებელი კრება მოღალატეთ მაცხადებს, — ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. აქაური კაციჭამია შოვინისტები ამაზე შორს ველარ წავიდოდნენ...

დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესების. დიახ, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოვუძღოდით მათ. ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავის ძალა-უფლებით მოქმედობენ. ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დასტოვებენ საქართველოს... ...ვიმეორებ, დიახ, ჩვენ მოვუძღოდით წითელ-არმიელებს, მაგრამ არა დასაპყრობათ, არამედ ქართველი ხალხის და აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლად (ტაში). ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ სამუდამოთ მოვსპოთ და დავშალოთ კონტრ-რევოლუციონური ბუდე, რათა რუსეთმაც დამშვიდებულათ უცქიროს ამ მხარეს...

ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ გავანთავისუფლოთ საქართველო და აქ მცხოვრებნი მენშევიკური უღლისაგან. სხვა მიზანი ჩვენ

არა გვაქვს... ამბობენ თითქო აქ იმისთვის მოვსულიყვეთ, რომ მოვსპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, ცილის წამებაა. დიახ, ჩვენ ვსპობთ მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიცავთ საქართველოს შუშებისა და ყველა მშრომელების დამოუკიდებლობას...

დიახ, ვიმეორებ, ჩვენ ვსპობთ ასეთ ხალხის დამოუკიდებელ საქართველოს და უანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეიცავთ ნამდვილ მუშურ დამოუკიდებელ საქართველოს...

№ 14.

მცირედი კომენტარი დამოუკიდებელ საქართველოსა და მისი შემდგომი პერიოდის ზოგიერთ საკითხზე (ამონაწერი პროფ. აკ. სურგულაძის წერილიდან: „ნისლი გადაიწმინდა", საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე, რომელიც დაიბეჭდა 1988 წლის 24 აპრილს გაზეთ „კომუნისტში").

— „ძველ სტერეოტიპებზე რომ ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ორი ძირითადი პრობლემა, რაც ახლებური აზროვნებით გაშუქებას მოითხოვს. პირველი მათგანი შეეხება 1918 წ. 26 მაისის აქტს, მეორე — 1921 წ. თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში.

1918 წ. 26 მაისის აქტი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებში წარმოდგენილია მხოლოდ ნეგატიური შეფასებით.

ცნობილია, რომ ამ აქტით საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად. ეს აქტი, პირველ რიგში, პირველი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს თანასწორუფლებიანობა მიანიჭა და აღჭურვა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებით. მან დააგვირგვინა ის საუკუნოებრივი ბრძოლა, რასაც ეწეოდა ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ... ასწლიოვანი ბრძოლის შედეგად მოპოვებული ეს აქტი ქრონოლოგიურად აღინიშნებოდა. მხოლოდ 1926 წლიდან შეწყდა ამ თარიღის აღნიშვნა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის ამ პირველი თარიღის თავისებური აღნიშვნა, თუნდაც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ანალიტიკური, ობიექტური, ისტორიული სიმართლით და პარტიული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილებით სასარგებლო იქნებოდა საერთო საქმისათვის.

სიმართლის მხრივ გარკვეულად სცოდავს 1921 წ. თებერვლის მოვლენების ადრინდელი გაშუქებაც. ვითარება ისეა დახატული, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარდა სახალ-

ხო აჯანყების გამარჯვების გზით და წითელი არმიის ნაწილებმა მხოლოდ დახმარების როლი შეასრულეს. სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და ქვეყნის შიგნითა ძალებით მისი წამოწყება იმ მომენტში შეუძლებელიც იყო. მენშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერ, რომლის მოწვევა განხორციელდა ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის ინიციატივით. ვ. ი. ლენინი პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო გარეგანი ძალების ჩარევისა და ცდილობდა კიდეც საერთო ენის გამონახვას მენშევიკურ მთავრობასთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა... არც იმის მიჩქმალვაა საჭირო, რომ სოციალიზმზე, კომუნიზმზე, საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციაზე და განსაკუთრებით ეროვნულ საკითხზე იმ დროს მეტად გაიოლებული წარმოდგენა არსებობდა — „პროლეტარიატისათვის, თუ იგი ერთგულია კარლ მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა", საერთოდ არ არსებობს არავითარი სამშობლო"... სამშობლოზე ასეთი წარმოდგენა იყო რეციდივი იმ ეროვნული ნიჰილიზმისა, რომელიც იმთავითვე ახასიათებდათ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს. მათ სჯეროდათ, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია საერთოდ წაშლიდა ყოველგვარ საზღვრებს ერთა შორის... ასევე, კანონზომიერი ჩანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების" ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის, რომელიც ნამდვილად ზედმეტ რგოლად ჩანდა საბჭოთა ბიუროკრატიულ აპარატში; მაგრამ მახარაძე-მდივნის ჯგუფი, ისე როგორც ს. ორჯონიკიძისა, შემდეგშიაც ბევრს სცოდავდა ეროვნული საკითხის წარმართვისა და ქართველი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში.

ახლებურად გაშუქებას საჭიროებს 1924 წ. აგვისტოს მოვლენები საქართველოში. ს. ორჯონიკიძის კვალიფიკაციით 1924 წ. აჯანყება იყო „ბუტაფორიული" გამოსვლა, რომელიც, თითქოს, მხოლოდ მენშევიკური ემიგრაციის ავანტიურით იყო გამოწვეული. სინამდვილეში ამ აჯანყებას ჰქონდა თავისი ღრმა შინაგანი მიზეზები, რაც საქართველოს კომპარტიის უხეში შეცდომებით, გარკვეულწილად ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების მიზეზითაც იყო შეპირობებული. ახლა იმის თქმაც შეიძლება, რომ აჯანყებას მოჰყვა მრავალრიცხოვანი გაუმართლებელი მსხვერპლი და აქედან დაედო სათავე დემოკრატიული ინტელიგენციისადმი იმ თვითნებურ, ყოვლად გაუმართლებელ სისხლიან ანგარიშსწორებას, რამაც აპოგეას მიაღწია პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდში...

1937 წელი ყველაზე მძიმე, სისხლიანი პერიოდია ჩვენი ისტო-

რიისა. ამ ავადმოსაგონარ წელს საქართველომ საბჭოთა ქვეყნის ყველა მხარის თანაბარწილად (იქნებ უფრო მეტადაც) იწვნია რეპრესიათა საშინელებანი... ამ რეჟიმის მანკიერებათა მხილება დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება, რომ მომავალში იგი არასოდეს განმეორდეს...

რიგ დრამატულ ეპიზოდებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში აქამდე ტაბუ ჰქონდა დადებული. — რამ განაპირობა, მაგალითად, ე. წ. „მეგრელთა საქმე?" ან, რა აუცილებელი იყო ის რეპრესიები, რომლებიც ასობით ქართულმა ოჯახმა განიცადა 40-იანი წლების მიწურულიდან მშობლიური ქვეყნიდან იძულებითი გასახლებით? — ისტორიკოსის მიუდგომელ ახსნას საჭიროებს.

აქამდე ხსენებაც არ შეიძლებოდა 1956 წ. 9 მარტის დრამატიზმისა... 1956 წ. 9 მარტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია...

როგორც ვხედავთ, წინ კოლოსალური საქმეა, რომელსაც წარმატება უწერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განხორციელებას საფუძვლად დაედება ახლებური, ჯანსაღი, სტერეოტიპებისაგან განთავისუფლებული აზრი განვლილი გზის შეფასებაში, გარდაქმნის სასიცოცხლო მნიშვნელობის უიჭვნეულოდ გაცნობიერებაში.

ამ კოლოსალური საქმის საწყის ეტაპზე პირველი რიგის სამუშაოა სოციალიზმის ეპოქის საისტორიო წყაროების თავმოყრა, გამოვლენა ყველა იმ მასალებისა და დოკუმენტებისა, რომლებიც აქამდე, მართალია, ცნობილი, მაგრამ ტაბუდადებული იყო, ამ მიუწვდომელი სახელმწიფო არქივებში ადრე დაკანონებული რეჟიმის გამო". (გაზ. „კომუნისტი", 1988 წლის 24 აპრილი).

№ 15.

რამდენიმე შენიშვნაც „ავტონომიის", „ეროვნულისა" და სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

15. 1. ეროვნულ საკითხში ს. ორჯონიკიძემ, ფ. მახარაძემ და სხვებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ „ქართულს". ხმარებიდან ამოაგდეს თვით გამოთქმა „ქართული ოჯახიც". ისინი მოითხოვდნენ, რათა შეექმნათ „ინტერნაციონალური ოჯახები" (სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ამ მიმართებით პროპაგანდა ე. წ. „შერეული ქორწინების", „ინტერნაციონალური შეუღლების" შესახებ). ამ მიმართებით თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს ფ. მახარაძემ, ნ. ჟორდანიამ, ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ, შ. ოკუჯავამ და სხვებმა. მათ ცოლებად მოიყვანეს არაქართველები და ამით „მოსპეს" „ნაციონალური ტენდენციები" ოჯახში, — სახლიდან გამოაძევეს ქართული ენა, ქართული ტრადიციები და

ქართული კულტურა. მეტად საძწუხაროა, რომ მათ შთამომავალთა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა...

15. 2. სოციალ-დემოკრატებმა მიზნად დაისახეს, მოსპობილიყო საქართველოს ხსენებაც, — „ეროვნული რესპუბლიკა". ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, რსდმპ ამიერკავკასიის სამხარეო ყრილობაზე (მონაწილეობდნენ ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, ა. მიქოიანი, მ. ტოროშელიძე და სხვ.), ეროვნულ საკითხში მ. ტოროშელიძის მოხსენებისა და ს. შაუმიანის წინადადების საფუძველზე, წამოყენებული იქნა. ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფის ასეთი გეგმა: 1. შექმნილიყო დასავლეთ ამიერკავკასია (ქუთაისის, ბათუმის და თბილისის გუბერნიის ნაწილი), 2. აღმოსავლეთ ამიერკავკასია (ერევნის გუბერნია მთლიანად, თბილისის, ყარსისა და ელიზავეტპოლის ნაწილები), 3. ბაქოს გუბერნია მთლიანად, ნაწილი ელიზავეტპოლის გუბერნიისა და დაღესტნის ოლქი (იხ. ს. შაუმიანი, ტ. 11, გვ. 104—105, რუსულ ენაზე; მ. ცერცვაძე, რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1914—1917 წ., ნაწ. II, გვ. 234, 235; ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 361).

მ. ტოროშელიძისა და ს. შაუმიანის გამოსვლები გაკრიტიკებული იქნა, რადგან ამ შემთხვევაში ეროვნული ავტონომია არ იქნებოდა არც საქართველოში, არც აზერბაიჯანსა და არც სომხეთში და, რაც მთავარია, ამ პროექტით საქართველო კარგავდა თავის უძველეს ნაწილებს თბილისის გუბერნიიდან. იმ ეტაპზე, ასეთი პროექტი უარყოფილი იქნა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ეს ანტიეროვნული აქტი, — მეზობელ ხალხებს გადაეცათ თბილისის გუბერნიის ნაწილები: საინგილო, ლორე, ალავერდი...

15. 3. ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის წყალობით, უხეში შეცდომებითა და დანაშაულებრივი მოქმედებებით ხასიათდებოდა სოფლად კულაკობის მოსპობის ღონისძიებები. „ადგილი ჰქონდა უხეშ მოქმედებას... განკულაკება შეეხო არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო და თვით ღარიბ გლეხებსაც კი...

განკულაკების დროს ასახლებდნენ მთელ ოჯახს, რომელშიც შედიოდნენ 80—90 წლის მოხუცებულები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები. სად ასახლებდნენ მათ, სად უნდა წასულიყვნენ ისინი კაცმა არ იცის" (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VII, თბილისი, 1930 წ., გვ. 263).

კოლექტივიზაციის პერიოდში კი, — კვლავ ფ. მახარაძის სიტყვები:

„... აერთიანებდნენ მამულებს, სახლებს, ეზოებს, კარმიდამოს, წვრილფეხა საქონელს, ოჯახის მოწყობილობას, ლოგინებს, ჩურჩხელებს და სხვ." (იქვე, გვ. 264). „ჟურნალ „ბოლშევიკის" ამა წლის მეხუთე ნომერში (ეხება 1930 წელს, ვ. გ.), — აგრძელებს ფ. მახარაძე, — მე წავიკითხე, რომ... ყირიმის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მეშვეობით... სულ მცირე დროის განმავლობაში, საღამოს 5 საათიდან დილის 7 საათამდე კულაკობა, როგორც კლასი, მოსპობილი იქნა. რასაკვირველია, ასეთებს ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი" (იქვე, გვ. 265).

ალბათ, ძნელად წარმოვიდგენთ, რა ხდებოდა მაშინ სოფლად...

15. 4. ერთი ცნობაც გ. ბერბიჭაშვილის შესახებ:

ოფიციალური დოკუმენტებით, გ. ბერბიჭაშვილის გასამართლების შესახებ ნათქვამია, რომ „ბრალდებული გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58 (13) მუხლით და სოციალური დაცვის ღონისძიებად აერჩია სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით... განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება". ოფიციალურმა პრესამ ხალხს ისიც აცნობა, რომ განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში. ნამდვილად კი, ილიას მკვლელს, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, იხელმძღვანელეს რა ჰუმანური პრინციპებით, დახვრეტა შეუცვალეს გადასახლებით. იგი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით 5 წლის შემდეგ (აღნიშნული ფაქტი დაგვიდასტურა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელმა პირველმა მდივანმა კ. ნ. ჩარკვიანმა). „ჰუმანური" მიდგომა ილიას მკვლელისადმი?! მაშინ, როდესაც მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ახმეტელი, ევ. მიქელაძე და მრავალი სხვა აწამეს, ჯვარს აცვეს, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩახოცეს...

15. 5. მცირე შენიშვნა საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლასთან დაკავშირებით:

ამ მოვლენის „პრეისტორია"ასახულია ს. ორჯონიკიძის მიერ გაგზავნილ დეპეშებში ლენინისა და სტალინისადმი. ჯერ კიდევ 1920 წლის 3 მაისს ს. ორჯონიკიძე ბაქოდან ატყობინებს მოსკოვს, რომ მე-11 არმიით, „არაუგვიანეს 15-სა ვიქნებით თბილისში"; მეორე დღეს კვლავ უგზავნიდა ლენინსა და სტალინს დეპეშას, რომ უფრო ადრე, „არაუგვიანეს 12-სა ვიქნებით თბილისში. ამისათვის ყველაფერი მზადაა..."

მოსკოვი, ვ. ი. ლენინი უკრძალავს რუსეთის სდმ პარტიის კავკასიის ბიუროს საქართველოს ტერიტორიაზე მე-11 არმიის შეყვანას. მიუხედავად ამისა, ს. ორჯონიკიძე ამავე წელს კვლავ დაჟინებით მოითხოვს საქართველოში ჯარების შეყვანას, იგივეს იმეორებს 1921 წლის 2 იანვარს (იგულისხმება, რომ ამავე პრინციპს იცავდა ფ. მახარაძეც).

პროფ. გ. ყვანია 1988 წლის 15 მაისს გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილ ინტერვიუში პასუხობს კითხვაზე: ხომ არ დაურღვევია მე-11 არმიის შეყვანით რუსეთის საბჭოთა მთავრობას საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება? მისი პასუხი, თითქოს რუსეთის მხრიდან არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონდა, სინამდვილეს არ შეეფერება. რატომ დაარღვევდა მაინც და მაინც საქართველო ხელშეკრულებას?! აქ არასწორად განმარტავს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გ. ჩიჩერინის წერილზე ვ. ი. ლენინის პასუხსაც, როცა წერს, რომ' „ლენინმა ამჯერადაც მოითხოვა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა". საკითხის ნათელსაყოფად მოვიტანთ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის დადგენილებას საქართველოს შესახებ:

„1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.

2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ გაადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში" (ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-5 გამოცემა, ტ. 54). ... და, მოსახდენი მოხდა: 15 თებერვალს ი. სტალინი ს. ორჯონიკიძეს უგზავნის დეპეშას, სადაც რუსულ ტექსტში ქართული სიტყვებით იძლევა დავალებას, — „ახ-

ლავე შეუტია, დასტურია, აიღე ქალაქი" (გაზ. „კომუნისტი", 1988 წლის 25 მაისი, გვ. მე-4).

15.6. ორჯონიკიძის ხელგაშლილობისა და „ინტერნაციონალიზმის" ორიოდე ფაქტიც:

როცა საქართველო დაჰყო ავტონომიურ ერთეულებად, — 1921 წლის 12 მაისში გამოჰყო აფხაზეთის რესპუბლიკა, იმავე წლის 16 აგვისტოს აჭარის რესპუბლიკა, 1922 წლის 29 აპრილს სამხრეთ ოსეთი, როცა საქართველოს ჩამოაჭრა უძველესი მისი ტერიტორიები და გადასცა მეზობლებს, შემდეგ მიზნად დაისახა ახალი „ინტერნაციონალური" მისია. ხელგაშლით კარი გაუღო და შემოიპატიჟა საქართველოში როგორც თათარ-სომეხთა ჟლეტას გადარჩენილები, ისე კავკასიის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კარზე მომდგარი სხვადასხვა ერის, ძირითადად სომეხი ხალხის წარმომადგენელი ლტოლვილები...

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობებმა 1922 წელს, სათანადო დადგენილებით, უარი თქვეს საკუთარ სამშობლოში მათ მიღებაზე. მაგალითად, სომხეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კატეგორიულად აკრძალა სომეხ ლტოლვილთა სომხეთში შემოსვლა და ჩასახლება. მარტო ჩრდილო კავკასიიდან 150 ათასი სომეხი ცდილობდა კავკასიაში შემოღწევას. ქ. ბათუმში 10 ათასზე მეტი ლტოლვილი შემოიჭრა (აქვე იყვნენ ბერძნებიც) და... ძირითადად დასახლდნენ როგორც ქალაქში, ისე შავი ზღვის სანაპიროზე. საქართველო კი, ს. ორჯონიკიძის ხელგაშლილობით განაგრძობდა „დამშეული მოძმე ხალხის" მიღებას. ლტოლვილი სომხების დიდი ნაწილი ახალციხეში იქნა ჩასახლებული. (იხ. გაზ „კომუნისტი", 1988 წ. 22 მაისი, „ისტორიის გადასახედიდან დაწერილი სიმართლე").

№ 16.

როგორ ერკვეოდნენ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები ფ. მახარაძე და ს. ორჯონიკიძე ნაციონალურ საკითხში?

— „უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ კავკასიის ბოლშევიკებიც საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი ვიყავით ნაციონალურ საკითხში. მართალია, ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას ჩვენ ყოველთვის გადაჭრით უარვყოფდით და ამ მოთხოვნას რეაქციულ ლოზუნგად ვთვლიდით; მაგრამ მეორე მხრით ნაციონალურ თვითგამორკვევას ჩვენ ბოლომდის ვერ მიეჯვებოდით და მარტო **საოლქო ტერიტორიალურ ავტონომიის მოთხოვნის** (ხაზი ფ. მახარაძისაა) წამოყენებით ვკმაყოფილდებოდით, და რაც ყვე-

ლაზე უფრო საგულისხმოა, აქ, ეს ის, რომ ჩვენ გადაჭრით ვეწინააღმდეგებოდით ნაციონალურ თვითგამორკვევის გაგებას, როგორც უფლებას სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე. თვითგამორკვევის ასე გაგებას ჩვენ დაუშვებლად ვთვლიდით ამიერ-კავკასიის სინამდვილეში, მაგრამ ამით რომ ჩვენ ვამახინჯებდით და ვრყვნიდით თვითგამორკვევის პრინციპს, ამაზე ჩვენ ნაკლებად ვფიქრობდით, მაგრამ რაც ხელს გვიშლიდა ჩვენ ამ შემთხვევაში საღი მსჯელობა შეგვედგინა, ეს იყო სრული უქონლობა ნაციონალურ საკითხის სწორი მარქსისტული გაშუქებისა და განმარტებისა" (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. IV, 1924 წელი, გვ. 253; ჟურნალი „კომუნიზმის დროშა", 1923 წლის №6—7, მარტი-აპრილი).

ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის რეაქციულ ლოზუნგად მონათვლამ, ეროვნული და საოლქო ტერიტორიალური დამოუკიდებლობის არსის სრულმა გაუგებრობამ, ნაციონალური თავისუფლებისა და თვითგამორკვევის მსურველთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ ამიერ-კავკასიის სინამდვილეში, ეროვნული საკითხის გაგების საქმეში სრულმა სიბეცემ ს. ორჯონიკიძისა და გამოჩენილი „რევოლუციონერის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწის, პუბლიცისტის, ისტორიკოსის, ლიტერატორის", სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ფ. მახარაძის მეთაურობით, მოამზადა ნიადაგი „პირსისხლიანი კლასობრივი მტრის"; „კაციჭამია შოვინისტის", „მსოფლიო მნიშვნელობის ჯაშუშის", „მონარქისტის", „კონტრრევოლუციონერისა და რეაქციონერის", „ეროვნული ავტონომიის მქადაგებლის" (გამოთქმები მახარაძისაა) ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობისა და იმდროინდელი დემოკრატიული ინტელიგენციის „საძულველი მემამულე-ნაციონალისტთა და შავრაზმელთა" ფიზიკური განადგურებისათვის.

ასე მომდინარეობდა ცხრაასიანი წლებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, ასე იყო საქართველოს განთავისუფლებამდე, ასე იყო ოციან წლებში ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის მმართველობის ჟამს, როცა გაუსამართლებლად გაწყვიტეს უდანაშაულო ხალხი, როცა, როგორც პირადად ფილიპე მახარაძე აღიარებს, „აჯანყების დროს დიახვრიტა ისეთებიც, ვინც არაფერში ყოფილა დამნაშავე" (გაზ. „კომუნისტი" 1925 წლის 6 დეკემბერი) იგივე განმეორდა 1937 და შემდეგ წლებში.

„ეკლესია-მონასტრების ნგრევა, სასულიერო პირთა (თვით კათალიკოს-პატრიარქის ჩათვლით) დაპატიმრება, საეკლესიო წერილობითი, თუ ნივთიერი ძეგლების განადგურება? ესეც აღიარეს: „ეკლესიის საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ... აქ დაშვებული შეცდომები

უნდა გამოსწორდეს. უნდა გამოსწორდეს რადიკალურად" (ს. ორჯონიკიძე, გაზ. „კომუნისტი", 1924 წლის 20-21 მარტი; იმავე გაზ. 1924 წ. 12 სექტ.).

ეკლესიასთან დაკავშირებით, აქვე, კიდევ ორი დოკუმენტი: „როგორც ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, განზრახული ყოფილა დიდების ეკლესიის გაუქმება და შიგ საბავშვო თავშესაფარის მოწყობა. გთხოვთ მიიღოთ შესაფერისი ზომები მწერალთა პანთეონის და ეკლესიის დასაცავად", — წერს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო 1923 წლის 30 აპრილს ხელოვნებათა კავშირის მთავარ კომიტეტს (ლხცსა, ფ. 8.)

ერთი მომართვაც ოზურგეთიდან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი:

„მიმდინარე 1923 წლის განმავლობაში გურიაში ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების გამო გაუქმებული იქნა ღვთისმსახურება გურიის ყველა ეკლესიაში (გაუქმებული ეკლესიების რიცხვი კი გურიაში უდრის 137-ს)". იტყობინებოდა ოზურგეთის მაზრის პოლიტ-პროსვეტის გამგე კ. ბარაბაძე (ორცსა, ფ. 600, აღწ. 2, საქ. №2. ს.).

გაუგონარი შავბნელი ფურცელი ჩაიწერა ჩვენი ერის ისტორიაში ოცდაათიან წლებში, სიკვდილის ატმოსფერომ მოიცვა ყველა და ყველაფერი... დაიხვრიტა ათეული ათასობით უდანაშაულო ხალხი. „თუ კი ჩვენ მთლიანად შევაჯამებთ, რაც კი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაუდენია ვინმეს რაიმე, მე მგონია, — ვკითხულობთ 1956 წლის ერთ-ერთ პარტიულ დოკუმენტში, — ყველაფერი ეს ფერმკრთალი, უფერული გამოჩნდება, ვიდრე მარტო ამ ერთი კაცის მიერ, ბერიას მიერ ჩადენილი საშინელებანი"; ისიც ცნობილია, რომ ამ ველურ, არაადამიანურ მოქმედებაში, როგორც ყურმოჭრილი მონები, აქტიურად მონაწილეობდნენ იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და მაშინდელი ბიუროს სხვა წევრები.

ამიტომაც, ამჟამად კიდევ უფრო შემზარავი და შეურაცხმყოფელია საზოგადოებისათვის იმ ბოროტმოქმედებაში მონაწილე ხელმძღვანელებზე და სხვა დამნაშავეებზე ჩვენი მხრიდან მართალი სიტყვის უთქმელობა! დიახ, დადგა დრო, მადლობა ღმერთს, ამიერიდან მაინც ჩვენს მომავალ თაობებს გადაეცეს ისტორიული ჭეშმარიტება! ეს უნდა იცოდეს ყველამ! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენზეც იმსჯელებენ, და უფრო მკაცრად!!!

1988 წლის მაისი.

Гургенидзе Вахтанг Моисеевич
РАСПЯЛИ ИЛЬЮ ЧАВЧАВАДЗЕ
(На грузинском языке)
Независимый союз журналитов Грузии
Тбилиси, 1991

რედაქტორი ლ. სანიკიძე
მხატვარი გ. ქლიბაძე
კონტრ-კორექტორი ე. ცქიტიშვილი
მხატვრ. რედაქტორი ზ. დეისაძე
ტექრედაქტორი ნ. შანიძე
კორექტორი მ— ცქიტიშვილი

გადაეცა ასაწყობად 19.09.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.01.91. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆ გარნიტური აკადემიური. ბეჭდვა ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,5. საბ. ქაღალდი №2. ტირაჟი 20.000
შეკვ. №2546

ფასი 5 მან.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი, თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი, №3.

Независимый союз журналистов Грузии, Тбилиси, пл. Ираклия II, №3.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"-ს
სტამბა. თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Типография журнально-газетного Издательства «Самшобло»
Тбилиси ул. Костава, 14.